საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№35 (270)
1 - 7 ოქტომბერი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



«2021 წელს ვადა გასდის ყარსის ხელშეკრულებას, რომლის გარანტებიც არიან რუსეთი და თურქეთი და ამაზე უნდა ვიფიქროთ!» 7

11 «თავისუფალ ზონას» და ე.წ. პიკასოს კლუბს უკრაინაში მემარჯვენე სექტორთან ერთად გავლილი აქვს სპეციალური წვრთნები დესტაბილიზაციის გამოსაწვევად»

მერაბ ბლადაძე: 6 უახლოეს პერიოდში აჭარაში ვაჰაბიზმი იფეთქებს!

## აშშ-მა ბოლო 6 წელიწადში 7 ქვეყანა ომის გამოუცხადებლად დაბომბა 21



„მალაშხიამ „ჩაგრულ“ ზურაბ ჟვანიას შესთავაზა თავისი პარტია, რათა ეყარა კენჭი. ასე მოხვდა მალაშხია პოლიტიკაში“

## შოთა მალაშხია – წარმატებული პოლიტიკოსი თუ ჩვეულებრივი მედროვე? 8

## ჩამოდიან და გვეუბნებიან, – «ოქროს სიგელი» მოგვცეს, 12 მაპზე უკეთესიო, ბოდიში და, ერთ ადგილას... მიიკრან!

«რამდენიმე დღის წინათ გადავწყვიტე, აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯონ კერისა და მაია ფანჯიკიძის ვიზიტების რაოდენობა ერთმანეთისთვის შემედარებინა. აღმოჩნდა, რომ ფანჯიკიძეს კერიზე 6-ჯერ მეტი გასვლა ჰქონია (ეს ოფიციალურ ვიზიტებზე გეუბნებით, სასეირნოდ რამდენჯერ წავიდა, არ ვითვლი)»

## კატასტროფის პირას მყოფი უკრაინის პრემიერი ნიუ იორკში 5000-დოლარიან ნომერში ცხოვრობდა 13

4 დასთეს კოჰაბიტაციას, მოიმკი სახელმწიფო გადატრიალებას!

2 «ასავალ-დასავალის» ჟურნალისტს თავს დაესხნენ «თავისუფალი ზონის» წარმომადგენლები

«აშკარაა, რომ 5 საქართველო რაღაც ფორმით სირიის ომშიც არის ჩაბმული»

10 «საკუთარ ქვეყანაში ვერ იომა და უკრაინაში მისი იმედი ვის უნდა ჰქონდეს?»

15 «ჩვენი კანონმდებლობა ხელს უშლის პროფესიონალი ჟურნალისტის ჩამოყალიბებას»

დასავლეთის ლაშქრობა 22 მართლმადიდებელი ცივილიზაციის წინააღმდეგ გრძელდება

რომის პაპის ყოფილი ელჩი, პედოფილიაში 20 ამხილეს

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 2015 წლის ბიუჯეტი 9 350 000 000 ლარით განისაზღვრა



**ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადების თანახმად, 30 სექტემბერს მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველადი განხილვა გაიმართა და ძირითადი პარამეტრები განისაზღვრა.**

როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, 2015 წელს 5%-იანი რეალური ეკონომიკური ზრდა და 4%-იანი ინფლაცია დაიგეგმა. **„გრანტებისა და საერთაშორისო კრედიტების ჩათვლით, სახელმწიფო ბიუჯეტი დაახლოებით 9 400 000 ლარით დაიგეგმა. თვითონ ბიუჯეტი კი 8 600 000 ლარის ფარგლებშია დაგეგმილი. რაც შეეხება ჩვენი სამინისტროს ასიგნებებს, ის დაახლოებით 2014 წლის დონეზე რჩება,“** — განაცხადა კვირიკაშვილმა.



## პატრიარქი სადღესასწაულო წირვას აღავლენს

**9 ოქტომბერს მახათას მთაზე მშენებარე ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე სადღესასწაულო წირვას აღავლენს.**

9 ოქტომბერს ათონის ივერთა მონასტრიდან ივერის ღვთისმშობლის ხატის ასლის საქართველოში ჩამობრძანებიდან 25 წელი სრულდება და დაგეგმილია ამ თარიღის გრანდიოზულად აღნიშვნა. კერძოდ, სიონში დაბრძანებულ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლს ერთი დღით მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მშენებარე ტაძარში დააბრძანებენ, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე სადღესასწაულო წირვას აღავლენს.

ამ დღეს ტაძარში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სხვადასხვა ეპარქიის მღვდელმთავრები მრევლთან ერთად იქნებიან. მრევლს მახათას მთაზე მშენებარე ტაძარში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატის მოლოცვა დღის ბოლომდე შეეძლება.

ათონის მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი 1989 წელს დაიწერა და საქართველოში ჩამობრძანდა. იგი სიონის საკათედრო ტაძარში მოათავსეს. 1999 წლის დეკემბერში კი ოქროს პერანგში ჩასასმელად ხატი გახსნეს, მინა მოაცილეს და აღმოჩნდა, რომ ხატის ასლი მინაზე სასწაულებრივად იყო გადასული. მინაც სიონშია დაბრძანებული.

## დავოსში პრემიერმინისტრი გაემგზავრება

**პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მიწვევა 14 მაისს მიიღო და მისი მონაწილეობა უკვე დადასტურებულია“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ იმ ინფორმაციის კომენტირებისას, რომლის თანახმადაც, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ხელმძღვანელმა კლაუს შვაბმა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე მიიწვია.**

„არაფერი ვიცი იმის შესახებ, რა საუბარი ჰქონდა პრეზიდენტს თურქეთში. არ ვესწრებოდი შეხვედრას, მაგრამ ვიცი ის, რომ პრემიერმინისტრმა დავოსში ეკონომიკურ ფორუმზე დასასწრებად მიწვევა ჯერ კიდევ 14 მაისს მიიღო და მისი მონაწილეობა უკვე დადასტურებულია“, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

განცხადება, რომ მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის თავმჯდომარემ, კლაუს შვაბმა, გიორგი მარგველაშვილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მიიწვია, გიორგი მარგველაშვილისა და კლაუს შვაბის შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში — გიორგი აბაშიშვილმა გააკეთა.



## ზურაბ ჟვანიას ცხედარს, დიდი ალბათობით, ექსჰუმაცია ჩაუტარდება

**„საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის — ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრების ექსჰუმაციის საკითხი მას შემდეგ გადაწყდება, რაც მათი შინაგანი ორგანოებიდან აღებულ ნიმუშებზე მიმდინარე ექსპერტიზის დასკვნა გახდება ცნობილი,“ — განაცხადა პროკურორმა რევაზ ნადოიმ.**

პროკურორი ვადებს ვერ ასახელებს, თუმცა ამბობს, ამ საკითხზე ჟვანიას ოჯახთან კონსულტაციები მიმდინარეობს და, დიდი ალბათობით, ცხედრის ექსჰუმაცია ჩატარდება.

**„ექსჰუმაციის ჩატარება პირდაპირ კავშირშია ამჟამად მიმდინარე ექსპერტიზის შედეგებთან. ამ ექსპერტიზაში ჩართულები არიან საერთაშორისო დონის სასამართლო ექსპერტები და მათ დასკვნებზეა დამოკიდებული ექსჰუმაცია. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა უტარდება 2005 წელს ჟვანიასა და უსუპოვის შინაგანი ორგანოებიდან აღებულ ნიმუშებს“,** — განაცხადა რევაზ ნადოიმ და დასძინა, რომ ჰაკიმ ფაშას სახელით ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ მასალა youtube-ზე თურქეთის რესპუბლიკიდან აიტვირთა.

პროკურატურა ჯერჯერობით არ ასახელებს ქალაქს, საიდანაც აიტვირთა აღნიშნული ვიდეო, თუმცა უახლოეს პერიოდში თურქეთის რესპუბლიკიდან დამატებით ინფორმაციას ელოდება.

რამდენიმე თვის წინათ youtube-ზე ჰაკიმ ფაშას სახელით გავრცელდა ფოტომასალა, რომლის ავტორიც მიუთითებდა, რომ ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის სხეულზე დაზიანებები სიცოცხლისდროინდელი იყო.



## აშშ სააკაშვილს, ვიზაზე უარის შემდეგ, პოლიტიკურ თავშესაფარსაც არ მისცემს?

**„ნაციონალური მოძრაობის“ მთავარ ოფისში დიდი გლოვა აქვთ გამოცხადებული. საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს სამუშაო ვიზის მიცემაზე აშშ-მა უარი უთხრა“, — წერს გაზეთო „ალია“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი ოფისიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.**

„ამ ინფორმაციის უტყუარობა მალე გაირკვევა, მაგრამ ის ფაქტი, რომ პარტიის ოფისში დიდი პანიკაა, ნიშნავს, რომ სამუშაო ვიზის არმიცემის შესახებ ინფორმაცია სარწმუნო უნდა იყოს, ამიტომაცაა, რომ „ნაცებს“ დანა კბილს არ უხსნით. ჩვენთვის უცნობია, ეს ინფორმაცია პარტიის ლიდერებს თავად სააკაშვილმა დაუდასტურა თუ არა. თუმცა, ლოგიკურად, პარტიის ლიდერებს აღნიშნული ინფორმაცია ან თავად სააკაშვილისგან უნდა ჰქონდეთ, ან იმ ადამიანისგან, რომელსაც მიშამ ეს ამბავი უთხრა. სააკაშვილისთვის ამერიკის სამუშაო ვიზაზე უარის თქმას ერთი ფაქტი კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის: ამა წლის მაისში საქართველოს ექსპრეზიდენტს სამსახურზე უარი უთხრა ტაფტის უნივერსიტეტმა. ამის შესახებ ამერიკული გამოცემა „ნიუ იორკ ტაიმსი“ წერდა და ეს ფაქტი მოგვიანებით დადასტურდა. ტაფტის უნივერსიტეტმა განცხადება გააკეთა, რომ სააკაშვილთან კონტრაქტი შეწყვიტა და მასთან არც მომავალში აპირებს თანამშრომლობას, — წერს გამოცემა, — ამერიკული პოლიტიკური ელიტა სააკაშვილს, კარგა ხანია, ცუდი თვალით უყურებს, მასთან შეხვედრაზე უარს ამბობენ ის სენატორები და კონგრესმენები, რომლებიც ადრე სიამოვნებით მასპინძლობდნენ. თეთრ სახლში კი სააკაშვილს, ფაქტობრივად, მხარდამჭერი აღარ დარჩა. ბარაკ ობამას გუნდი აშკარად არ სწყალობს სააკაშვილს. მას ვერც ლობისტები შველიან და, მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, უკვე თვეები გადის და სააკაშვილი ვერც ერთ გავლენიან პოლიტიკურ ლიდერს ვერ შეხვდა ამერიკაში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ცხადია, მისთვის სამუშაო ვიზის არმიცემაც არ განეკუთვნება ფანტასტიკის სფეროს“.

**გაზეთი აღნიშნავს: იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი აშშ-ის სამუშაო ვიზას ვერ მიიღებს, მას იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემენ. იმის გამო, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ საქართველოს პროკურატურამ სისხლის სამართლის დევნა დაიწყო, „ნაციონალებს“ სურდათ, მათ ლიდერს პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიეღო აშშ-ში.**

## «ასავალ-დასავალის» ჟურნალისტს თავს დაესხნენ «თავისუფალი ზონის» წარმომადგენლები



**30 სექტემბერს, საღამოს, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ ზაზა დავითაიას თავს „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლები დაესხნენ.**

„ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა ამბობს, რომ დავითაიას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და ის ღუდუშაურის კლინიკაშია გადაყვანილი. მისივე თქმით, ზაზა დავითაია რედაქციაში მიდიოდა, როდესაც შარტავას ქუჩაზე „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლები თავს დაესხნენ. მათ შორის იყო მათი ერთ-ერთი ლიდერი ფარნაოზ ჭკადუა.

**„მომხდარს ვუკავშირებთ ზაზას აქტიურობას სოციალურ ქსელში, „თავისუფალი ზონის“ წინააღმდეგ. ერთი თვის წინათ „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენელმა ვაჟა მორგოშიამ დაურეკა ზაზა დავითაიას და დაემუქრა, რომ ბაჩო ახალაიაზე სტატიების წერისთვის თავი დაენებებინა.**

**ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერბრიგადის — „თავისუფალი ზონის“ პირდაპირი ანგარიშსწორება“,** — ამბობს ჯაბა ხუბუა.

შსს-ის პრესსამსახურის ინფორმაციით, როდესაც საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი გამოცხადდა ინციდენტის ადგილზე და მომხდარის შესახებ კრიმინალური პოლიციის თანამშრომელს ატყობინებდა, ის ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყო „თავისუფალი ზონის“ წევრმა დავით გოგოხიამ, რომელიც დააკავეს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე (პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა) და 187-ე (სხვისი ნივთის დაზიანება) მუხლებით.

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია თანადგომას უცხადებს „ასავალ დასავალს“, გმობს ჟურნალისტზე თავდასხმას, როგორც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უხეშ ხელყოფას, და იმედოვნებს, რომ დამნაშავეები კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან.**





## გერმანული გუანტანამო

**„გერმანიაში, ლტოლვილთა დროებით თავშესაფრებში ადამიანებს სასტიკად ეპყრობიან! — წერს გერმანული მედია ადგილობრივი სამართალდამცველების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.** საუბარია ქალაქ ბურბახში არსებულ ლტოლვილთა თავშესაფარზე. გამოძიებას ხელში ჩაუვარდა ფოტოები, რომლებზეც მცველების მხრიდან ლტოლვილებისადმი ძალადობრივი დამოკიდებულებაა ასახული. სამართალდამცველებმა თავშესაფრის 700 მცხოვრებიდან 100 უკვე დაკითხეს. რამდენიმე მათგანს ტრავმები აღენიშნება. ეჭვმიტანილია ოთხი მცველი. ჩხრეკისას მათ აკრძალული ნივთები, მათ შორის, ხელკეტები აღმოაჩნდათ. მცველები კერძო კომპანია European Homecare-იდან იყვნენ დაქირავებულნი. ბურბახის ლტოლვილთა ბანაკს მედიამ უკვე შეარქვა „გერმანული გუანტანამო“.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეუთოს ექსპერტი:

# უკრაინელ სამხედრო ქვედანაყოფების მიერ მშვიდობიანი მოქალაქეების დასჯა საკუთარი ხალხის გენოციდია!

**ეუთოს ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ლატვიელი უფლებათადამცველი ეინარის გრაუდინში მიიჩნევს, რომ ტერიტორიაზე, რომელსაც უკრაინული მოხალისეების ბატალიონები აკონტროლებენ, ადამიანებს მასობრივად სჯიან.**

**„იქიდან გამომდინარე, რაც ვნახე, შემიძლია, ერთმნიშვნელოვანი დასკვნა გამოვიტანო: ტერიტორიაზე, რომელიც კიევის ხელისუფლების პარამილიტარისტულ სამხედრო ქვედანაყოფებს უკავიათ, მასობრივად სჯიან სახალხო ლაშქრის ტყვედ ჩავარდნილ წევრებს, სამოქალაქო პირებს კი სასამართლოს გარეშე უსწორდებიან, რაც საერთაშორისო კონვენციების დარღვევაა“,** — განაცხადა ეუთოს ექსპერტმა დონეცკის ოლქის სოფელ ნიუნიაია კრინკაში მასობრივი სამარხების დათვალიერების შემდეგ.

**„საერთაშორისო კანონებით, ეს კვალიფიცირდება როგორც სამხედრო დანაშაული, როგორც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული გენოციდი. ასეთი რამ ხდებოდა რუანდაში, იუგოსლავიაში და დამნაშავეები აუცილებლად უნდა დაისაჯონ. ისინი აუცილებლად უნდა წარდგნენ საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე. აღვნიშნავ, რომ სამხედრო დანაშაულებს ხანდაზმულობის ვადა არ აქვს“,** — განაცხადა ეინარის გრაუდინშმა.



**P.S. ეუთოს ექსპერტთა აზრით, დონეცკის ოლქში ნაპოვნი ადამიანების დასახიჩრებული გვამები იმაზე მიუთითებს, რომ უკრაინული გვარდიის წარმომადგენლები ადამიანის ორგანოებით ვაჭრობდნენ.**



**«საერთაშორისო კანონებით, ეს კვალიფიცირდება როგორც სამხედრო დანაშაული, როგორც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული გენოციდი. ასეთი რამ ხდებოდა რუანდაში, იუგოსლავიაში და დამნაშავეები აუცილებლად უნდა დაისაჯონ. ისინი აუცილებლად უნდა წარდგნენ საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე. აღვნიშნავ, რომ სამხედრო დანაშაულებს ხანდაზმულობის ვადა არ აქვს»**

# ევროკავშირი ბალტიისპირეთის ქვეყნებს ლტოლვილების მიღებას აიძულებს

**ევროკავშირში ლატვიაზე, ლიტვასა და ესტონეთზე, როგორც არაბი ლტოლვილების პოტენციურ საცხოვრებელ ტერიტორიაზე, რამდენიმე წლის წინათ ალაპარაკდნენ. იმხანად ეს საუბრები ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ანტირუსული ისტერიის მეშვეობით ჩააცხრეს, მაგრამ ახლა ევროპამ ეს მიზეზი, შესაძლოა, აღარ გაითვალისწინოს.**

ბალტიისპირეთის ქვეყნების მთავრობების შიში მათი ქვეყნების დაპყრობის შესახებ შეიძლება გამართლდეს, ოღონდ მათ უბედურება არა რუსეთიდან, არამედ იქიდან ეწვევათ, საიდანაც არ ელიან — ევროპიდან. **„ბებერი ევროპა“ აშკარად ვერ უმკლავდება სირიიდან, ერაყიდან, ჩრდილოეთ აფრიკიდან დევნილებს და უკვე პირდაპირ მოუწოდებს ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს, ევროკავშირს დაეხმაროს და მისთვის, ასე ვთქვათ, დამატებით „რეზერვუარად“ იქცეს.**

ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის ჯერ არ შეუხსენებიათ, რა მდგომარეობაში იყვნენ ისინი, როდესაც წევრებად მიიღეს, მაგრამ მიანიშნებდნენ, რომ ევროკავშირის წევრობა, ანტირუსული ფრონტის წინა ხაზზე ყოფნის გარდა, მსოფლიოს ბედზე სოლიდარულ პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს.

**გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა თომას დე მეზიერმა ახლახან განაცხადა, რომ არაბი მიგრანტების მხოლოდ ევროპის 4-5 ქვეყანაში განსახლება უსამართლობაა და მოითხოვა, მიგრანტები თანაბრად და პროპორციულად გადანაწილდეს ევროკავშირის ყველა ქვეყანაში, მათ შორის, ბალტიის ზღვის სახელმწიფოებში.** ეს ქვეყნები კი არ არის მხოლოდ შვედეთი და ფინეთი, სადაც უკვე კრიტიკულ ზღვარს მოაღწია მუსლიმანი ლტოლვილების რაოდენობამ და სადაც უკვე ალაპარაკდნენ სამიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებაზე. თუმცა **მსგავსი განწყობა ძლიერდება ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში.** დიდი ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ კემერონმა მულტიკულტურიზმის კრახის შესახებ მანამ განაცხადა, სანამ „არაბული გაზაფხულის“ შედეგად პირველი სისხლი დაიღვრებოდა. თუმცა სწორედ „არაბული რევოლუციების“ შედეგად დაიწყო ადამიანების მასობრივი გადასახლება ევროპაში. ახლა კი გერმანიის შს მინისტრი მეზიერი პატიოსნად აღიარებს, რომ ბერლინი რეზინისა არ არის, გერმანია ვერ შეძლებს მსოფლიოში სიღარიბის პრობლემის გადაჭრას, ამ პრობლემას ვერც მხოლოდ ბალტიისპირეთი გაუმკლავდება, მაგრამ ამ ქვეყნების ხელისუფლებამ გერმანიის გამოცდილება მაინც უნდა გაიზიაროს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად **ლატვიაში მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა** — მოსახლეობის შემცირების ტენდენციის თვალსაზრისით, პირველია ევროპაში. და, რა თქმა უნდა, ამ გაუკაცრიელებულ ტერიტორიაზე ევროკავშირს სურს, ჩრდილოეთ აფრიკიდან დევნილები ჩაასახლოს იმ ეთნიკური დაძაბულობის ჩასაცხრომად, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში არსებობს. თუმცა ქვეყანაში იმ ადამიანების დასახლება, რომლებიც სხვა რასას და სხვა რელიგიურ აღმსარებლობას მიეკუთვნებიან, აუცილებლად გამოიწვევს კონფლიქტს საზოგადოების შიგნით. ლატვია კი, ალბათ, მაინც შეასრულებს ევროკავშირის მოთხოვნებს, რადგან ამ ქვეყნის პოლიტიკური ელიტა ძალიან არის დამოკიდებული ევროპასა და აშშ-ზე.






## ვაცლავ კლაუსი:

# დასავლეთის ანტირუსული პროპაგანდა სასაცილოა!

ჩეხეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ვაცლავ კლაუსმა დასავლეთის ქვეყნების მიერ გაჩაღებულ ანტირუსულ საინფორმაციო პროპაგანდას სასაცილო უწოდა. **პოლიტიკოსმა ბრიტანულ გამოცემა The Spectator-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ ასეთი მტრული დამოკიდებულება ამ ქვეყანაზე არასწორი წარმოდგენით არის განპირობებული, თუმცა ალტერნატიულ თვალსაზრისს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის, ისე სხვა სფეროების კუთხით, ევროპაში არავინ იზიარებს**.

„მახსოვს, ადამიანმა, რომელიც იმხანად ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, მითხრა, — **ისე მეჯავრება კომუნიზმი, დოსტოევსკის წაკითხვაც კი აღარ მინდაო. ეს სიტყვები რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გამახსენდა და ვშიშობ, ამჟამინდელი ანტირუსული პროპაგანდა ამგვარ მოსაზრებებსა და მენტალიტეტს ეფუძნება...**

ყოველთვის ვარწმუნებდი ჩემს ამერიკელ და ბრიტანელ მეგობრებს, რომ, პოლიტიკური სისტემების განსხვავების მიუხედავად, თანამედროვე რუსეთისა და ლეონიდ ბრეჟნევის პერიოდის სსრკ-ის შედარება სისულელეა. ამასთანავე, უმრავლესობის თვალსაზრისისგან განსხვავებული აზრის გამოთქმა ევროპაში სულ უფრო სახიფათო ხდება. **თუკი შემეკითხებით, სულ უფრო მეტად ცდილობს თუ არა ევროპა თავისუფლების შეზღუდვას, გიპასუხებთ, რომ დიახ**. თავს შებოჭილად ვგრძნობ, რადგან ჩემი თვალსაზრისის გამო თქმის საშუალებას არ მაძლევენ. **როდესაც ერთ კონფერენციაზე მთავარ მომხსენებლად მიმიწვიეს, ორგანიზატორებმა მოგვიანებით გაარკვიეს, რომ მე გარკვეული ეჭვები მქონდა, ევროკავშირის, ერთსქესიანთა ქორწინებებისა და უკრაინის კრიზისის მიმართ და უცებ განმიცხადეს: „უკაცრავად, ჩვენ უკვე გვყავს სხვა მომხსენებელი, გმადლობთ!“** ასეთი რამ თავს გადამხდენია კომუნიზმის ეპოქაში, მაგრამ არა — ე. წ. თავისუფალ ევროპაში“, — განაცხადა ვაცლავ კლაუსმა.

Spectator



# ანდერს ფოგ რასმუსენი თანამდებობას ტოვებს

**უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო რასმუსენი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბბინას დატოვებს, იქამდე კი თანამშრომლებს დაემშვიდობება და ნატოს ოპერაციებში დაღუპულთა მემორიალს გვირგვინით შეამკობს.** დანიის ყოფილი პრემიერმინისტრი ნატოს მე-12 გენერალური მდივანი იყო, იგი ამ თანამდებობას 2009 წლის 1 აგვისტოდან იკავებდა. რასმუსენს ნორვეგიის ყოფილი პრემიერმინისტრი **იენს სტოლტენბერგი** შეცვლის.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩეხეთშიც, „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ ცდილობდნენ ისტორიის გადაწერას და ფუჩიკის „ჩარეცხვას“. მასაც ისინი სდებდნენ ბრალს, ვინც თავად თანამშრომლობდნენ გესტაპოსთან. ფუჩიკის სიკვდილით დასჯის დღე — 8 სექტემბერი ჟურნალისტთა სოლიდარობის დღედ გამოცხადდა.**

# დასთეს კოჰაბიტაცია, მოიმკი სახელმწიფო გადატრიალებას!

**ყოვლად სამარცხვინო პაექრობა, თუ ვინ უნდა წასულიყო გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, „ნაციონალური მოძრაობის“ მესვეურთა აშკარა ხელშეწყობითა და ცეცხლზე ნავთის დასხმით მთავარ თემად აქცია მართვადმა მედიამ. საბოლოოდ გენასამბლეაზე დასასწრებად პრემიერი ღარიბაშვილი წავიდა და საქართველო ღირსეულად წარმოადგინა. თვით „რუსთავი 2“-ის გამოზრდილი კადრი — თეა თუაშვილიც კი, რომელიც გაეროს გენერალურ ასამბლეას, უკვე ათი წელია, აშუქებს, იძულებული შეიქნა, ეღიარებინა: „დარბაზი ყოველთვის ნახევრად ცარიელია, როდესაც საქართველოს წარმომადგენელი სიტყვით გამოდის; გამოსვლის დრო ყოველთვის მერყეობს ნიუ იორკის დროით საღამოს 5-დან 7 საათამდე;**

პირველი შემთხვევა იყო წელს, როდესაც რამდენიმე ფორუმს, მათ შორის გუშინ გენასამბლეის სხდომას უძღვებოდა საქართველოს მისიის ხელმძღვანელი — კახა იმნაძე. მსგავსი რამ მანამდე არასდროს მომხდარა და ნამდვილად მიუთითებს იმაზე, რომ მისიის სტაფი აქტიურად მუშაობს;

ცნობადობა არის და ინტერესი გაზრდილი ქვეყნის მიმართ ძალიან! ვნახე ერიკ რუბინი, რომელიც სუამის სხდომაზე 20 წუთით ადრე მოვიდა და ელოდებოდა, როდის დასრულდებოდა სუამის შეხვედრა, რათა გაგრძლებულიყო სუამი-ამერიკის ფორმატში, რომელიც ოდნავ გვიან დაიწყო და გვიან დასრულდა. ვნახე იორდანიის საგარეო მინისტრი, რომელიც მხოლოდ მისალმების გამო ბუტში შეუვარდა მაია ფანჯიკიძეს, როცა ის ავღანეთის საგარეო მინისტრს ხვდებოდა. სხვათაშორის, ეს შეხვედრა ავღანურმა მხარემ მოითხოვა და დაემატა;

მე ვნახე საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, რომელსაც ორმხრივი შეხვედრების სიმრავლის გამო 1 წუთით დრო არ ჰქონდა საკუთარი თავისთვის, „ამერიკის ხმის“ სატელევიზიო ინტერვიუს დაწყებამდე;

პირველი შემთხვევა იყო, როდესაც საქართველო გაეროზე წარადგინა პრემიერ-მინისტრმა, ასევე პირველად გამოვიდა სხვადასხვა კონფერენციაზე გაეროს ეგიდით, რაც აქამდე არ მომხდარა. ჩვენი მხრიდან სახელმწიფოს მეთაურები ყოველთვის გამოდიოდნენ ერთხელ;

მე ვნახე ძალიან კარგი კომუნიკაცია საგარეო უწყებისა და სახელმწიფოს მეთაურის პრესასთან ურთიერთობის სამსახურების მხრიდან...

დაბოლოს, მინდა, ეს ჩემი პოსტი ნახონ ამერიკაში მცხოვრებმა იმ ადამიანებმა, რომელთა უგვანო ვიდეოშეძახილები გავრცელდა ინტერნეტით. სხვათა შორის, ეს ვიდეო ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლამდე 1 საათით ადრე გავრცელდა და ჟურნალისტები მოსაცდელ დარბაზში ვიყავით, საიდანაც უკვე უნდა ავეყვანეთ ლოჟებში. ჩვენ ყველა შევშფოთდით იმით, რაც ვნახეთ, ყველას ჰქონდა ადეკვატური უარყოფითი რეაქცია... და მინდა გითხრათ, თქვენ ყველამ ჩვენგან დაიმსახურეთ ის შეფასება, რასაც ჩხავიხართ იმ ვიდეოში პრემიერის მისამართით“...

საზოგადოდ, ჩვენი მთავრობა (ახალს ვეღარ დაარქმევ), როგორც ჩანს, საკუთარ მოსახლეობას ისევე გულდაგულ უმალავს საგარეო მიღწევებს, როგორც საშინაოს, ამიტომ გაეროში ქართული დელეგაციის წარმატებულ ვიზიტზე თეა თუაშვილისგან თუ შევიტყობთ რამეს, თორემ „ძალიან კარგი კომუნიკაცია საგარეო უწყებისა და სახელმწიფოს მეთაურის პრესასთან ურთიერთობის სამსახურების მხრიდან“ საკუთრივ საქართველოში ჯერ არავის უნახავს.

გვიან, მაგრამ მაინც სოციალური ქსელებიდან, როგორც იქნა, მოგვაწოდეს „საზეპირო „ნაცებისთვის“ და არა მარტო მათთვის“, რომ ახალი ხელისუფლების მიერ პენსია, სოციალური პაკეტი, რეპრესირებულთა და მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრების დახმარება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შემწეობა საგრძნობლად გაიზარდა. 2014 წლის 1 ივნისიდან ყოველ რიგით მესამე ან(და) მომდევნო ბავშვზე 6 რეგიონში მცხოვრებ (გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი) ოჯახს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება: მაღალმთიან რეგიონში — 200 ლარის, ხოლო სხვა შემთხვევაში — 150 ლარის ოდენობით.

**აქედან ერთი პუნქტიც რომ შეესრულებინა სააკაშვილის ხელისუფლებას, „მამაო ჩვენოსავით“ გვასწავლიდა ზეპირად და „პოლიქრონიონსაც“ გვამღერებდა, ახლებს კი „პიარი“ სალანძღავი სიტყვა ჰგონიათ და, რაკი სააკაშვილი ოდენ ამით იყო დაკავებული, საერთოდ უარს ამბობენ საზოგადოებასთან ურთიერთობაზე, არადა, „პიარი“ სწორედ ამას ნიშნავს!**

ამის შემდეგ აღარც ის უნდა გვიკვირდეს, რომ მკვლელებისა და მწამებლების ადეპტები პრემიერმინისტრ ღარიბაშვილს ნიუ იორკში, გაეროს შესასვლელში ხვდებიან და მკვლელს ეძახიან! არ უნდა გვიკვირდეს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია: მხოლოდ უსაქციელო ქალს შეუძლია, უტიფრად ეძახოს ბოზი ოჯახის ქალს! ასე იყო, ასეა და ასე იქნება – როცა შენ არ ურთიერთობ საზოგადოებასთან, ამას სხვა აკეთებს და თანაც ისე, როგორც მას აძლევს ხელს!

დღეს 2003 წელი აღარ არის და მაშინდელივით საზოგადოების დაბრმავება აღარ ხერხდება; უკვე გაირკვა, ვინ მოუწყო საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ნიუ იორკში, გაეროს შტაბ-ბინასთან პროვოკაცია, ვინ უწოდა მას პუტინის მონა და მკვლელი. **„ქრონიკის“ ინფორმაციით, ეს პროვოკაცია ვინმე პაატა აბჟანდაძისა და ნატო გოდერძიშვილის მონაწილეობით განხორციელდა, რომლებიც სააკაშვილის ბიძის – თემურ ალასანიას მიერ ფინანსდებიან. ამის შესახებ**



**უკრაინის კრიზისიც ოდენ იმის საშუალებად არის გამოყენებული, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში დაბრუნდეს. ასეა — დასთეს კოჰაბიტაციას, მოიმკი სახელმწიფო გადატრიალებას!**

**რადიო „ამერიკის ხმის“ ყოფილი თანამშრომელი, „მე-9 არხის“ ნიუ იორკის ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელი, ამერიკაში მცხოვრები რუსუდან წერეთელი აცხადებს.**

მისი ინფორმაციით, აბჟანდაძე 2012 წლის არჩევნებზე ნიუ იორკში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო. მანამდე ის არაფერს წარმოადგენდა, იყო ჩვეულებრივი ემიგრანტი. ვერაფერი გააკეთა. შემდეგ რაღაც არხებით დაუკავშირდა თემურ ალასანიას და მის დავალებებს ასრულებდა. „როდესაც ამერიკაში ჩამობრძანდებოდა ხოლმე გიული ალასანია, აბჟანდაძე მას ჰყავდა დაცვასავით. ეს ადამიანი არასოდეს არსად არ მუშაობს, მაგრამ კარგად ცხოვრობს. ამ ადამიანს თემურ ალასანია იყენებდა ასეთი ბინძური საქმეებისთვის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ე.წ. საემიგრაციო სტატუსიც და მოქალაქეობაც ალასანიას ხელშეწყობით გააკეთა.

როდესაც „მე-9 არხის“ ბიურო გვქონდა გახსნილი ნიუ იორკში, ჩვენთან ძალიან ბევრი ადამიანი მოდიოდა მათგან დაზარალებული, ისინი ყვებოდნენ, როგორ ჰპირდებოდა მათ აბჟანდაძე ლეგალური სტატუსის გაკეთებას, როგორ ახდევინებდა ფულს, შემდეგ ვითომ ეძებდა ვილაცებს, ვითომ აკეთებდა დოკუმენტებს, ამ დროს ყველა რჩებოდა მოტყუებული — ფულიც ქრებოდა და აბჟანდაძეც. ამ თემაზე ვაპირებდით სერიოზული გადაცემის მომზადებას, მაგრამ ველარ მოვასწარით, „მე-9 არხიც“ დაიხურა და ჩვენი ბიუროც გაუქმდა“.

ივანიშვილის მიერ საკუთარი ტელეკომპანიის დახურვა, რომელიც კერძო ტელეკომპანიებს შორის იმხანად ყველაზე თავისუფალ არხად ჩამოყალიბდა, კიდევ ერთ ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ განაიარაღა მისმა პატრონმა საკუთარი თავიც და ახალი მთავრობაც.

რუსუდან წერეთელი 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებსაც იხსენებს: **„ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა საარჩევნო უბანზე, მთელი ემიგრაცია მოაწყდა, აბჟანდაძე სპეციალურად არ ხსნიდა უბანს, ვიღაცას მოსდო შარი, საბუთი არ გაქვსო, გამოიძახა ნიუ იორკის პოლიცია, სინამდვილეში ამ პოლიციის ჩარევა ხდება თემურ ალასანიას ინიციატივით, მაგრამ, როდესაც სამართალდამცავებმა დაინახეს, იქ არაფერი არ ხდებოდა, არ იყო მტვრევა და ნგრევა, მშვიდად წავიდნენ უკან. აბჟანდაძეს ჰყავდა დაქირავებული „ნაციონალების“ დიდი გუნდი, რომლებსაც არ ჰქონდათ მოწმობები და საარჩევნო უბანზე დაატრიალეს ე. წ. კარუსელი, ეტაპობრივად შემოჰყავდა ხან 100 და ხან 200 კაცი. ეს დავაფიქსირეთ და ატყდა ერთი ამბავი, დაიწყო გაწევ-გამოწევა. ამ დროს იქ ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტებიც იყვნენ, მოგეხსენებათ, ესენი მაშინ მიშას ჟურნალისტები იყვნენ, ესენიც სიტუაციის პროვოცირებას ახდენდნენ. აბჟანდაძეს ცალკე კიდევ ჰქონდა ბიულეტენები, თავის ხალხს აძლევდა და აყრევინებდა. ხმების დათვლის დროსაც ძალიან ბევრი იმაიმუნა, ბოლომდე იქ ვიყავი და ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე“.**

ამ ყველაფრის შემდეგ, და არა მარტო ამერიკაში (მარტო ხაშურის კადრებიც კმარა „ნაციონალების „დემოკრატიულ“ არჩევნებში დასარწმუნებლად) სააკაშვილის პარტიამ მშვიდად გაიფორმა 40% საკანონმდებლო ორგანოში. თუ არჩევნების შემდეგ ხმა ჰქონდათ ჩაწყვეტილი, ნელ-ნელა მოფერიანდნენ და კოჰაბიტაციის რეჟიმში ხმაზეც მოვიდნენ. ახლა ვერ ნახავთ სატელევიზიო თოქშოუს, რომლის ეთერიდანაც უტიფრად არ გვმოძღვრავდნენ და საკუთარ უსაქციელობას „ქართულ ოცნებას“ არ აბრალებდნენ!

ორი წელი გადის და სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა ისევე გამოუთხაროს ძირი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, როგორც ამას „ვარდების რევოლუციად“ წოდებულ სახელმწიფო გადატრიალებამდე ორი წლით ადრე აკეთებდა; ის და მისი ყურმოჭრილი „დემოკრატები“ ჩიორას ცხვირის სანახავად ევროპელ მეგობრებს იწვევენ. გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი პრემიერმინისტრის — ზურაბ ჟვანიას გამო არ უვიშვიშიათ ევროპარლამენტარებს იმდენი, რამდენიც „ნაციონალების“ ვითომ შევიწროებაზე.

**უკრაინის კრიზისიც ოდენ იმის საშუალებად არის გამოყენებული, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში დაბრუნდეს. ასეა — დასთეს კოჰაბიტაციას, მოიმკი სახელმწიფო გადატრიალებას! ყველა ხერხს მიმართავს თემურ ალასანიას დისშვილი, რომ ივანიშვილის იანუკოვიზაცია მოახერხოს. ამისთვის არც საგარეო ლობის ზოგავს და არც ფულს იშურებს შიდა დესტაბილიზატორთა მთელი არმიის შესანახად. მთელი საქართველოს ერთ დიდ საპატიმრო ზონად გადამქცევლები დღეს სხვადასხვა ჯურის „თავისუფალი ზონებში“ ჩამსხდარან და „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების“ დამცველებად გვევლინებიან!**

თუმცა ყველაფერი ისე იოლად აღარ გამოდის; ოდესღაც სააკაშვილის მაქებარი „ნიუ იორკ ტაიმსი“ და „ფორბსი“ სულ უფრო ხშირად დასცინიან მას. ბრუკლინში, ბიძამისის ბინაში მცხოვრები მიშიკო რომ ტერმინ **დემოკრატიის** შინაარსს ვერ ხვდება, ესეც ახლა აღმოაჩინეს შეერთებულ შტატებში! უკრაინის ბალკანიზაციაზე უკვე ვწერდით, ახლა ამაზე უცხოელი ექსპერტებიც ალაპარაკდნენ. მართვადი ქაოსის დათესვა არა მარტო საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში, ახლა უკვე ცენტრალურ აზიაშიც იგეგმება.

**„საქართველო და მსოფლიო“ ამ საფრთხეზე საგანგებოდ მიუთითებდა. ამ საკითხზე „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ თბილისში გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზეც იმსჯელეს. მისი რეზოლუცია ასე მთავრდებოდა: „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“! ასე მთავრდებოდა დიდი ჩეხი მოაზროვნის, იულიუს ფუჩიკის პიესა „რეპორტაჟი სახრჩობელიდან“. ეს სიტყვები დღესაც ცოცხალია. ჩეხეთშიც, „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ ცდილობდნენ ისტორიის გადაწერას და ფუჩიკის „ჩარეცხვას“. მასაც ისინი სდებდნენ ბრალს, ვინც თავად თანამშრომლობდნენ გესტაპოსთან. ფუჩიკის სიკვდილით დასჯის დღე — 8 სექტემბერი ჟურნალისტთა სოლიდარობის დღედ გამოცხადდა.**

მხოლოდ უჩინო ადამიანების სიფხიზლე დღეს საქმეს არ უშველის; ფხიზლად მთავრობა უნდა იყოს, რომელსაც კოჰაბიტაციით ჯანმიცემული უტიფრების მცირე გუნდი უტევს და იმასაც ახერხებს, რომ საკუთარი დღის წესრიგით აცხოვროს! ფხიზლად უნდა იყოს საპარლამენტო გუნდი, რომელსაც ასევე თავის ჭკუაზე დაატარებს წარსულის პოლიტიკური ძალა! ფხიზლად უნდა იყოს მედია, რომელიც მეტისმეტად ხშირად გამოუყენებია „ნაციონალურ მოძრაობას“ ქვეყნისა და საკუთარი ოპონენტების წინააღმდეგ!

**„ფორინ პოლისში“ გამოქვეყნებული სტატია იმაზე, რომ საქართველო მზადაა, სირიელი ამბოხებულებისთვის სამხედრო წვრთნები ჩაატაროს, აღიქმება, როგორც სიგნალური დიპლომატია, რომელიც ამერიკელებმა გამოგვიგზავნეს, რათა პირობები შევასრულოთ. ვეჭვობ, თავდაცვის მინისტრმა ალასანიამ მოვლენებს დაასწრო და, საკუთარი ინიციატივით, საქართველოში ვიზიტად მყოფ ამერიკის თავდაცვის მინისტრ ჩაკ ჰეიგელს განუცხადა, რომ ქართული მხარე მზად არის სირიელი ამბოხებულების მოსამზადებლად. არ არის გამორიცხული, სხვა ბევრი რამეც შეეთავაზებინა.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვახტანგ მაისაია:

# სჯობს, ალასანიამ თავის წარსულსა და ბიოგრაფიას მიხედოს, ქვეყნის თავდაცვის სისტემა კი კომპეტენტურ ადამიანებს მიანდოს

**რამდენიმე დღის წინათ გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომ საქართველო მზად არის, სირიელი მეამბოხეები გაწვრთნას, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის — ლინკოლნ მიტჩელის შეფასებით, სირიელი მეამბოხეების საწვრთნელი ბანაკები საქართველოს სამიზნედ აქცევს. ამის შესახებ მიტჩელმა „ამერიკის ხმის“ ქართული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. ალასანიას ინიციატივამ გააოცა პრემიერი ღარიბაშვილიც. „საქართველო და მსოფლიოს“ სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია ესაუბრა. მისი აზრით, ქვეყნის პრემიერიცა და თავდაცვის მინისტრიც არაადეკვატურად მოქმედებენ და ამის გამო ქვეყანა საფრთხის წინაშეა.**



> **«საფრთხე გვემუქრება და მზად უნდა ვიყოთ, მაგრამ ჩვენი მზადყოფნა ასეთი უსაფრთხოების, ასეთი თავდაცვის სისტემის პირობებში ორიანზეა შესაფასებელი»**

**— თავდაცვის მინისტრი ალასანია ბოლო პერიოდში სენსაციური და თანაც არცთუ სახარბიელო განცხადებებით გამოირჩევა. მისმა გადაწყვეტილებამ სირიელი ამბოხებულების საქართველოში მომზადების თაობაზე, რომელიც, უცნობია, მთავრობასთან იყო თუ არა შეთანხმებული, ამერიკელების გაკვირვებაც კი გამოიწვია...**

— არ ვიცი, ალასანიას რა უნდა. თამარ ჩერგოლეიშვილის გადაცემაში ჩემზე თქვა, ქვეყნის მტერიაო; მისი ნება რომ იყოს, ალბათ, დიდი სიამოვნებით შეგვაბრუნებდა ციხეში 149-ვე პოლიტპატიმარს, მაგრამ მე მაინც შევეცდები, ობიექტური ვიყო.

ირაკლი ალასანია არის ადამიანი, რომელიც საკუთარ თავზე მუშაობს და ყველა წინადადებას პიარისთვის ამბობს, ის პოლიტიკური ნარცისიზმით არის შეპყრობილი.

თავდაცვის სამინისტრო სექტად გადაიქცა, ამ უწყებასთან წვდომა აქვთ მხოლოდ „კარგად დამუშავებულ“ ადამიანებს. დარწმუნებული ვარ, შიგნით შეღწევა რომ შევძლოთ, კატასტროფულ ფაქტებს აღმოვაჩენთ, არა ნაკლებს, ვიდრე ბაჩო ახალაიას და დავით კეზერაშვილის პერიოდში.

**არაკომპეტენტური ადამიანების თანამდებობებზე დანიშვნამ, განსაკუთრებით — შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში, ჩვენი თავდაცვისუნარიანობა ნულზე დაიყვანა.**

**„ფორინ პოლისში“ გამოქვეყნებული სტატია იმაზე, რომ საქართველო მზადაა, სირიელი ამბოხებულებისთვის სამხედრო წვრთნები ჩაატაროს, აღიქმება, როგორც სიგნალური დიპლომატია, რომელიც ამერიკელებმა გამოგვიგზავნეს, რათა პირობები შევასრულოთ. გამოვთქვამ ეჭვს: თავდაცვის მინისტრმა ალასანიამ მოვლენებს დაასწრო და, საკუთარი ინიციატივით, საქართველოში ვიზიტად მყოფ ამერიკის თავდაცვის მინისტრ ჩაკ ჰეიგელს განუცხადა, რომ ქართული მხარე მზად არის სირიელი ამბოხებულების მოსამზადებლად. არ არის გამორიცხული, სხვა ბევრი რამეც შეეთავაზებინა.**

> **«აშკარაა, რომ საქართველო სირიის ომშიც არის ჩაბმული რაღაც ფორმით, რადგან პანკისელი ახალგაზრდა რამდენიმე დღის წინათ სწორედ სირიიდან ჩამოასვენეს»**

იმთავითვე ვამბობდი, რომ ჰეიგელის ვიზიტი არ შეეხებოდა ნატოს სამიტის შედეგებს და მას გაცილებით დიდი მიზანი ჰქონდა, ეს მისი მოძრაობის გრაფიკიდანაც ნათელია. ჰეიგელი ჩამოვიდა თბილისში, მერე თურქეთში ჩავიდა და იქიდან — სპარსეთის ყურეში, ანუ იმ ქვეყნებში, რომლებიც უნდა ყოფილიყო ბარაკ ობამას ინიციატივით შექმნილი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის კოალიციის მთავარი ქვეყნები.

**აშკარაა, რომ საქართველო სირიის ომშიც არის ჩაბმული რაღაც ფორმით, რადგან პანკისელი ახალგაზრდა რამდენიმე დღის წინათ სწორედ სირიიდან ჩამოასვენეს,** ამიტომ ჩვენმა ქვეყანამ უსაფრთხოების ზომები უნდა მიიღოს. **ისლამურმა ხალიფატმა ბრძოლა გამოუცხადა არა მხოლოდ რეგიონულ მეზობლებს, არამედ საქართველოსაც, რადგან მათ რუკაზე საქართველო შავად არის აღნიშნული. საფრთხე გვემუქრება და მზად უნდა ვიყოთ, მაგრამ ჩვენი მზადყოფნა ასეთი უსაფრთხოების, ასეთი თავდაცვის სისტემის პირობებში ორიანზეა შესაფასებელი.**

ნატოს უელსის სამიტზე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ყველანაირი ურთიერთობა შეჩერდა, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ნატო-რუსეთის საბჭოს დიალოგის ფორმატი მაინც დატოვა და ეს მოხდა სწორედ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების გამო. საქართველო იმავე ნატოს დეკლარაციის ფორმატით მოხვდა ახლო აღმოსავლეთის კალათაში, რომელშიც სამი ქვეყანა შევიდა — საქართველო, მოლდოვა და იორდანია. შესაბამისად, ამ ქვეყნებში თავდაცვისა და უსაფრთხოების ზომები უნდა იყოს გაფართოებული და ამ მიმართულებით თანხებიც გამოიყოფა. ასეთი გადანაწილების გამო, მნიშვნელოვანია, რა წვლილს შეიტანს საქართველო კოალიციაში.

ირაკლი ალასანიამ, როგორც ყოველთვის, მოვლენებს დაასწრო და ისეთი შეთავაზებაც გააკეთა, რომელმაც პრემიერ ღარიბაშვილის გაკვირვება გამოიწვია **ღარიბაშვილმა საკმაოდ მკაცრი ტონით განაცხადა, რომ აღნიშნულ პროცესში საქართველოს ჩართვა მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარებით გამოიხატება, მაგრამ ესეც გაურკვეველი ნათქვამია, რადგან სამხედრო კოალიციაა, საომარი მოქმედებები მიმდინარეობს და ჰუმანიტარულ დახმარებასთან მას საერთო არაფერი აქვს. ამ შემთხვევაში სიტყვა ჰუმანიტარული არაადეკვატურია.**

მთავრობის შიგნით, ხშირად იყო არაკოორდინირებული განცხადებები და გადაწყვეტილებები. უცხოურ პრესაში წერდნენ, რომ ისინი დაეყრდნენ თეთრი სახლის მაღალჩინოსნის განცხადებას, რომელიც ერთგვარი სიგნალია ვალდებულების შესახსენებლად. თავდაცვის მინისტრმა ინიციატივა გამოიჩინა, რადგან, როგორც კი ჩაკ ჰეიგელი წავიდა, ალასანიამ მეორე დღესვე განაცხადა, საკითხი კოალიციის შიგნით განვიხილეთ და ჰეიგელთან თანამშრომლობაზე შევთანხმდითო. იგივე პოზიცია არ შეიმჩნეოდა ჰეიგელისა და ღარიბაშვილის შეხვედრისას, რადგან, თუ ასეთი მნიშვნელოვანი და სერიოზული გადაწყვეტილება იყო მიღებული, ჰეიგელსა და ღარიბაშვილს ერთობლივი პრესკონფერენცია უნდა მოეწყოთ და ფართო მასებისთვის ეცნობებინათ, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც ჩანს, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა გადაწყვიტა, რომ ირაკლი ალასანიასთან ამ თემაზე საუბარი საკმარისი იყო და პრემიერისგან ფორმალურ დადასტურებას ელოდა. ასეც მოხდა, რადგან საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ მოგვიანებით დაადასტურა, რომ საქართველო კოალიციის მოქმედებებში მონაწილეობას მიიღებს, მაგრამ რა ფორმით, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. შემდეგ უკვე ამერიკულმა მხარემ საქართველოს სთხოვა, ჩამოყალიბებულიყვნენ მონაწილეობის ფორმაზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში გაურკვევლობა იყო.

**— დავუშვათ, მართლაც მოხდა ასეთი რამ და საქართველომ დაიწყო სირიელ ამბოხებულთა წვრთნა, რა საფრთხეებს უნდა ველოდოთ?**

— ნატოს უელსის სამიტის დეკლარაციის თანახმად, საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ ჩვენს ქვეყანაში გაიხსნას ნატოს საწვრთნელი ბაზა. ამ ბაზაზე შესაძლებელია, გაწვრთნან ერაყის ეროვნული არმიის ოფიცრები. უკვე ჩამოვიდნენ ნატოს წარმომადგენლები, სამხედრო ოფიცრები და შეიქმნება საწვრთნელი ბაზები, პროცესი სამოთხ თვეს გასტანს. ცენტრში, შესაძლოა, ერაყის ოფიცრები გაწვრთნან და საკითხი ამით ამოიწუროს, მაგრამ, რაც შეეხება სირიელ ამბოხებულებს, ანუ სირიის თავისუფალი არმიის წარმომადგენლების გაწვრთნას, რომლისთვისაც ამერიკამ უკვე გამოყო ფული, ამ დრომდე არ ვიცით, რას აპირებს საქართველო. საუდის არაბეთმა უკვე იკისრა 5 ათასი ასეთი ადამიანის მომზადება, მაგრამ, **თუ მსგავს გადაწყვეტილებას საქართველოც მიიღებს, ურთიერთობა გაგვიფუჭდება ირანთან, რუსეთთან. ჩვენ ვიცით რუსეთის პოზიცია სირიაში მიმდინარე პროცესების მიმართ.**

**საქართველოსთვის საუკეთესო გამოსავალია, რომ ბაზებზე ერაყელი ოფიცრები გაიწვთნან, რადგან ასეთ შემთხვევაში პრეტენზია არ ექნება არც ირანს და არც რუსეთს.**

**— და მაინც, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი და ხელისუფლება?**

— არ ვიცი, რამდენად შეძლებს ჩვენი მთავრობა ოპტიმალური გამოსავლის პოვნას, რადგან პრემიერი და თავდაცვის მინიტრი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ. **ღარიბაშვილის განცხადებიდან ჩანს, რომ ბარაკ ობამას ინიციატივით შექმნილ კოალიციაში მონაწილეობაზე უარი განვაცხადეთ, რადგან ჰუმანიტარულ დახმარებაზე საუბრობს, ალასანია კი სირიელი მეამბოხეების გაწვრთნას სთავაზობს. ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს. ასეთ შემთხვევაში ჯობია, ქუდი დაიხურონ და შინ წავიდნენ;** ჯობია, დაუთმონ პოსტები იმ ადამიანებს, რომლებმაც საქმე იციან, ან მრჩევლები მაინც აიყვანონ და საუბარი ისწავლონ, საქართველო მრავალმხრივი დარტყმის ობიექტად რომ არ აქციონ.

**— ირაკლი ალასანიას მრჩევლები ჰყავს?**

— არ ვიცი, ეჭვი მეპარება, რომ კომპეტენტურ ადამიანებთან ჰქონდეს საქმე, თანაც ხომ გითხარით, **თავდაცვის სამინისტრო სექტასავითაა. ალასანიას მოქმედებებით, მისი გამოსვლებით თუ ვიმსჯელებთ, მას ჰყავს მრჩევლები და ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრები არიან.**

მინისტრი მტრებს ჩვენ გვიწოდებს და **სრული უფლება მაქვს, რომ მეც ვუწოდო მათ ქვეყნის მტრები, უფრო მეტიც, გასარკვევია, ჩვენ შორის რომელი უფრო წარმოადგენს საფრთხეს. სჯობს, ალასანიამ თავის წარსულსა და ბიოგრაფიას მიხედოს, ქვეყნის თავდაცვის სისტემა კი კომპეტენტურ ადამიანებს მიანდოს.**

ესაუბრა
**ეკა ნაცყიდაშვილი**

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როდესაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ღიად ამბობს, რომ ბათუმი თურქეთის ტერიტორიაა, როდესაც თურქეთის სკოლების სახელმძღვანელოებში წერია, რომ ბათუმი ისტორიულად თურქეთის მიწაა და საქართველოს აქვს დროებით ოკუპირებული, ეს საყურადღებო და ძალიან საშიში ტენდენციაა!“**

მერაბ ბლადაძე:

# უახლოეს პერიოდში აჭარაში ვაჰაბიზმი იფეთქებს!

**უფლებათადამცველი მერაბ ბლადაძე და ქობულეთის მკვიდრი დავით ზოიძე აჭარაში არსებულ მძიმე სიტუაციაზე საუბრობენ და ხელისუფლებას ადეკვატური ქმედებისკენ მოუწოდებენ:**

— აჭარაში დღესაც გრძელდება რელიგიური დაპირისპირება მუსლიმან და მართლმადიდებელ ქართველებს შორის. მოგეხსენებათ, ქობულეთში, ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე შენობის კარზე მიაჭედეს ღორის თავი. ეს ის შენობაა, რომელშიც უნდა გახსნილიყო მუსლიმანური სასწავლებელი, ე. წ. მედრესე. რეალურად, **ეს მესამე ძალის მიერ ინსპირირებული პროვოკაციაა და ამ საქმეში ლერმონტოვის ქუჩის მცხოვრებლები გარეულნი არ არიან.** ეს იმიტომ გააკეთეს, რომ იმ დღეებში საქართველოს პრემიერმინისტრი აშშ-ში მიემგზავრებოდა და ხელს აძლევდათ, მსოფლიოს დაენახა, საქართველოში რელიგიური დაპირისპირებაა ქართველებს შორისო.

**— მესამე ძალაში ვის გულისხმობთ?**

— **თურქეთის მიერ მართულ რამდენიმე ადამიანს, რომელთა გამოაშკარავება, სამწუხაროდ, ჩემი კომპეტენცია არ არის. ეს სპეცსამსახურების საქმეა.** როდესაც მდგომარეობა გამწვავდა, აჭარის მაღალჩინოსნებს შევხვდი და ვესაუბრე. მათ საკმაოდ მისაღები აზრი გამოთქვეს ქართველი მუსლიმანებისთვის, კერძოდ ის, რომ ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე შენობის ნაცვლად, გადასცემენ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მოქმედ მედრესეს, რომელიც ბანკის მიერაა დაყადაღებული, მაგრამ ამ წინადადებაზე კატეგორიული უარი მიიღეს.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ლერმონტოვის ქუჩის მოსახლეობა მართლმადიდებელი მრევლითაა დასახლებული. **ელემენტარული პატივისცემაა, რომ, სადაც მართლმადიდებელი ხალხი ცხოვრობს, იქ მუსლიმანური სკოლა არ უნდა გაიხსნას. ასეა ევროპაში მიღებული.** მედრესე უნდა გაიხსნას იქ, სადაც რიცხობრივად მეტი მუსლიმანი ცხოვრობს. არადა, **ქობულეთში მუსლიმანი თითქმის არ ცხოვრობს და არც მედრესეს გახსნის აუცილებლობაა რომელიმე უბანში.** ადგილობრივი ხელისუფლება მაინც წავიდა დათმობაზე და ლერონტივის ქუჩის ნაცვლად სხვა ადგილი შესთავაზა, რათა ორი აღმსარებლობის წარმომადგენელთა შორის დაპირისპირება აეცილებინა.

რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენების საკითხი დადგა დღის წესრგში, მუსლიმანური მრევლის რამდენიმე ლიდერი ხმამაღლა ამბობდა, რომ არ სურდათ თურქული ფულით ამ მეჩეთის აშენება, მაგრამ დღეს ეს ადამიანები უკვე დაშინებულები არიან და დუმან. **აჭარაში ცხადად ჩანს პროთურქული ძალების დიდი გავლენა! მესამე ძალა პროთურქულად განწყობილი ქართველი მუსლიმანები არიან, რომლებმაც განათლება თურქეთში მიიღეს.** მოგეხსენებათ, დღესაც მასობრივად მიჰყავთ აჭარელი ახალგაზრდები თურქეთში სასწავლებლად, საიდანაც მართლმადიდებელი ქართველებისადმი აგრესიულად განწყობილი ბრუნდებიან.

**— მაინც რატომ არ მიდიან დათმობაზე და რატომ არ ყაბულდებიან ალტერნატიულ ფართობს?**

— მათ სურთ, ისარგებლონ ამ დაპირისპირებით, არეულობით და მიაღწიონ იმას, რომ ბათუმში აშენდეს აზიზიეს მეჩეთი. **როდესაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ღიად ამბობს, რომ ბათუმი თურქეთის ტერიტორიაა, როდესაც თურქეთის სკოლების სახელმძღვანელოებში წერია, რომ ბათუმი ისტორიულად თურქეთის მიწაა და საქართველოს აქვს დროებით ოკუპირებული, ეს საყურადღებო და ძალიან საშიში ტენდენციაა.** ყველაზე მეტად კი იმან გამაოცა, რომ არ არსებობს კანონი სასწავლო ობიექტის გახსნის თაობაზე; ჩვენი კანონმდებლობით, ნებისმიერს, ვისაც სურვილი გაუჩნდება, შეუძლია გახსნას მედრესე.

დღეს აჭარაში პარპაშებენ პროთურქულად განწყობილი ადამიანები. და ის, რომ ნებისმიერ მსურველს შეუძლია მეჩეთის, მედრესეს, მინარეთის გახსნა აჭარაში, რადგან აბსოლუტრად უკონტროლოა ეს სფერო, **დიდი საშიშროებაა, ის ბავშვები, რომლებიც თურქეთში იღებენ განათლებას, ვაჰაბიზმის ლიდერებად ჩამოყალიბდნენ. ამის აშკარა ნიშნებს ვხედავ. დიახ, ასე თუ გაგრძელდა, უახლოეს პერიოდში აჭარაში ვაჰაბიზმი იფეთქებს.**



«აჭარაში ცხადად ჩანს პროთურქული ძალების დიდი გავლენა! მესამე ძალა არის პროთურქულად განწყობილი ქართველი მუსლიმანები, რომლებმაც განათლება თურქეთში მიიღეს!»

საქართველოში დღეს 300-მდე მეჩეთი მოქმედებს, ხოლო თურქეთში — არც ერთი ქართული ეკლესია....

**— ცნობილია, რომ აჭარაში 60-მდე მედრესე ფუნქციობს. საინტერესოა, კანონი თუ არეგულირებს, რამდენი მედრესეა საჭირო საქართველოს ამ კუთხეში...**

— სამწუხაროდ, კანონი არ არეგულირებს მეჩეთებისა და მედრესების რაოდენობას. მაგალითად, ლერმონტოვის ქუჩაზე რომ სურთ მედრესეს გახსნა, ამისთვის ლიცენზიაც კი არ აქვთ. მედრესის გახსნის მესვეურებმა მიპასუხეს, ამისათვის არანაირი ლიცენზია არ გვჭირდებაო. სხვათა შორის, ეს შენობა არის შპს-ის ბალანსზე, რომელიც ანგარიშვალდებულია საგადასახადო სამსახურის მიმართ, და აუცილებელია ლიცენზია. კარგი, დავუშვათ, ლიცენზიის გარეშე მაინც გახსნეს და ასწავლეს ბავშვებს, რომ დაამთავრებენ ამ სკოლას, ატესტატი ხომ უნდა მისცენ? წესით და რიგით, ამ ყველაფერს განათლების სამინისტრო უნდა არეგულირებდეს, აგრეთვე, უნდა აბალანსებდეს, თუ რა საგნები უნდა ისწავლებოდეს და ა. შ.

გარდა ამისა, **ქობულეთი კიდევ ერთი საფრთხის წინაშე დგას. ეს არის ჩინური კომპანია „სინო ჰიდრო“, რომელიც დაკავებულია გზის მშენებლობით.** ქობულეთში მიმდინარეობს შემოვლითი გზის მშენებლობა, რომელიც აუცილებელია, მაგრამ ამ მშენებლობაზე არსებობს მთელი რიგი დარღვევებისა. ხელთ მაქვს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 16 ივნისის ბრძანება, რომელშიც წერია, რომ სოფელ ხუცუბანში „სინო ჰიდრომ“ უნდა განახორციელოს მინერალური მასალების მოპოვება. მაგრამ ეს კომპანია არღვევს კანონს და 5 მეტრის ნაცვლად, მიწაში ჩადის 10-12 მეტრის სიღრმეზე. კანონში ისიც წერია, რომ მასალების ამოღების შემდეგ ორმოები უნდა ამოავსონ. რაც მთავარია, ეს სამუშაოები ქობულეთის წყალსადენთან ახლოს ჩატარდა და ორმოები არათუ ამოავსეს, არამედ მათში ჩაღვრილია ნავთობი და, **რადგან ამხელა ორმოები დაინახეს, მოიტანეს და ათეულობით ტონა ქიმიურად გადამუშავებული მანდარინის ნარჩენებიც ჩაყარეს. გარდა ამისა, ამ ორმოებში რამდენიმე ძროხაც დაიხრჩო და კვალის დაფარვის მიზნით ზემოდან მიწა მიაყარეს. ხელთა მაქვს ამის ამსახველი ვიდეომასალა და ვაპირებ პრემიერმინისტრს გავუგზავნო, რათა ეს საქმე გამოიძიონ.** ამ ყველაფრის გამო ქობულეთი დგას მოწამვლის საშიშროების წინაშე.

**— მურმან დუმბაძის ფრაქციიდან გარიცხვის ამბავს როგორ აფასებთ?**

— ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრის წინ ვთქვი, რომ დუმბაძე ძირითადად დაკავებული იყო თავისი სანათესაოსა და სამეგობროს დასაქმებით. აჭარა გადააქცია თავისი და ახლობლების ჯიბედ. როდესაც ამ მარაზმს შეეწინააღმდეგა ადგილობრივი ხელისუფლება და დაიწყო დუმბაძის კადრების ჩამოშორება, დუმბაძე ხელისუფლებას ოპოზიციაში ჩაუდგა. **დუმბაძე დღეს არის პოლიტიკური გვამი, რომელსაც ძალაუფლება აღარ აქვს. ვიცი, რომ ეს ადამიანი დადის ზემო აჭარაში, კერძოდ, ხულოს რაიონში და იქაურ მუსლიმანებს აქეზებს საპროტესტო გამოსვლებისთვის.** ეს კაცი ცდილობს, სიტუაცია თავისი პოლიტიკური რეაბილიტაციისთვის გამოიყენოს. დიახ, ის ფარულად მოქმედებს და აქეზებს მუსლიმან ქართველებს, რათა დაიწყოს გამოსვლები აჭარაში ადგილობრივი მთავრობის წინააღმდეგ.

**დავით ზოიძე, ქობულეთის მკვიდრი:**

— ხალხი დაიღალა ქობულეთში არსებული სიტუაციით. თავდაპირველად, ლერმონტოვის 13-ში ბინა რომ იყიდეს, თქვეს, ორმა ოჯახმა უნდა ვიცხოვროთო. მაგრამ მალე დაიწყეს რამდენიმე საპირფარეშოს გაკეთება, ამან დაგვაეჭვა. სიტუაციაში გასარკვევად მისულებს „ქართველ მუსლიმანთა ურთიერთობების“ თავმჯდომარე **შამილ კაკალაძე** დაგვხვდა და გვითხრა, თქვენ ვინ გკითხავთ, აქ რას გავაკეთებ — მედრესეს თუ ჯამეს, ეს სახლი ვიყიდეთ და ნება ჩემიაო. არადა, როგორც შევიტყვეთ, ეს სახლი ვიღაც თურქ მუსტაფა ბუიუქის უყიდია. შემდეგ კი ამათთვის გადაუცია მედრესეს გასახსნელად. თუმცა ჩუქების დამადასტურებელი საბუთი არ აქვთ და არც ვიცით, რას აპირებენ. ამიტომ ქობულეთელები დღე და ღამე დგანან ამ სახლთან და შიგ არავის უშვებენ.

**— მედრესეში სწავლის მსურველები თუ არიან?**

— ქობულეთში — არა. აპირებენ, სოფლებიდან ჩამოიყვანონ. ქობულეთში ერთი მუსლიმანიც არ ცხოვრობს, მხოლოდ პროვოკაციის მიზნით სურთ სასწავლებლის გახსნა. **ამ საქმეში თურქული ფული დევს. თურქები ამბობენ, აჭარა დაკარგულია და უნდა დავიბრუნოთო.**

რაც მთავარია, მართლმადიდებლურ ზონაში იმიტომ ცდილობენ მედრესეს გახსნას, რომ ერთმანეთს დაუპირისპირონ მართლმადიდებელი და მუსლიმანი ქართველები.

რატომ უნდა დავთმოთ, არ ვიცი. ჩვენ რა, თურქები გვაძლევენ უფლებას, მათ მიწაზე ქართულმა ეკლესიამ იარსებოს? ყველა თავს შევაკლავთ და არ ვაბატონებთ თურქებს აჭარაში, მაგრამ საქმე რთულად არის — შველა გვჭირდება. ჩვენი მამები და ბაბუები ხმლის ქვეშ გაამუსლიმანეს და ისევ შეეცდებიან ამის გაკეთებას. უკვე ცდილობენ, მაგრამ ხმლის ნაცვალად ფულს იყენებენ. **აზიზიეს მეჩეთის აშენება რას ნიშნავს იცით? რომელ მიწასაც იპყრობს, იქ აშენებს თურქი მეჩეთს და ამით ცდილობს, დაგვანახოს, რომ ბათუმი თურქეთისაა.** ამიტომ აჭარის მოსახლეობა უნდა დავდგეთ ერთად, რათა მთელმა ქვეყანამ დაინახოს, რომ აჭარა არ მიისწრაფვის გათათრებისკენ. აი, მერე კი სრულიად საქართველო ჩაერევა ამ პროცესში. **ისედაც გაწამებულია აჭარელი ხალხი, ყოველ მეორე ოჯახს ბინა იპოთეკით აქვს დატვირთული და ახლა ორ ცეცხლს შუაა — არსებობისთვის იბრძოლოს თუ თურქს ეომოს!**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

---

მსოფლიო

## დევიდ კემერონის ორმაგი სტანდარტი

**მიუხედავად იმისა, როგორ ჩაიარა და რა შედეგით დასრულდა რეფერენდუმი შოტლანდიაში, ფაქტია: შოტლანდიელებს ჰქონდათ მომავლის არჩევის შესაძლებლობა, განსხვავებით აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებლებისგან, რომლებიც დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ეთნიკური წმენდის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ, — წერს ჟურნალისტი ანსარ კჰანი გამოცემა „დერბი ტელეგრაფის“ ვებგვერდზე.**

„დევით კემერონს შოტლანდიელი სეპარატისტების ეთნიკური წმენდა რომ დაეწყო, ეს იქნებოდა კანონის უხეში დარღვევა. მიუხედავად ამისა, ბრიტანეთის მთავრობა სწორედ ეთნიკურ წმენდას უჭერს მხარს აღმოსავლეთ უკრაინაში და ყველაფერში რუსეთს ადანაშაულებს, თუმცა რუსეთის პრეზიდენტმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწია. როგორი რეაქცია ჰქონდა დასავლეთს მის მიერ პროვოცირებულ კონფლიქტში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე?

— რუსეთს მკაცრი სანქციები დაუწესა კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულების საქმეში დახმარებისთვის. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ პატივს სცემს შოტლანდიის რეფერენდუმსა და აღიარებს ფოლკლენდის კუნძულებზე მცხოვრებთა უფლებას თვითგამორკვევის შესახებ, მაგრამ დასავლეთმა, როდესაც ეს ასე დასჭირდა, ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმი უკანონოდ გამოაცხადა“, — წერს ანსარ კჰანი.



**„1997 წლის ნატო-რუსეთის ხელშეკრულების თანახმად, ნატოს ვალდებულება აქვს აღებული, რომ რუსეთის ეროვნულ ინტერესებს არ შეუქმნის საფრთხეს და მის საზღვრებთან არ გახსნის ბაზებს, მაგრამ ნატომ გვერდი აუარა ამ ვალდებულებას და საქართველოში გახსნილი სწრაფი რეაგირების ობიექტები, ფაქტობრივად, ნატოსა და აშშ-ის ბაზებია“**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*თამარ კიკნაძე:*

# 2021 წელს ვადა გასდის ყარსის ხელშეკრულებას, რომლის გარანტებიც არიან რუსეთი და თურქეთი და ამაზე უნდა ვიფიქროთ!

**საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი თამარ კიკნაძე:**

— ჩვენში გამჯდარია აზრი, რომ საბჭოთა კავშირი ეროვნულმა მოძრაობებმა დაანგრია. ეროვნული მოძრაობა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ არა — ძირითადი. სსრკ-ის დანგრევაში უდიდესი წვლილი შეიტანა პოლიტიკურმა ელიტამ და შევარდნაძე იყო ერთ-ერთი ფიგურა, რომელიც მონაწილეობდა ნგრევის პროცესში. მას სწამდა, რომ რუსეთი, როგორც პოლიტიკური აქტორი, აღარ იყო მნიშვნელოვანი და დასავლეთს ანიჭებდა უპირატესობას. მახსოვს, შევარდნაძე ამბობდა, რუსეთი მალე დაინგრევაო, თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა და პირიქით მოხდა. რუსეთი კი არ დაინგრა, ძალა მოიკრიბა და დღეს პრეტენზიას აცხადებს, რომ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა საერთაშორისო არენაზე. **მკვეთრად დასავლური პოლიტიკური გზის არჩევის გამო კი საქართველო ბევრჯერ დაისაჯა.** ამის მაგალითი იყო 2008 წლის ომი, რომელიც მიღებულია, როგორც რუსეთ-საქართველოს ომი. **რეალურად ეს იყო გლობალური ომი დასავლეთსა და რუსეთს შორის საქართველოს ტერიტორიაზე.** ამ თამაშში ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა — დაიღუპნენ ბიჭები, განადგურდა ინფრასტრუქტურა და, რაც მთავარია, დაიკარგა ტერიტორიები. რუსეთმა თავისი ამოცანა შეასრულა და დამოუკიდებლად გამოცხადებულ ტერიტორიაზე აქვს სამხედრო ბაზები. 1999 წლის სტამბულის ხელშეკრულების თანახმად, რამდენი ბაზაც გავიდა საქართველოდან, ორი იმდენი შემოვიდა 2008 წელს. რაც შეეხება საწვრთნელი ბაზების გახსნას საქართველოში, **1997 წლის ნატო-რუსეთის ხელშეკრულების თანახმად, ნატოს ვალდებულება აქვს აღებული, რომ რუსეთის ეროვნულ ინტერესებს არ შეუქმნის საფრთხეს და მის საზღვრებთან არ გახსნის ბაზებს. მაგრამ, ნატომ გვერდი აუარა ამ ვალდებულებას და საქართველოში გახსნილი სწრაფი რეაგირების ობიექტები, ფაქტობრივად, ნატოსა და აშშ-ის ბაზებია.** რუსებმა ძალიან კარგად იციან ამ ყველაფრის შესახებ. ამიტომ განცხადებები სწრაფი რეაგირების ბაზებს გახსნის შესახებ დიდი საფრთხის შემცველია საქართველოსთვის.

**— რა საფრთხე ემუქრება საქართველოს ახლო მომავალში?**

— ამჟამად რუსეთი ცუდ მდგომარეობაშია — მას აქვს უკრაინის პრობლემა. კავკასია კი რუსეთის ეროვნული ინტერესების სფეროშია და ის არ დაუშვებს იქ რამე ტიპის ცვლილებას. სომხეთი მკვეთრადაა გამოკვეთილი, როგორც რუსული სატელიტი, აზერბაიჯანი თამაშობს წონასწორობის პოლიტიკას, მაგრამ **აშშ-ის ელჩმა აზერბაიჯანში — რიჩარდ მორნინგსთარმა თქვა, რომ შეიძლება მეორე მაიდანი აზერბაიჯანში მოხდეს,** ანუ იქაც მიმდინარეობს ვაჭრობა. საქართველო კი არის მკვეთრად გამოხატული პროდასავლური ქვეყანა, აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი, მაგრამ ხელისუფლება ამ პირობებში მაინც ფრთხილობს. მაგრამ, „მეხუთე კოლონის“ სახით არსებული „ნაციონალური მოძრაობა“ პირდაპირ დესტრუქციულ ქმედებებს ითხოვს და ჩასაფრებულია, რომ ხელისუფლებას მკვეთრი ნაბიჯი გადაადგმევინოს საქართველოს საზიანოდ. **„ნაცმოძრაობა“ არ არის პროქართული ძალა და არც მისი ოპოზიციაში ყოფნაა სასურველი. ეს ძალა უნდა გაქრეს პოლიტიკური სცენიდან,** თუმცა ზოგიერთს, როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით, ხელს აძლევს ამ პარტიის ოპოზიციაში ყოფნა. ისინი „ნაცმოძრაობის“ შეგნებისა არიან, რომლებსაც არ აქვთ ეროვნულობის განცდა, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, „ოცნების“ ჯანსაღმა ძალამ გააძლიეროს ჯანსაღი ფრთა, მაგრამ კოალიციაში ამის გაკეთების სურვილს ვერ ვხედავ. **აშკარაა მცდელობა „ოცნების“ დისკრედიტაციისა; და თუ გონს არ მოეგნენ, უკვე მოახლოებულ არჩევნებზე ძალიან ცოტა ხმას მიიღებენ. გარდა ამისა, საქართველოში არის რეალური ოპოზიციის ვაკუუმი. კარგი იქნება, შეიქმნას ახალი ძალა, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ ჩაანაცვლებს და ამ პროცესებს გააჯანსაღებს.**

დღეს მსოფლიოში ბევრი ომია. პირველ რიგში, ომია გამოცხადებული და ყოველდღიური შეტევა ხორციელდება ადამიანურ ღირებულებებზე, მის ფსიქოლოგიასა და მენტალობაზე. განათლების დღევანდელი სისტემა ამის ძალიან კარგი მაგალითია. **ბოლონიის პროცესის შედეგად, აქცენტი გამახვილებულია არა პროფესურაზე, არამედ მაღალჩინოსნებზე, რომლებიც წერენ სილაბუსებს, ტექნიკურად აფორმებენ სასწავლო პროცესს და ანაზღაურება და პატივისცემა გაცილებით მეტი აქვთ, ვიდრე პროფესორებს, რომლებმაც უნდა წაიყვანონ სასწავლო პროცესი.**

ამ ბიუროკრატიამ, სწავლის დეტალიზებამ მოიტანა ის, რომ სწავლის ხარისხი დაცემულია. როგორც კი „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა ხელისუფლებაში, დაიწყო განათლების სისტემის რღვევა, გაუფასურება, იმიტომ, რომ ცნობილი ფაქტია: განათლების სისტემა დიდ როლს თამაშობს ქვეყანაში. რა ღირებულებებითაც ზრდი ახალგაზრდა თაობას, იმ ღირებულებებით ცხოვრობს. ამას გარკვეულწილად მიაღწია „ნაცმოძრაობამ“. **ახლახან მქონდა ასეთი შემთხვევა: ლექციაზე აღფრთოვანებით ვთქვი, „ვეფხისტყაოსანი“, ადამიანური ღირებულებების თვალსაზრისით, რენესანსს 4 საუკუნით უსწრებდა-მეთქი და ერთმა სტუდენტმა მიპასუხა, — მერე რა მოხდა, ეს რა განსაკუთრებული ღირებულებებიაო.** სამწუხაროა, ეს რომ არ იციან და ვერც ხვდებიან. ევროპაში გაქანებული ინკვიზიცია იყო, ადამიანებს კოცონზე წვავდნენ, როდესაც საქართველოში ქალთა უფლებებს იცავდნენ და მას ქმართან გაშორების უფლებაც კი ჰქონდა.

**როდესაც ქვეყანას იპყრობდნენ, პირველ რიგში, განათლების სისტემის უზურპირებას ახდენდნენ. ეს პროცესი საქართველოში ინტენსიურად განხორციელდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ — შეცვალეს პროფესურა, დიდი დარტყმა მიაყენეს ჯავახიშვილის უნივერსიტეტს, გაიფილტრა ყველა ის პროფესორი, რომლებიც ეროვნულ ღირებულებებზე ლაპარაკობდა. ეს იყო მიზანმიმართული პროცესი.** დღევანდელი უმაღლესი სასწავლებლები არ არიან კონკურენტული ცოდნის მომცემი, ეს უფრო სოციალიზაციის, ღირებულებების ჩამოყალიბების კერაა.

**„დღეს უნივერსიტეტებში ლექციებს კითხულობენ ახალგაზრდები, რომლებსაც რაღაც თეორიები აქვთ ერთი წიგნიდან გავლილი და, როგორც კი ამ წიგნს გადაუხვევ და სხვა რამეს შეეკითხები, ისეთ სისულელეს გიპასუხებენ, აგეტირება. გონზე არ არიან! თაობები ილუპება, ამიტომ სასწავლო პროცესის მოწესრიგება პირველი ამოცანა უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისთვის!“**

**— საიდან იღებს სათავეს ე.წ. სოციალიზაციის პროცესი?**

— ეს გლობალური პროცესია, სტანდარტირება ხდება სწავლა-განათლების გარკვეულ მასშტაბზე. ასწავლიან ზედაპირულად. დღეს, მაგალითად, ჩემს სფეროში თითქმის არ არის ქართულად ნათარგმნი წიგნები, რომლებიც რეალურად ასახავს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. ამ პროცესების მიზანია დერაციონალური გონების ადამიანების შექმნა, რომელთა მართვა ადვილია. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გაქრა მთელი რიგი ფუნდამენტური მეცნიერებებისა. **წარმოგიდგენიათ, დიმიტრი უზნაძის ქვეყანაში ფსიქოლოგიის უნივერსიტეტი გააუქმეს!** არსებობს მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც მოკლევადიან შედეგზე არიან ორიენტირებული; მაგალითად, ფაკულტეტები საბანკო საქმე, ბიზნესი... **ბიზნესის ფაკულტეტები არის ქვეყანაში, სადაც, ფაქტობრივად, ბიზნესი არ არსებობს.** არადა, პარადოქსია — ყველაზე დიდი კონკურსი სწორედ ბიზნესის ფაკულტეტზეა. ანალოგიური რამ ხდება საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზეც. **ამ პატარა ქვეყანაში ამდენი დიპლომატი როგორ უნდა დასაქმდეს, საინტერესოა.**

**დღეს უნივერსიტეტებში ლექციებს კითხულობენ ახალგაზრდები, რომლებსაც რაღაც თეორიები აქვთ ერთი წიგნიდან გავლილი და როგორც კი ამ წიგნს გადაუხვევ და სხვა რამეს შეეკითხები, ისეთ სისულელეს გიპასუხებენ, აგეტირება. გონზე არ არიან! მთელი თაობები ილუპება, ამიტომ სასწავლო პროცესის მოწესრიგება პირველი ამოცანა უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისთვის!**

**ამიტომაცაა საქართველოში გამეფებული ეიჯიზმი, ანუ უფროსი ადამიანების დისკრედიტაცია. ეს ადამანები დღესაც ჩარეცხილები არიან** — არც თანამდებობებზე ნიშნავენ და არც აზრს ეკითხებიან. გადაწყვეტილებებს იღებენ ახალგაზრდები, რომლებიც ადვილი სამართავი არიან. ასევე უგულებელყოფილია პატიოსნება, მორალური პრინციპები. საქართველოში კაზანტიპის ჩატარებაც ამის დამადასტურებელი მაგალითია. ადამიანს, რომელსაც არ აქვს მორალური პრინციპები, ნებისმიერ რამეს გააკეთებინებ. ასეთ ადამიანს და ასეთ ქვეყანას კი ნებისმიერი მტერი მოერევა. **უზნეო ქვეყნებს ხანგრძლივი ცხოვრება არ უწერიათ.** დღეს გაბატონებული მოდა სვირინგის, პირსინგისა და ა. შ. **წარმოიდგინეთ, შინაგანად როგორი ცარიელი უნდა იყოს ადამიანი, რომ ყურადღების მიპყრობას სვირინგით ცდილობდეს. ესეც მსოფლო გლობალიზაციის შედეგია.**

**— ვინ მართავს ამ პროცესებს?**

— ზენაციონალური სტრუქტურები და ის ადამიანები, რომლებიც დღეს ყველაზე მდიდრები არიან. დაახლოებით 300-400 ოჯახზეა საუბარი, რომლებიც გლობალიზაციის ძირითად ავტორებად განიხილებიან.

**— დღეს აქტიურად საუბრობენ ტრანსჰუმანიზმზეც...**

— ტრანსჰუმანიზმის მთავარი მიზანი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უახლოესი მიღწევების გამოყენებით ადამიანის განუხრელი სრულყოფაა. დროთა განმავლობაში იგეგმება სიბერისა და სიკვდილის თავიდან აცილება. ადამიანს შეეძლება, თვითონ გადაწყვიტოს, როდის მოკვდეს ან, საერთოდ, მოკვდეს თუ არა. ტრანსჰუმანისტები მხარს უჭერენ ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. განსაკუთრებით პერსპექტიულად მიაჩნიათ ნანო და ბიოტექნოლოგიები, აგრეთვე, საინფორმაციო ტექნოლოგიები.

კრიტიკოსების ძირითადი არგუმენტია ის, რომ ხდება ადამიანური არსების უარყოფა, ადამიანი თანდათან დაკარგავს თავის გარეგნულ, სექსუალურ, სოციალურ და სულიერ თვითიდენტიფიკაციას. ამ კონცეფციას იზიარებს ბევრი საერო და რელიგიური პირი. **ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ფრენსის ფუკუიამა თვლის, რომ დღეს ეს „ყველაზე უფრო საშიში იდეაა“, რომელსაც ბევრი თანმდევი მოვლენა ახლავს.** უპირველეს ყოვლისა, ის გამოიწვევს ადამიანთა დისკრიმინაციის ზრდას როგორც სოციუმში, ისე ქვეყნებს შორის, გააჩენს უთანასწორობის ახალ ფორმებს. სწორედ ამიტომ **დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლებას და, განსაკუთრებით, ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარებას. ამ მხრივ კი საქართველოს სახარბიელო მდგომარეობა არ აქვს.**

**— დასასრულ, აჭარაში მიმდინარე პროცესებზე, მუსილმან და ქრისტიან ქართველებს შორის დაპირისპირებაზე რას ფიქრობთ?**

— აქ ცხადად ჩანს მუსლიმანური სახელმწიფოების გავლენა და არავისთვისაა დასამალი, რომ თურქეთი აჭარას განიხილავს თავის შემადგენლობაში. **2021 წელს ვადა გასდის ყარსის ხელშეკრულებას, რომლის გარანტებიც არიან რუსეთი და თურქეთი და ამაზე უნდა ვიფიქროთ!** საქართველო გეოგრაფიულად ისეთ გარემოცვაშია, სადაც ყველას თავისი ინტერესების გატარება სურს. ერთ-ერთი კი თურქეთია. საიდუმლო არ არის დავით ოღლუს დოქტრინა ოსმალეთის იმპერიის გავლენების შესახებ, ამიტომ ყველაფერი უნდა აიწონოს, გაიზომოს და შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნას მიღებული.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

პირადი საქმე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მალაშხიამ ე. წ. ჩაგრულ ზურაბ ჟვანიას შესთავაზა თავისი პარტია, რათა ეჭარა კენჭი. ასე მოხვდა მალაშხია პოლიტიკაში, ეს იყო, რა თქმა უნდა, მცდარი ნაბიჯი, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ეროვნულობასთან, ეს იყო ყოვლად უგადრუკი ნაბიჯი, რადგანაც ზურაბ ჟვანია (მიცვალებულია და მასზე აუგის თქმა არ შეიძლება, მაგრამ...) ქართული ეროვნულობის, ცნობიერებისა და ტრადიციების გამოკვეთილი მტერი გახლდათ.“**

# შოთა მალაშხია — წარმატებული პოლიტიკოსი თუ ჩვეულებრივი მედროვე?

**საქართველოში ძალიან ბევრი „წარმატებული“ საჯარო მოხელე გვყავს, რომელთა „წარმატების საიდუმლო“ სულაც არ არის შრომისმოყვარეობა, ნიჭიერება... პირიქით, მათმა უმეტესობამ კარიერა გაიძვერობითა და ვინმესთან მიტმასნება-შეძრომით გაიკეთა. ასეთ ადამიანებს ხალხი რატომღაც უსმენს, მათ ნააზრევს ითვალისწინებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მხოლოდ სხვისი დავალებების შემსრულებლები არიან. სამაგიეროდ, ტელევიზიები და ინტერნეტსივრცე გადაჭედილია ისეთი "რუპორებით", რომლებიც, კაცმა არ იცის, რატომ ითვლებიან „წარმატებულ“ მოხელეებად ან პოლიტიკოსებად.**

**„საქართველო და მსოფლიო“ შეეცდება, გაგაცნოთ „ნაცების“ რეჟიმისგან ძალიან არიან დავალებული ადამიანები, და თვითონ განსაჯეთ — არიან თუ არა ისინი სამშობლოსთვის თავდადებულნი და რას შეიძლება მოველოდეთ მათგან.**



**«მათ, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს იმას, რომ დაშალეს ეროვნული მოძრაობა. თუ დავაკვირდებით, რა ხდება დღეს და როგორ მოღვაწეობს შოთა მალაშხია, სავსებით ლოგიკურია დასკვნა, რომლის გამოტანაც თქვენი ანონიმური წყაროს ნაამბობიდან შეიძლება»**

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ეს სახელი იმიტომ შეარჩია, რომ იმ ხალხისთვის, რომლის მოტყუებასაც აპირებდა, ეროვნული მოძრაობის ასოციაცია შეექმნა. 1989-1990 წლებში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცდილობდა, თავისი საქმე გვერდზე გადაედო და იოტისოდენა წვლილი მაინც შეეტანა საქვეყნო საქმეში. „ნაციონალური მოძრაობა“ ფასადად აპირებდა ზვიად გამსახურდიას მომხრეების გამოყენებას. ასეც მოხდა. **სევდია უგრეხელიძე, შოთა მალაშხია, ზვიად ძიძიგური, ნუგზარ წიკლაური, ეკა ხერხეულიძე და სხვები იმიტომ იდგნენ სააკაშვილის გვერდით, რომ ზვიად გამსახურდიას ყოფილ მომხრეებს სადღაც სულის სიღრმეში ეფიქრათ ან თუნდაც ეჭვი ჰქონოდათ, რომ სააკაშვილი იქნებოდა ზვიად გამსახურდიას საქმეების გამგრძელებელი** (ძალიან უნდოდათ, ზვიად გამსახურდიასთან „პარალელები“ გაევლოთ 2012 წელსაც, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ დამთავრდა, მაგრამ ასეთ „პარალელებს“ სხვა ტყუილებივით მოკლე ფეხი აღმოაჩნდა). რაც შეეხება ყოფილ ზვიადისტებს, მათგან დღეს ორიოდე ადამიანი თუა დარჩენილი საჯარო სამსახურში.

**დღეს მკითხველის ყურადღებას ერთ-ერთზე შევაჩერებთ — შოთა მალაშხიაზე. მას განსაკუთრებით საინტერესო ბიოგრაფია აქვს**:

დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი ექიმის კვალიფიკაციით;

სპეციალობა — სამკურნალო საქმე

სამუშაო/პოზიცია — 26 კომისრის რაიონის ბინათმმართველობის მუშა (1979-1980)

სამუშაო/პოზიცია — 132-ე ტექნიკური სასწავლებელი, მოსწავლე (1980-1981)

სამუშაო/პოზიცია — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო, ელშემკეთებელი (1981-1982)

სამუშაო/პოზიცია — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო (1983)

სამუშაო/პოზიცია — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, სტუდენტი (1983-1989)

სამუშაო/პოზიცია — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, ექიმი-ინტერნი (1989-1990)

სამუშაო/პოზიცია — პოლიკლინიკა 2, ლაბორანტი (1991-1998)

სამუშაო/პოზიცია — პოლიკლინიკა 2, ექიმ-ნევროპათოლოგი (1999-2003)

სამუშაო/პოზიცია — საქართველოს პარლამენტის წევრი (2004-2008)

სამუშაო/პოზიცია — საქართველოს პარლამენტის წევრი (2008-2012)

საარჩევნო ბლოკი — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — „მეტი სარგებელი ხალხს“

**აქტიურობა:** ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — ფრაქციის წევრი; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია — კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი — კომიტეტის წევრი; პოლონეთის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფი — წევრი; ესტონეთის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფი — წევრი; ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფი — წევრი; ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფი — წევრი.

## რის შესახებ დუმს პარლამენტის ოფიციალური საიტი

ერთობ საინტერესოა, რომ შოთა მალაშხიას დაბადების წელი არ იყო მითითებული საქართველოს პარლამენტის საიტზე განთავსებულ მის ბიოგრაფიულ მონაცემებში. საინტერესოა ისიც, რომ ბატონი შოთა მალაშხია 1983 წელს მოეწყო სამედიცინო ინსტიტუტში, მანამდე მუშურ-გლეხური წარსული აქვს (1979-1982), მუშაობდა ე. წ. სტაჟისთვის, რათა სამედიცინოზე ჩასაბარებლად საბუთები მიეღო.

მაშ, ასე, აი, რას გვიყვება „წარმატებულ“ პოლიტიკოს შოთა მალაშხიაზე ჩვენი კონფიდენციალური წყარო (ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ):

"1989 წელს შოთა მალაშხია განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სერიოზულად ჩაერთო 1991 წელს, ხოლო გამოიკვეთა მაშინ, როცა პოლიტიკურ გაერთიანება „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოს“ თენგიზ კიკაჩეიშვილი ჩაუდგა სათავეში. ეს პოლიტიკური წარსულიც არ არის მითითებული ბიოგრაფიაში, თუმცა, წესით, ამომრჩეველს ასარჩევი პირის პოლიტიკური წარსული უფრო უნდა აინტერესებდეს, ვიდრე მისი შრომითი ბიოგრაფია. ასევე არაფერია ნათქვამი, თუ როგორ გაუუქმეს ერთხელ საარჩევნო რეგისტრაცია ზურაბ ჟვანიას და როგორ აპირებდა ის კენჭისყრას „ქრისტიან-კონსერვატიული“ პარტიის სახელით, რომელსაც შოთა მალაშხია ხელმძღვანელობდა. არაფერია ნათქვამი ეროვნული თანხმობის დარბაზზე, რომელსაც აწ განსვენებეული აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი ონანიზმს უწოდებდა (ეს პროცესი სიამოვნებას იძლევა, მაგრამ შედეგს ვერაო). თუმცა ეროვნული თანხმობის პროცესს ერთი „შედეგი“ მოჰყვა. კერძოდ, ის, რომ ზვიადისტები, რომლებიც ასლან აბაშიძის გარშემო იყვნენ შემოკრებილნი, მოხვდნენ 1999 წლის მოწვევის პარლამენტში, მაგრამ თენგიზ კიკაჩეიშვილის „მრგვალი მაგიდიდან“ ბარიერი ვერავინ გადალახა. **ზურაბ ჟვანია, თანხმობის პროცესის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, აუღელვებლად დაემშვიდობა „მრგვალი მაგიდის“ ფრთას და ურთიერთობა შეინარჩუნა ერთადერთ კაცთან — შოთა მალაშხიასთან, ანუ ზურაბ ჟვანიამ დეპუტატის მანდატი მიიღო თენგიზ კიკაჩეიშვილის „მრგვალი მაგიდის“ ღალატისა და დაშლის ფასად.“** ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის კონცეფცია, რომელიც შოთა მალაშხიას ჰქონდა აფხაზეთის დაბრუნების შესახებ, თუმცა ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებთ.

**„1992 წელს, როდესაც გადატრიალება დასრულდა, ძალიან ბევრი აფერისტი და აგენტი შეგზავნეს ზვიადისტურ ორგანიზაციებში. ბატონი მალაშხიაც, როგორც ჩანს, ერთ-ერთი მათგანი იყო იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ის „მრგვალი მაგიდა“, რომელიც თბილისში იყო, ფაქტობრივად, არაფრით დახმარებია ზვიად გამსახურდიასა და სამეგრელოს, მალაშხია კი „მრგვალი მაგიდის“ ლიდერების ხუთეულში გახლდათ.** იმ პერიოდში მალაშხიას თავი ისე ეჭირა, რომ შევარდნაძე იყო რუსეთუმე, თვითონ კი იყვნენ პროდასავლურნი — ხმა დადიოდა, მალაშხია კისინჯერის ძმაკაციაო. ასე გრძელდებოდა 1999 წლამდე. ამ პერიოდში მალაშხიას ინიციატივით კიდევ ერთი საქმე გაკეთდა. საარჩევნო კომისიას რეფერენდუმზე გასატანად შესთავაზეს რუსეთის ჯარის გაყვანის საკითხი, ამისთვის მოგროვილი იყო 100 ათას ხელმოწერაზე მეტი, მაგრამ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი განაცხადა. ეს ხელმოწერები გამოყენებული იქნა 1999-ში, როცა საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის ხელმოწერები დასჭირდათ. 1999 წელს საქმის გარჩევაც უნდა მომხდარიყო პარტიის წევრების მხრიდან — მალაშხიას ეუბნებოდნენ, თუ ხედავდი, რომ ვერ გავიმარჯვებდით, რაღას გვატყუებდიო, მაგრამ არ შედგა ეს გარჩევა, რადგან ლალი კუხალაშვილის ბინაში იყვნენ შეკრებილნი და მასპინძლის თხოვნით, თავი შეიკავეს. დიახ, არჩევნებში მონაწილეობას ლობირებდა მალაშხია, რომელიც კიკაჩეიშვილს არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდებდა. „მრგვალი მაგიდის“ არაერთი წევრი აგენტსაც კი უწოდებდა მალაშხიას. „მრგვალი მაგიდა“ ამ იდეის (არჩევნების) გამო დაიშალა, ხოლო მოგვიანებით შოთას პარტია ზურაბ ჟვანიასთან აღმოჩნდა, რომელმაც არჩევნებისთვის თავის პარტიის რეგისტრირება ვერ მოახერხა. არჩევნებში სხვებთან ერთად ეს პარტიაც გავიდა და ამ პერიოდიდან მალაშხია ღიად ირიცხება ზურაბ ჟვანიას გუნდში. თანაც დეპუტატობასაც გამოჰკრა ხელი“, — აღნიშნავს წყარო.

## შოთა მალაშხიას ქონებრივი დეკლარაციები

პარლამენტის წევრი შოთა მალაშხია **2005 წელს** (წინა წლების დეკლარაციები საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ საიტზე არ არის განთავსებული) ფლობდა:

კერძო სახლს ქ. თბილისში, ფილიას ქ. №4, რომლის საბაზრო ღირებულებაა 100 000 ლარი;

ავტომობილს: „ფოლკსვაგენ პასატი“ — 10 000 ლარი;

საბანკო ანგარიში: „ბაზის ბანკი“ — ხელფასის დანაზოგი, ვიზა გოლდი — 6 000 ლარი;

▶

## «ნაყიდი ჟურნალისტები»

**გერმანიაში ბესტსელერად იქცა წიგნი, რომელშიც მოთხრობილია, როგორ ასრულებდნენ ადგილობრივი მედიასაშუალებები აშშ-ის დაზვერვისა და ნატოს დავალებებს.**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები — ეს არის ძლიერი ძალა, რომელიც ადამიანების გულსა და გონებაზე მოქმედებს. ამ სფეროში ძალიან დიდია მიკერძოების ალბათობა, თუმცა გერმანიაში მოვლენების გაშუქებაზე უცხო ძალები მოქმედებდნენ და ამ შემთხვევაში უბრალო სუბიექტივიზმზე ლაპარაკი არ შეიძლება. ასეა აღწერილი გერმანული მედიის მდგომარეობა წიგნში, რომელიც ცოტა ხნის წინათ ბესტსელერად იქცა. ახალი წიგნი, რომელიც ჯაშუშებზე, მექრთამეებზე, ჟურნალისტებსა და პოლიტიკურ ინტრიგებზე მოგვითხრობს, რომანი არ არის. უდო ულფკოტე თავის ნაწარმოებში სახელწოდებით „ნაყიდი ჟურნალისტები“ პოპულარულ გერმანულ გაზეთში მუშაობის 17 წელიწადს იხსენებს. წიგნის ავტორი წერს, რომ აშშ-ის დაზვერვა ამა თუ იმ ისტორიის მისთვის სასურველი კუთხით წარმოჩენისთვის ფულს უხდიდა. უფრო მეტიც, ულფკოტე ამბობს, რომ გერმანიის ზოგიერთი მედიასაშუალება ნატოს პროპაგანდის სამსახურის დანამატია; ამ ამბავმა ბევრი ადამიანი შეიძლება შოკში ჩააგდოს, მაგრამ მათთვის, ვინც ჟურნალისტიკის სფეროში მუშაობდნენ ან მუშაობენ, გასაოცარი არაფერია.






პირადი საქმე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სევდია უგრეხელიძე, შოთა მალაშხია, ზვიად ძიძიგური, ნუგზარ წიკლაური, ეკა ხერხეულიძე და სხვები იმიტომ იდგნენ სააკაშვილის გვერდით, რომ ზვიად გამსახურდიას ყოფილ მომხრეებს სადღაც სულის სიღრმეში ეფიქრათ ან თუნდაც ეჭვი ჰქონოდათ, რომ სააკაშვილი იქნებოდა ზვიად გამსახურდიას საქმეების გამგრძელებელი.

◀ ფულადი თანხის მესაკუთრე: 7 000 დოლარი.

**2006 წელს**

კერძო სახლს ქ.თბილისში, ფილიას ქ. №4 — საბაზრო ღირებულება 100 000 ლარი;

ავტომობილს: "ფოლკსვაგენ პასატი" — 10 000 ლარი;

საბანკო ანგარიში: "ბაზის ბანკის" ბარათზე — 9.000 ლარი.

ფულადი თანხის მესაკუთრე: 10 000 დოლარი.

**2007 წელს**

კერძო სახლს ქ.თბილისში, ფილიას ქ. №4 — საბაზრო ღირებულება 100 000 ლარი;

ბინას ქ. თბილისში, ქობულეთის ქ 34/36 — საბაზრო ღირებულება 400 000 ლარი;

ავტომობილს: "ფოლკსვაგენ პასატი" — 10 000 ლარი;

საბანკო ანგარიში: "ბაზის ბანკი", ბარათი — 1.000 ლარი.

ფულადი თანხის მესაკუთრე: 15 000 დოლარი.

**2008 წელს**

კერძო სახლს ქ.თბილისში, ფილიას ქ. №4 — საბაზრო ღირებულება 100 000 ლარი;

ბინას ქ. თბილისში, ქობულეთის ქ 34/36 — საბაზრო ღირებულება 400 000 ლარი;

მიწის ნაკვეთი ოზურგეთის რაიონის დაბა ურეკში — 15 000 ლარი;

საბანკო ანგარიში: "ბაზის ბანკი", ბარათი — 3,300 ლარი;

საბანკო ანგარიში: "თიბისი ბანკი", ანაბარი — 9.000 დოლარი;

**2009 წელს**

მშენებარე ბინას — ხელვაჩაურის რაიონში, სოფელი გონიოში — 50 კვ.მ, 42 000 ლარი;.

საბანკო ანგარიში: "ბაზის ბანკი", ბარათი — 2000 ლარი;

საბანკო ანგარიში: "თიბისი ბანკი", ანაბარი — 10.000 დოლარი.

**2010 წელს**

მიწის ნაკვეთს ქ. თბილისში, ფილიას ქ. №4, ფართობი — 650.00 კვ.მ;

საცხოვრებელ სახლს ქ თბილისში, ფილიას ქ. №4, ფართობი — 300.00 კვ.მ;

ბინას ქ. თბილისში, ქობულეთის 34/36, ბ. №7, ფართობი — 240.00 კვ.მ;

მიწის ნაკვეთს წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში, ფართობი — 12509.00კვ.მ;

ბინას ხელვაჩაურში, სოფ. გონიოში, ფართობი — 50.00 კვ.მ

ფატმან ანთაძე: (მალაშხიას მეუღლე) მიწის ნაკვეთს თეთრიწყაროს რაიონში,

სოფელ ამლევში, ფართობი — 600.00 კვ.მ;

ფატმან ანთაძე: მიწის ნაკვეთს, ოზურგეთში, სოფ. ურეკში, ფართობი — 400 კვ.მ;

საბანკო ანგარიში: "თი-ბი-სი ბანკი": მიმდინარე 20.00 დოლარი;

„თი-ბი-სი ბანკი": ანაბარი 11 500.00 დოლარი;

"ბაზის ბანკი": სახელფასო 3000.00 ლარი;

ფულადი თანხის მესაკუთრე: 12 000 დოლარი;.

**2011 წელს**

უძრავი ქონება — იგივე

საბანკო ანგარიშები: „თიბისი ბანკი: მიმდინარე —20.00 დოლარი;

„თი-ბი-სი ბანკი": ანაბარი 12265.00 დოლარი;

„ბაზის ბანკი": სახელფასო 3000.00 ლარი.

**2012 წელს**

უძრავი ქონება — იგივე, ოღონდ შემცირებულია ფილიას ქუჩაზე მდებარე სახლისა და ნაკვეთის ფართობები.

2 ახალი შენაძენი: მიწის ნაკვეთი წალენჯიხაში, სოფ. ნაკიფუში,

ფართობი 136552.00 კვ.მ და მეორე ნაკვეთი იმავე სოფელში, ფართობი — 50151.00 კვ.მ;

საბანკო ანგარიშები: „თი-ბი-სი" ბანკი." ანაბარი 13371.00 დოლარი;

„ბაზის ბანკი": სახელფასო 1000.00 ლარი.

**2013 წელს**

უძრავი ქონება — იგივე;

მსუბუქი ავტომანქანა „ფოლკსვაგენ პასატი" 2005 LMM789

საბანკო ანგარიში: "თიბისი ბანკი": ანაბარი 14571.00 დოლარი;

„ბაზის ბანკი": სახელფასო 0.00 ლარი;

სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი: 56 745.58 ლარი.

**2014 წელს**

უძრავი ქონება — იგივე;

მსუბუქი ავტომანქანა: „ფოლკსვაგენ პასატი" 2005 LMM789;

საბანკო ანგარიში: თიბისი ბანკი: ანაბარი 800.00 დოლარი კრედიტი(+);

„ბაზის ბანკი": სახელფასო 2000.00 ლარი კრედიტი(+);

როგორც ხედავთ, „წარმატებული" და „პატრიოტი" პოლიტიკოსის — შოთა მალაშხიას მატერიალური მდგომარეობა ყოველწლიურად უმჯობესდებოდა. თუ მას 2005 წელს მხოლოდ სახლი თბილისში (ფილიას ქუჩაზე), ავტომობილი „ფოლკსვაგენ პასატი", აგრეთვე, 6 ათასი ლარი და 7 ათასი დოლარი ჰქონდა,ბოლო წლებში მის უძრავ ქონებას შეემატა: მიწის ნაკვეთი თბილისში; ბინა თბილისში, ქობულეთის ქუჩაზე; მიწის ნაკვეთები წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში; ბინა ხელვაჩაურში, სოფ. გონიოში; მიწის ნაკვეთები თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ამლევსა და ოზურგეთის რაიონის სოფელ ურეკში (ფატმან ანთაძის, მალაშხიას მეუღლის სახელზე).

ახლა მალაშხიას გულდათუთქული თანამოაზრე ან გულშემატკივარი იტყვის, — ეს ყველაფერი მისი შრომის შედეგიაო. ნეტარ არიან მორწმუნენი... დასკვნა თვითონ გამოიტანეთ.

**შოთა მალაშხიას ოპონენტი, ბატონი ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

— საერთოდ, ეგ ბატონი პროფესიით ექიმია, თუმცა მისი ექიმობის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ. მგონი, არც უმუშავია ექიმად. ჩართული იყო ეროვნულ მოძრაობაში და თავს დებდა, როგორც ერთ-ერთი თავგადაკლული დამცველი ზვიად გამსახურდიას ნააზრევისა, პრინციპებისა და მოღვაწეობისა. **ეს ის პერიოდია, როცა პრეზიდენტი წასული იყო გროზნოში და თენგიზ კიკაჩეიშვილმა და შოთა მალაშხიამ მიითვისეს თუ მოირგეს თავკაცობა, ერთად წარმართავდნენ ეროვნულ მოძრაობას, დაახლოებით ისე, რომ ქუჩაში დემონსტარციები უნდა გაგველო დუმილით და ჩუმად გვეთქვა: დიდება უფალს! ამ პერიოდში, სხვათა შორის, მათივე დამსახურებით, სტუდენტობა საერთოდ ჩამოშორდა ეროვნულ მოძრაობას.** აი, ამის შემდგომ შოთა მალაშხია "ქრისტიან-კონსერვატიულ" პარტიას მოექცა სათავეში და გადადგა ზუსტად ის ნაბიჯი, რომელიც „გაუხარდებოდა" ზვიად გამსახურდიას: **მალაშხიამ ე. წ. ჩაგრულ ზურაბ ჟვანიას შესთავაზა თავისი პარტია, რათა ეყარა კენჭი. ასე მოხვდა მალაშხია პოლიტიკაში, ეს იყო, რა თქმა უნდა, მცდარი ნაბიჯი, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ეროვნულობასთან, ეს იყო ყოვლად უბადრუკი ნაბიჯი, რადგანაც ზურაბ ჟვანია (მიცვალებულია და მასზე აუგის თქმა არ შეიძლება, მაგრამ...) ქართული ეროვნულობის, ცნობიერებისა და ტრადიციების გამოკვეთილი მტერი გახლდათ.** სწორედ ამ გზით მოახერხა შოთა მალაშხიამ პარლამენტში მოხვედრა. **მახსოვს, ტრაქტატებს წერდა ზვიად გამსახურდიას უმაღლეს პრინციპულობასა და აზრებზე, მაგრამ ხომ იცით, ადამიანი იცვლება. დღეს მალაშხია „ნაციონალების" ერთგული გუშაგია.** ვინც „ნაციონალებს" მხარს უჭერენ, ხაზგასმით ამბობენ, რომ „ნაცმოძრაობა" არის ძალა, რომელმაც სიკეთე მოუტანა საქართველოს. არადა, რაც „ნაციონალებმა" დაატეხეს ქვეყანას თავს, ასეთი უბედურება არც თემურ ლენგს, არც ჩინგიზ ხანს და არც მონღოლთა სხვა შემოსევებს არ მოუტანია საქართველოსთვის. **ეს 9 წელიწადი, ალბათ, ისტორიაში შევა, როგორც განხორციელება სიკვდილის პროგრამისა, მიმართული ქართული ეროვნების, ცნობიერებისა და ზნეობის მოსპობისკენ. ეს პროგრამა, სხვათა შორის, დასავლეთში, კერძოდ, ამერიკაში დაიწერა და მის შემქმნელთა უერთგულესი კაცი იყო მიხეილ სააკაშვილი.** ეს ადამიანები საკუთარ სტომაქს და კიდევ სხვა ორგანოებს არიან აყოლილნი — ოღონდ კარიერა გაიკეთონ და საკუთარ შვილებს თავს მოაჭრიან. მათ შორის ერთ-ერთ გამობრძმედილ მებრძოლად და გუშაგად შოთა მალაშხია მიმაჩნია.

**— ამბობენ, მალაშხია „მრგვალ მაგიდაში" შეგზავნილი იყოო...**

— თუ ფაქტებით ვისაუბრებთ, ასე გამოდის. **მათ, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს იმას, რომ დაშალეს ეროვნული მოძრაობა. თუ დავაკვირდებით, რა ხდება დღეს და როგორ მოღვაწეობს შოთა მალაშხია, სავსებით ლოგიკურია დასკვნა, რომლის გამოტანაც თქვენი ანონიმური წყაროს ნაამბობიდან შეიძლება**. ჩვენ არ გვეშინია არც მალაშხიასი, არც ბოკერიასი, არც თარგამაძისა და არც სააკაშვილის, ყველას უნდა მოავლო ხელი და ვირთხების სოროში შეყარო და დააწერო, რომ ესენი არიან საქართველოს მტრები, შემდეგ კი მოუსავლეთში გაგზავნო.

## დასკვნა

შოთა მალაშხია გაურიგდა აწ განსვენებულ ზურაბ ჟვანიას და, მათი წყალობით, საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" 1999 წლის არჩევნებში დამარცხდა, რამაც ამ პოლიტიკური ორგანიზაციის დაშლა გამოიწვია. ამ პოლიტიკური ორგანიზაციის დაშლის საფასურად კი შოთა მალაშხიამ 2003 წელს ზურაბ ჟვანიასგან პარლამენტის დეპუტატის მანდატი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარეობა მიიღო. ამაშია მისი „წარმატების საიდუმლო".

და კიდევ — ზურაბ ჟვანიას გაურკვეველ ვითარებაში დაღუპვისთანავე შოთა მალაშხია, საზოგადოებისთვის მოულოდნელად, სააკაშვილის გუნდში აღმოჩნდა; მეტიც, სააკაშვილის ერთგული პოლიტიკოსის იმიჯიც მოირგო. ეს ერთგვარად გამოიხატება იმ ტყუილების და ცრუ დაპირებებისა "გაპრავებაში", რომლებსაც სააკაშვილი 9 წლის განმავლობაში თავის გუნდთან ერთად ახვევდა თავს საზოგადოებას (ამის შემდეგ მალაშხია ზვიადისტების მოძრაობამ ერთგვარად გარიყა). დღეს ეს ადამიანი ღიად იბრძვის ხელისუფლებაში „ნაცების" დაბრუნებისთვის. „ნაცებს" დიდი დაფინანსება აქვთ და ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ყველაფერს იკადრებენ (არაფერია, ოცნებას კაცი არ მოუკლავს)... ჰოდა, ჩვენი „წარმატებული" პოლიტიკოსი შოთა მალაშხია ერთ-ერთი ლიდერია იმ ჯგუფისა, რომელსაც სააკაშვილის გარემოცვა ჰქვია.

მოამზადა
**ქეთი ხომერიკმა**

**«წარმატებული» და «პატრიოტი» პოლიტიკოსის — შოთა მალაშხიას მატერიალური მდგომარეობა ყოველწლიურად უმჯობესდებოდა. თუ მას 2005 წელს მხოლოდ სახლი თბილისში (ფილიას ქუჩაზე),ავტომობილი «ფოლკსვაგენ პასატი» ,აგრეთვე, 6 ათასი ლარი და 7 ათასი დოლარი ჰქონდა,ბოლო წლებში მის უძრავ ქონებას შეემატა: მიწის ნაკვეთი თბილისში; ბინა თბილისში, ქობულეთის ქუჩაზე; მიწის ნაკვეთები წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში; ბინა ხელვაჩაურში, სოფ. გონიოში; მიწის ნაკვეთები თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ამლევსა და ოზურგეთის რაიონის სოფელ ურეკში (ფატმან ანთაძის, მალაშხიას მეუღლის სახელზე)**



# ლატვიის პრემიერის პრესმდივანი პორნო-კასტინგში მონაწილეობდა

**ლატვიის პრემიერმინისტრის ლაიმდოტა სტრაუიუმას პრესმდივანი ჯეინა ტამულევიჩი პორნოფილმებისთვის მსახიობების შესარჩევ პროცედურაში (კასტინგი) მონაწილეობდა. ამაზე მიუთითებს ჯეინა ტამულევიჩისა და პორნოფილმების ფრანგი რეჟისორის — პიერ ვუდმენის, საუბრის ვიდეოჩანაწერი, რომელიც უცნობმა პირმა „იუთუბი"-ზე არჩევნების წინ გამოაქვეყნა.**

უცნობმა პირმა ინტერნეტში გამოაქვეყნა ვიდეო, რომლის დასაწყისიც ლატვიის მემარჯვენე ცენტრისტული პარტიის — „ერთობის" სარეკლამო კლიპს ჰგავს. ვიდეოს მეორე ნაწილი ეთმობა პორნოფილმების ფრანგ რეჟისორთან ჯეინა ტაბულევიჩის გასაუბრებას — ქალს ფილმში მონაწიელობა სურს. შემდეგ მოდის პაროდიული ტექსტი ლატვიის პარტია „ერთობაზე": „ჯეინა სპორტის მინისტრად არ გამოდგება, მაგრამ ჩვენ — „ერთობა" მას საოჯახო საქმეების მინისტრის პოსტს შევთავაზებთ! აი, ამაში ის კარგად ერკვევა! და 4 ოქტომბერს ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეთ — ხმა მიეცით „ერთობას"!

ამ სკანდალურ ვიდეოზე ლატვიის პრესმინისტრს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, ჯეინა ტამულევიჩი კი მოკლე ფრაზით შემოიფარგლა: „არჩევნებში არ ვმონაწილეობ. პარტიის წევრი არ ვარ და რატომ გაავრცელეს ეს ვიდეო, გაუგებარია".

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 6 ივლისს ბალტიისპირეთის კიდევ ერთი სახელმწიფოს, ესტონეთის, პრეზიდენტის მეუღლეს, ეველინ ილვესს, პაპარაცებმა ფოტო იმ მომენტში გადაუღეს, როდესაც ერთ-ერთ კაფეში ახალგაზრდა მამაკაცს კოცნიდა. სკანდალის აგორების შემდეგ ეველინმა თავის 11 წლის გოგონასთან ერთად ესტონეთი დატოვა.




## აშშ-ში ორჯერ გაიზარდა ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა

**აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) წარმომადგენელთა განცხადებით, ქვეყანაში იარაღის გამოყენების შემთხვევათა რაოდენობამ მოიმატა — ექსპერტთა გამოთვლებით, ბოლო 7 წლის განმავლობაში აღრიცხულია 160 ინციდენტი, როდესაც მოქალაქემ ჩაიდინა ან შეეცადა, ჩაედინა მკვლელობა დახურულ შენობაში ან ადამიანთა თავშეყრის ადგილებში.**

გფბ-ს სპეციალისტებმა შეისწავლეს ინფორმაცია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების შესახებ 2000-2013 წლებში. გაირკვა, რომ 2000-2007 წლებში ასეთი ინციდენტების საერთო რაოდენობა წელიწადში 6,4 იყო. 2007-2013 წლებში კი ეს მაჩვენებელი 2-ჯერ გაიზარდა და 16,4-ს მიაღწია. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ტრაგედია კინოთეატრ „ავრორაში" (კოლორადოს შტატი), ვირჯინიის პოლიტიკურ ინსტიტუტში, ფორტ-ჰუდის (ტეხასი) სამხედრო ბაზაზე და სენტ-ჰუკის (კონეკტიკუტი) სკოლაში. აღსანიშნავია, რომ ექსპერტებმა 64 ინციდენტი შეაფასეს, როგორც „მასობრივი მკვლელობა" (შემთხვევა, როდესაც 3 ან მეტი ადამიანი დაიღუპა).

ვერსია

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ფრთხილად ვიყოთ, რადგან არავინ იცის, „ნაცები“ კიდევ რას მოიმოქმედებენ; შემოდგომისთვის დაგეგმილი არეულობა, შესაძლებელია, ჯერ კიდევ ძალაში იყოს“

**რამდენიმე დღის წინათ ქართულმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ექსპრეზიდენტი სააკაშვილი უკრაინიდან გააძევეს. როგორც „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ამბობს, უკრაინიდან მისი გაძევება მას შემდეგ მოხდა, რაც ამერიკულმა მხარემ სააკაშვილის დაცვაზე ხელი აიღო და ქილიკი დაიწყო. მისივე თქმით, სააკაშვილი ახლა ამერიკაში დაწანწალებს და ემიგრანტებს აწუხებს. გავრცელდა ასევე ინფორმაცია, რომ მას რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვაზეც უარი განუცხადეს.**



## ალექსანდრე ქურთაძე:

## უკრაინაში ომია, ნამდვილი ომი, აქ მიშა სააკაშვილს რა ესაქმება? თავის დროზე საკუთარ ქვეყანაში ვერ იომა და უკრაინაში მისი იმედი ვის უნდა ჰქონდეს?

ის, რომ ექსპრეზიდენტი ამჟამად ამერიკაშია და ემიგრანტებსაც ნამდვილად აწუხებს, კარდაკარ დადის და, ასე ვთქვათ, სადაც ჭიქა გაჭახუნდება, იქ ჩნდება, 28 სექტემბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში გასული სიუჟეტიდანაც შევიტყვეთ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ინიციატივით, 23 სექტემბერს კონფერენცია გაიმართა, ისაუბრეს იმაზე, თუ რამდენად საფრთხის შემცველია უკრაინაში მიმდინარე მოვლენები სამხრეთ კავკასიისთვის. კონფერენციაზე დამსწრე პოლიტოლოგებმა და ანალიტიკოსებმა ნათლად და გარკვევით დაასაბუთეს აღნიშნული საფრთხის რეალობა.

„ძალიან მარტივად შეიძლება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის პროვოცირება და სამივე ქვეყანა, საქართველოს ჩათვლით, ცეცხლში გაეხვევა“, — განაცხადა კონფერენციაზე ანალიტიკოსმა ვალერი კვარაცხელიამ.

საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარემ ალი ბაბაევმა კი თქვა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ეროვნული შუღლის ჩამოგდება სურს, ამისთვის ყველაფერს აკეთებს. „ჩემი თვალით ვნახე, როგორ ცდილობდნენ გარდაბანში არეულობის პროვოცირებას, ამიტომ ფხიზლად უნდა ვიყოთ“ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“, №34)

„საქართველო და მსოფლიო“ უკრაინაში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენ **ალექსანდრე ქურთაძეს** დაუკავშირდა.

**— ბატონო ალექსანდრე, ამბობენ, სააკაშვილი თავისი გუნდით უკრაინიდან გამოაგდესო...**

— მიშა აქ თავისი გუნდით ნამდვილად მოძრაობდა, ადგილობრივ ტელევიზიაშიც მიიწვიეს, პირდაპირ ეთერში დავრეკე, მინდოდა მეკითხა, უკრაინაში რას აკეთებდა, რა ესაქმებოდა იქ, მაშინ, როდესაც საკუთარი ქვეყანა დაღუპვის ზღვარზე მიიყვანა, მაგრამ არ დამალაპარაკეს, ტელეფონი გამითიშეს.

**— ამჟამად მანდ იმყოფება?**

— არა, აქ ჩამოსვლას ვეღარ ბედავს. მას შემდეგ, რაც საქართველოს მხარემ მასზე ძებნა გამოაცხადა, აქედან გაიქცა. უკრაინა სააკაშვილს საქართველოს გადასცემს.

**— კი, მაგრამ ხომ ამბობენ, პოროშენკო მისი მეგობარიაო...**

— პოროშენკო არ არის მისი მეგობარი, სხვები არიან. იმათ აქ დიდი ბანკი აქვთ, მაგრამ, თუ უკრაინამ გადაწყვიტა, რომ მიშა საქართველოს გადასცეს, მეგობრების გავლენა და ფული მას ვერ უშველის.

**— რამდენადაც ვიცით, უკრაინაში სააკაშვილი მარტო არ იყო...**

— არა, მარტო არ იყო. **კახა ბენდუქიძეც აქ იყო და გიორგი ვაშაძეც, დანარჩენები ჩამოდიოდნენ და ისევ უკან ბრუნდებოდნენ, უნდოდათ, რომ უკრაინაში იუსტიციის სახლი აეშენებინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. უკრაინა მაგარი ქვეყანაა, მაგათი საზოგინო სად არის? მიწებს ეძებდნენ მშენებლობებისთვის, ეგეც ვერ იშოვეს, არავინ მიჰყიდა. ასე რომ, არაფერი გამოუვიდათ.** მერე, როგორც კი ამ გიჟზე, სააკაშვილზე, ძებნა გამოცხადდა და გაიქცა, ესენიც გაქრნენ. თავს მაინც არ ანებებს უკრაინას, აქ არის რამდენიმე ტელევიზია, რომელიც ჩართვებს უკეთებს და ალაპარაკებს. ამბობს, თუ უკრაინის მთავრობა მომიწვევს, აუცილებლად ჩამოვალ, ამჟამად, ამერიკაში ვარ, ბიზნესი მაქვს და ლექციებს ვკითხულობო.

უკრაინაში ომია, ნამდვილი ომი, აქ მიშა სააკაშვილს რა ესაქმება? თავის დროზე საკუთარ ქვეყანაში ვერ იომა და უკრაინაში მისი იმედი ვის უნდა ჰქონდეს?



## ტრისტან წითელაშვილი:

## საჯარო განცხადება სააკაშვილის წინააღმდეგ უკრაინის მთავრობის წევრებს არ გაუკეთებიათ, მაგრამ პირად საუბრებში ამბობენ, რომ რამდენიმე კარგად დაგეგმილი ოპერაცია სწორედ ამ გიჟის მიზეზით ჩაიშალა

ასევე დაუკავშირდით გენერალ **ტრისტან წითელაშვილს**, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეატყობინა ქართულ მხარეს, რომ სააკაშვილი და მისი გუნდის რამდენიმე წევრი უკრაინაში ქართველ „ზონდერებთან“ ერთად წვრთნებს ატარებენ, რათა უკრაინული ევრომაიდნის სცენარი ჩვენთანაც განახორციელონო. მაშინ ეს ინფორმაცია ბევრმა სანდო წყარომ დაადასტურა.

**— ბატონო ტრისტან, რა იცით სააკაშვილის უკრაინიდან გაქცევისა თუ გაგდების შესახებ?**

— ყველაფერი ვიცი. თქვენთვის ცნობილია, რომ უკრაინაში მეგობრები და კოლეგები მყავს, რომლებიც უტყუარ ინფორმაციას მაწვდიან. სწორედ მე ვიყავი პირველი ადამიანი, რომელმაც საქართველოს გავაგებინე, თუ რას გეგმავდა სააკაშვილი და რა საფრთხე ემუქრებოდა ჩვენს ქვეყანას, ეს საფრთხე განეიტრალებული ჯერაც არ არის, არავინ იცის, „ნაცები“ რას გეგმავენ.

იმ პერიოდში, როდესაც სააკაშვილი საქართველოში რევოლუციის ინსპირირების გეგმებს აწყობდა, უკრაინაში მიმდინარე პროცესები მასობრივ არეულობაში გადაიზარდა; უფრო მეტიც, სამოქალაქო ომი დაიწყო. მიშა უკრაინის მთავრობას კრიზისიდან გამოსავლის პოვნას ჰპირდებოდა. სააკაშვილი ცდილობდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში მათი გუშემატკივრის როლი მოერგო და პროცესების მართვაც ხელში აეღო. ერთი პერიოდი სამთავრობო შტაბის წევრიც იყო, მაგრამ **უკრაინელებმა ძალიან მალე შეამჩნიეს, რომ სააკაშვილს პროცესები სულ სხვა მიმართულებით მიჰყავდა. ქვეყანა ჩიხში შევიდა, ხალხის დიდმა ნაწილმა მალევე გაიგო, რომ ის, რაც ქვეყანაში ხდებოდა ევროპისა და ამერიკის მიერ იყო პროვოცირებული, ამიტომ სააკაშვილის მეთოდები აღარ მოსწონდათ, თანაც აშკარა გახდა, რომ ვითარება უფრო და უფრო იძაბებოდა... სააკაშვილის ლუსტრირება მოხდა. ახლა უკრაინაში ქუჩაში რიგითი მოქალაქე რომ გააჩერო, სააკაშვილზე საშინელებებს გეტყვის, ამბობენ, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის სამოქალაქო ომის ესკალაციაში.**

**— ამ ინფორმაციებს თქვენი მეგობრები გაწვდიან?**

— დიახ, ჩემი კოლეგები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პროცესებში, ისინი ვილაცები არ არიან. **საჯარო განცხადება სააკაშვილის წინააღმდეგ უკრაინის მთავრობის წევრებს არ გაუკეთებიათ, მაგრამ პირად საუბრებში ამბობენ, რომ რამდენიმე კარგად დაგეგმილი ოპერაცია სწორედ ამ გიჟის მიზეზით ჩაიშალა.**

**— ამბობენ, სააკაშვილს შეეშინდა, რომ უკრაინის მთავრობა მას საქართველოს გადმოსცემდა და ამიტომ გაიქცაო.**

— დიახ, სააკაშვილმა უკრაინელ ხალხსაც და მთავრობასაც იმედი გაუცრუა. სხვათა შორის, ვიდრე სააკაშვილზე ძებნა გამოცხადდებოდა, დამიკავშირდნენ უკრაინელი მაღალჩინოსნები და ითხოვდნენ, იქნებ საქართველო როგორმე დახმარებოდა სააკაშვილის უკრაინიდან გაძევებაში, მაგრამ, აბა, ჩვენ რისი გაკეთება შეგვეძლო?

**— სააკაშვილს ერთ-ერთ უკრაინულ არხზე გადაცემაში უთქვამს, რომ, თუ უკრაინა მიმიწვევს, აუცილებლად ჩავალო...**

— არ არსებობს, რომ უკრაინის მთავრობამ მას დახმარებისთვის დაუძახოს. ზუსტად ვიცი, სააკაშვილი თვითნებურად თუ ჩავა უკრაინაში, ხელისუფლება მას საქართველოს გადმოსცემს. დანამდვილებით ვიცი, რომ უკრაინის მთავრობას არ სურს, სააკაშვილის გამო საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობები გაიფუჭოს.

**— რა იცით მისი გუნდის წევრების შესახებ, რომლებიც იქ ახლდა?**

— ესენი იყვნენ კახა ბენდუქიძე, გიორგი ვაშაძე, დროდადრო ჩადიოდნენ გივი თარგამაძე, გიგი წერეთელი, გიორგი ბარამიძე. ამჟამად არც ერთი მათგანი იქ აღარ იმყოფება. უკრაინელი ხალხისთვის აშკარა გახდა მათი ზრახვები, მიხვდნენ, თუ რას ამზადებდნენ. ვიცი, რომ უკრაინაში აღარ იმყოფება არც მამუკა მამულაშვილი, რომელიც ბაჩო ახალიას „ზონდერი“ იყო.

ჩემი უკრაინელი მეგობრებისგან შევიტყვე, რომ ევრომაიდნის სცენარის საქართველოში გადმოტანა სურდათ, ისინი ახლაც მიკავშირდებიან და სიფხიზლისკენ მოგვიწოდებენ, **რადგან არავინ იცის, „ნაცები“ კიდევ რას მოიმოქმედებენ. შემოდგომისთვის დაგეგმილი არეულობა, შესაძლებელია, ჯერ კიდევ ძალაში იყოს.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«არავინ იცის, «ნაცები» კიდევ რას მოიმოქმედებენ. შემოდგომისთვის დაგეგმილი არეულობა, შესაძლებელია, ჯერ კიდევ ძალაში იყოს»**

**P.S. უკრაინაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ ექსპრეზიდენტი სააკაშვილი შეშინებულია და ცდილობს იმ ქვეყნებს შეაფაროს თავი, რომლებიც არ გაწირავენ. ბოლო დროს გამოქვეყნებულმა NDI-ის კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში „ნაციონალების“ რეიტინგი ძალიან დაეცა, აშკარაა, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს მფარველებმა ზურგი შეაქციეს, მაგრამ საინტერესოა, ვისით ჩაანაცვლებენ.**

---

მოკლედ

## მოსახლეობის სიჭარბის პრობლემა — დასავლეთის კიდევ ერთი ზღაპარი

**ინტერნეტგამოცემა „ნოვოე ვოსტოჩნიე ობოზრენიეს“ ჟურნალისტი ტონი კარტალუჩი ახლახან გამოქვეყნებულ სტატიაში წერს, რომ დასავლეთი მსოფლიოში შობადობის გაკონტროლებას ცდილობს.**

წერილის ავტორი აღნიშნავს, დღეს დასავლური გამოცემები ისტერიული შეფერილობის სტატიებს ბეჭდავენ — მათი შეფასებით ხომ 2100 წელს დედამიწის მოსახლეობა 11 მილიარდს გადააჭარბებს?! არადა, გასულ საუკუნეში დედამიწის მოსახლეობა 2-ჯერ გაორმაგდა — 1960 და 1990 წლებში და კატასტროფა არ მომხდარა. **თუკი სამაგალითოდ ავიღებთ დიდი კეთილდღეობის მქონე იაპონიასა და სინგაპურს, რომელთა მოსახლეობის რიცხვი დიდია, მაგრამ ბუნებრივი რესურსები — მწირი, ცხადი გახდება, რომ დასავლეთის ისტერიკა დედამიწის მოსახლეობის სიჭარბის შესახებ ჰუმანისტური მოსაზრებებით კი არა, აღმოსავლეთის ქვეყნების მხრიდან კონკურენციის შიშით არის გამოწვეული.**

**მოსახლეობის სიჭარბის პრობლემა მხოლოდ იმ რეგიონებშია, სადაც მმართველობა მკვეთრად არაეფექტიანია ან კორუფციაშია ჩაფლული, როგორც, მაგალითად, აშშ-ში.** დასავლეთის გეგმებისა შობადობაზე კონტროლის დაწესების შესახებ მესამე რეიხსაც კი შეშურდებოდა, თანაც, აღსანიშნავია, რომ აშშ-ს არანაირი ობიექტური კვლევა არ ჩაუტარებია, რომლის მიხედვითაც დადგინდებოდა, რომ მოსახლეობის სიჭარბისგან პლანეტას საფრთხე ემუქრება.

ასეთი „ჰუმანისტური“ პოზიცია კი აჩენს კითხვას — **აქვს კი აშშ-ს მორალური უფლება, „თავისუფალი სამყაროს ცენტრად“ იწოდებოდეს?**

„სამართალდამცავთა ლიგა“ აქტიურად არის ჩართული ამ პატარ-პატარა ნაცორგანიზაციებთან მუშაობაში და ერთობლივად მოქმედებენ. „სამართალ დამცავთა ლიგაში“ გაერთიანებულნი არიან პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნები, რომელთა წინააღმდეგაც ახლაც მიდის სასამართლო პროცესები. ისინი მთლიანად დამოკიდებულნი არიან „ნაცმოძრაობაზე“, ანუ თვითგადარჩენის რეჟიმში იმყოფებიან.“

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ნაცმოძრაობა» ცდილობს, საქართველოში უკრაინული მაიდნის სცენარი გადმოიტანოს

2014 წლის 17 სექტემბერს საქართველოში ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობა“ შეიქმნა. ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია: „ორგანიზაცია „თავისუფალი თაობა“ წარმოვადგენთ ახალგაზრდებისგან დაკომპლექტებულ ძალას, რომელსაც გვაერთიანებს პატრიოტულ-ეროვნული სულისკვეთება. ჩვენ წლების მანძილზე ყოველთვის ვიბრძოდით „ნაციონალური მოძრაობისა“ და მათი სატელიტი ორგანიზაციების წინააღმდეგ“. ორგანიზაციის მიერ მოპოვებულ ინფორმაციასა და მომავალ გეგმებზე „საქართველო და მსოფლიოს“ „თავისუფალი თაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გიორგი ყუფარაძე ესაუბრა.



## «თავისუფალ ზონას» და ე.წ. პიკასოს კლუბს უკრაინაში მემარჯვენე სექტორთან ერთად გავლილი აქვს სპეციალური წვრთნები დესტაბილიზაციის გამოსაწვევად

**— ამ დღეებში თქვენი ორგანიზაცია ხშირად საუბრობს დევნისა და მუქარის შესახებ.**

— როგორც კი ინტერნეტში გამოჩნდა ჩვენი გვერდი და აქტივობა, კერძოდ, აქციამდე 2-3 დღით ადრე, დაიწყო ჩვენი მიზანმიმართული დევნა და შეურაცხყოფა, მათ შორის **სოციალური ქსელით მოდიოდა შეტყობინებები: „ცოცხები მოგენატრებათ“. ასევე, დაიწყეს ხალხის შემოგზავნა ჩვენს ორგანიზაციაში**, რათა შიგნიდან გაერკვიათ, თუ ვინ ვიყავით. მოხდა პატარა ინციდენტებიც, რომლებიც ჩვენსავე ორგანიზაციაში დასრულდა, მაგრამ აქციის დღეს, 1 საათით ადრე, სანამ მივიდოდით „თავისუფალი ზონის“ ოფისთან, მათ უკვე შეკრებილი ჰყავდათ ზონდერბრიგადები (30 კაცი — შსს-სა და თავდაცვის უწყების ყოფილი თანამშრომლები, ახალაიას ხალხი).

**— რატომ მაინცდამაინც „თავისუფალი ზონა“?**

— ამას კითხვა რად უნდა? შს მინისტრიც კი გამოდის და ამბობს, რომ ეს ორგანიზაცია ამზადებს არეულობას... ან **რომელი არასამთავრობო ორგანიზაცია გინახავთ, რომ რომელიმე პარტიის ოფისში იჯდეს?** ან კიდევ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეს — კობა ხაბაზს დატოვებული აქვს „ნაციონალური მოძრაობა“?

**— თუ შს მინისტრი ასეთ ინფორმაციას ფლობს, თქვენი აზრით, რატომ არ აკეთებს მისი უწყება არაფერს?**

— როგორც ჩანს, არ უნდათ, რომ პოლიტიკური სარჩული დაედოს ამ საქმეს. ჩვენ არანაირი კავშირი არ გვაქვს სახელმწიფო სტრუქტურებთან. თუმცა „თავისუფალი ზონიდან“ მოდის სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომ მათთან ისეთი ხალხი იკრიბება, რომლებიც მთლიანად „ნაცმოძრაობაზე“ არიან დამოკიდებულნი.

ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ „თავისუფალი ზონა“ ვერ გარკვეულა, ვინ ვართ. ამიტომაც გვაკრავენ იარლიყებს, რომ „ქართული ოცნების“, ნინო ბურჯანაძისა და თვით ვლადიმერ პუტინის ხალხი ვართ. ჩვენ უკან არანაირი პოლიტიკური პარტია არ დგას. ვერაფერს გვიმტკიცებენ და ამიტომაც მიდის ეს ბინძური პროვოკაციები სოციალურ ქსელში.

**დაზუსტებული ინფორმაცია გვაქვს, რომ ჩვენი აქციის შემდეგ გიგა ბოკერიამ დაურეკა „თავისუფალი ზონის“ ლიდერებს და უთხრა: „რაში გიხდით ამდენ ფულს? თავვებივით სოროებში რომ შეძვრეთ?“.** ასევე, მეორე დღეს, როცა ჩვენი აქტივისტები შევიდნენ ბაჩო ახალაიას პროცესზე და მას მკვლელი უწოდეს, იმავე საღამოს მისმა მეუღლემ — ანი ნადარეიშვილმა განცხადება გაავრცელა სოციალურ ქსელში, რომელშიც იგრძნობოდა პირდაპირი მუქარა — „საქმეს გაგირჩევთ 29-შიო“. ჩვენ ამ პროვოკაციას არ წამოვეგებით.

**— სხვა ორგანიზაციებთან თუ თანამშრომლობთ?**

— ჯერჯერობით არა. ისე, „ევრაზიის კავშირმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჩვენ მათთან ვთანამშრომლობთ, მაგრამ მინდა, აქვე განვაცხადო, რომ არავისთან ვთანამშრომლობთ.

**— თქვენი ორგანიზაციის შექმნის მიზანი რა იყო?**

— მთავარი მიზანია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი სატელიტი ორგანიზაციების გაქრება პოლიტიკური სივრციდან. მოვუწოდებთ „ნაციონალური მოძრაობის“ „მზაკვრული გეგმების შემსრულებლებს“, გამოაცხადონ თვითლიკვიდაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ პოლიტიკურ ჯოჯოხეთს მოვუწყობთ!

**— ამჟამად რამდენი წევრი ჰყავს ორგანიზაციას?**

— ჯერჯერობით 500, მაგრამ ეს მხოლოდ თბილისის მაჩვენებელია და ჩვენ ვაპირებთ რეგიონებში მუშაობასაც. ხალხი მოდის ჩვენთან იმიტომ, რომ აღარ სურს „ნაციონალური მოძრაობის“ დანახვა და გაგონება. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის შეცვლის შემდეგ „ნაცმოძრაობის“ წევრები დააკავეს, ყველა ვხედავთ, რომ, სანამ კუბლაშვილი იკავებს თავის პოსტს, ეს პრობლემა არ მოგვარდება. ჩვენ ასევე ვხედავთ, რომ შსს-სა და პროკურატურაშიც უჭირთ მუშაობა გამომძიებლებს, რადგან იქ ჯერ ისევ არიან „ნაცმოძრაობის“ კადრები. იყო შემთხვევა, როცა ჩვენი ორგანიზაციის წევრს ერთ-ერთმა პროკურორმა, როცა გაიგო, თუ ვინ იყო და სად მოღვაწეობდა, სთხოვა — რაიმე გააკეთეთ, „ნაციონალების“ კადრები ჩვენი სისტემიდანაც რომ წავიდნენო.

სხვადასხვა უწყებაში დღესაც ძალიან ბევრი „ნაციონალია“ დარჩენილი. ისინი მიზანმიმართულად აფერხებენ მუშაობას — „ნაცმოძრაობის“ მიზანი ქაოსისა და საბოტაჟის მოწყობაა. კარგად გვესმის, რა რთულია, ადამიანი ხელაღებით გაათავისუფლო სამსახურიდან, ამიტომ მოვუწოდებთ შსს-ს, დაარეგულიროს ეს საკითხი. **თავად „ნაციონალური მოძრაობა“ საკმაოდ დიდი მანქანაა, დიდი ფულიც აქვს და ცდილობს, საქართველოში უკრაინული მაიდნის სცენარი გადმოიტანოს.** გვაქვს ინფორმაცია, რომ „თავისუფალ ზონას“ და ასევე ე. წ. პიკასოს კლუბს უკრაინაში ე. წ. მემარჯვენე სექტორთან ერთად გავლილი აქვთ სწავლება, წვრთნები და მომზადებულნი არიან; ცდილობენ, გამოიწვიონ დესტაბილიზაცია, რათა ის მაიდანში გადაიზარდოს. ასევე მაქვს ინფორმაცია, რომ „სამართალდამცავთა ლიგა“ აქტიურად არის ჩართული ამ პატარ-პატარა ნაცორგანიზაციებთან მუშაობაში და ერთობლივად მოქმედებენ. „სამართალ დამცავთა ლიგაში“ გაერთიანებულნი არიან პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნები, რომელთა წინააღმდეგაც ახლაც მიდის სასამართლო პროცესები. ისინი მთლიანად დამოკიდებულნი არიან „ნაცმოძრაობაზე“, ანუ თვითგადარჩენის რეჟიმში იმყოფებიან.

ამ ორგანიზაციის წევრები არიან: ზაზა ჭაია (ქალაქ თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე), ლევან გვაზავა (ვანო მერაბიშვილის მოადგილე), ირაკლი ფირცხალავა (დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს უფროსი) და კიდევ ბევრი ყოფილი თანამშრომელი და მაღალჩინოსანი. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ ყველა მათგანზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები და ბრალიც აქვთ წარდგენილი. სასამართლო პროცესები მიმდინარეობს.

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**



გიორგი ქადაგიძე:

# ათიათასობით მოქალაქე გადაუხდელი კრედიტებისა და ნეგატიური საკრედიტო ისტორიის წინაშე დგას

**„ფინანსური განათლება — გამოწვევები და პერსპექტივები“ — ასე ჰქვია კონფერენციას, რომელიც ეროვნული ბანკის ორგანიზებითა და გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის მხარდაჭერით თბილისში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ გახსნა.**

„ზოგადად, ფინანსური განათლების პრობლემა აქტუალურია ყველა განვითარებად ქვეყანაში, განსაკუთრებით კი — საქართველოში. კრიტიკულად მნიშვნელოვანია საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობამ, რომელიც საქართველოში უმრავლესობას წარმოადგენს, საკუთარი შემოსავლების სწორად დაგეგმვა ისწავლოს. მარტივად რომ ვთქვათ, მიუღებელია და დაუშვებელია, როდესაც ადამიანს ყოველთვიურად, პირობითად, 900-ლარიანი შემოსავალი აქვს და აქედან 200 ლარს იხდის ძვირად ღირებული ტელეფონის განვადებაში, 300 ლარს იმ სესხის მომსახურებაში, რომელიც იმისთვის აიღო, რომ ზაფხულში თურქეთში დაესვენა, კიდევ რაღაც ნაწილი საკრედიტო ბარათის ან „ოვერდრაფტის“ ყოველთვიურ შენატანში ეხარჯება და ა.შ. — ასეთი ადამიანები ძალიან სწრაფად საკუთარ თავს ფინანსური სიძნელეების წინაშე აყენებენ და ხშირად გადახდის უუნარონი ხდებიან. თუკი საბანკო სექტორში ჩვენ მონიტორინგს ვუწევთ ასეთი ტიპის კრედიტებს, არაფორმალიზებულ საფინანსო სექტორში, ლომბარდებსა და ა. შ. ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას, ვინაიდან ამ ყველა „სიკეთეს“ უზარმაზარი საპროცენტო განაკვეთებიც ემატება. სწორედ ამიტომ დღეს შექმნილია ის რეალობა, როდესაც ჩვენი ათიათასობით მოქალაქე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, გადაუხდელი კრედიტებისა და ნეგატიური საკრედიტო ისტორიის წინაშე დგას“, — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ კონფერენციის დაწყებამდე.




# «გოსფილმოფონდი» ქართულ ფილმებს გადმოგვცემს

**საქართველოს კულტურის სამინისტროში ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო კინოფონდი „გოსფილმოფონდი“ საქართველოს 1916 წლიდან 1990 წლამდე გადაღებულ და ფონდში დაცულ ქართულ ფილმებს გადმოსცემს. მემორანდუმს კულტურის სამინისტროში კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო კინოფონდ „გოსფილმოფონდის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკალაი ბოროდაჩევმა მოაწერეს ხელი.**

როგორც კულტურის სამინისტროში მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიაზე მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ განაცხადა, 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საუბარი „გოსფილმოფონდში“ დაცული ქართული კინომასალების გადმოცემის შესახებ, თუმცა ეს წარმატებით ახლა დასრულდა. მინისტრმა დასძინა, რომ ფონდში დაცული მასალების გადმოცემას 5-წლიანი პერიოდი დასჭირდება. მინისტრის თქმით, პირველ რიგში, შეიქმნება სრული სია იმ ფილმებისა და კინომასალის, რომლის გადმოცემაც მოხდება საქართველოსთვის.

თავის მხრივ, „გოსფილმოფონდის“ დირექტორმა ნიკოლოზ ბოროდაჩევმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ ფონდში ფილმები 1890-იანი წლებიდან ინახება. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქართველი კინემატოგრაფების მიერ შექმნილი ფილმები და მათზე მოთხოვნა მსოფლიოში დღესაც დიდია.

ბოროდაჩევის თქმით, ამჟამად ფონდში ინახება 381 მხატვრული, 200-მდე ანიმაციური და 100-მდე დოკუმენტური ქართული ფილმი და ამ კინომასალაზე საავტორო უფლებები საქართველოს აქვს.

# ოზურგეთში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 6 მილიონი ლარი გამოიყოფა



**„აქ საუბარია ინფრასტრუქტურაზე, ნაპირსამაგრ სამუშაოებზე, გზებზე. შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ უკვე იმსჯელა და ჩვენ დაგვევალა, ოზურგეთში სტიქიით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციოდ 6 მილიონი ლარი გამოვყოთ“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.** რაც შეეხება აჭარას, ფინანსთა მინისტრის განცხადებით, იქ სამუშაოები გრძელდება, მობილიზებულია ტექნიკა და შტაბი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, აჭარაში ჯერჯერობით ზარალის რაოდენობა ცნობილი არ არის.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კლიმატის სამიტზე საქართველოს არაფერი ეკითხება. ეს სამიტი ეხება გამონაბოლქვებისა და მავნე გაზების შემცირების საკითხს, რომელიც ზემძლავრ ეკონომიკასთანაა დაკავშირებული. ტოკიოს პროტოკოლს, რომელიც გამონაბოლქვის რაოდენობის შეზღუდვას ეხება, ამერიკა ხელს არ აწერს, არ ცნობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის ეკონომიკას საფრთხე დაემუქრება“**



### სოსო ცინცაძე:

# ჩამოდიან და გვეუბნებიან, — «ოქროს სიგელი» მოგვცეს, მაპზე უკეთესიო, ბოდიში და, ერთ ადგილას... მიიკრან!

**გაეროს კლიმატის სამიტმა მშვიდობით ჩაიარა. პრეზიდენტი თავის ადგილას დარჩა და ჩვენი დელეგაციაც ღირსეულად წარმოჩნდა, თუმცა ამ სამიტს გაუგებრობებიც ახლდა. მაგალითად, ვერავინ გაიგო, პრემიერი თითქმის მთელი მინისტრთა კაბინეტით რატომ იყო იქ წასული? ასევე ვერავინ მიხვდა, რაზე ისაუბრა ღარიბაშვილმა და როგორ უნდა შეამციროს ნახშირორჟანგი? პრემიერის გამოსვლამ ბევრ ჩვენგანს, ალბათ, რამდენიმე წლის წინათ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა გაახსენა, პოლარული დათვების გადარჩენაზე რომ ისაუბრა... სოსო ცინცაძის აზრით, კლიმატის სამიტზე საქართველოს არაფერი ესაქმება და ამ საკითხებზე მხოლოდ ზესახელმწიფოები მსჯელობენ.**



**— ბატონო სოსო, საქართველოს მოსახლეობა ახლახან დიდი დავისა და კამათის მომსწრე გახდა საკითხზე, თუ ვინ უნდა წასულიყო გაეროს კლიმატის სამიტზე დასასწრებად — პრეზიდენტი თუ პრემიერი. ნიუ იორკში ღარიბაშვილი გაემგზავრა. მისი გამოსვლა, ალბათ, მოისმინეთ... მნიშვნელოვანი იყო კლიმატის სამიტზე ქვეყნის პირველი პირის ან პირების დასწრება და რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ სამიტს ჩვენი ქვეყნისთვის?**

— **კლიმატის სამიტზე საქართველოს არაფერი ესაქმება. ეს სამიტი ეხება გამონაბოლქვისა და მავნე გაზების შემცირების საკითხს, რომელთაც ზემძლავრ ეკონომიკასთანაა დაკავშირებული. ტოკიოს პროტოკოლს, რომელიც გამონაბოლქვის რაოდენობის შეზღუდვას ეხება, ამერიკა ხელს არ აწერს, არ ცნობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის ეკონომიკას საფრთხე დაემუქრება. ეს არის ზესახელმწიფოების გადასაწყვეტი საკითხი.** საქართველოსთვის ასეთ შეხვედრას ის მნიშვნელობა აქვს, რომ პერსონიფიცირებულია — პირველი პირები და მისი თანმხლებნი კოლეგებთან პირად კონტაქტებს აყარებენ.

**— ეს გასაგებია, მაგრამ ასეთი ღატაკი ქვეყნისთვის, თანაც საკმაოდ იმიჯშელახულისთვის, სამიტზე გამგზავრება პირველი პირების დაპირისპირებად ღირდა? კახა იმნაძე, ჩვენი ელჩი გაეროში, თავს ვერ გაართმევდა?**

— გაართმევდა, მაგრამ ახალ მთავრობას სამიტის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლების გაცნობა უნდოდა. პრეზიდენტისა და პრემიერის დაპირისპირების მიზეზი კი სულ სხვაა, სამიტი არაფერ შუაშია. დემოკრატიული ქვეყნის იმიჯის შექმნა თუ გვინდა, გარემოცვამ მათი დაპირისპირება უნდა გაანეიტრალოს.

დავუბრუნდეთ თქვენს შეკითხვას: რა მნიშვნელობა ჰქონდა კლიმატის სამიტს საქართველოსთვის? — არანაირი. ჩვენს ხმას იქ ფასი არ აქვს. რომელთაც სიტყვა ეთქმით, ის ქვეყნები ამ სამიტს საერთოდ არ ცნობენ. ჩინეთი გამონაბოლქვს ერთი პროცენტითაც არ ამცირებს, ასევე იქცევა ამერიკაც.

**— ბატონო სოსო, თუ ამ სამიტს არაფრის მოტანა არ შეეძლო ქვეყნისთვის, პრემიერი მინისტრთა კაბინეტის სრული შემადგენლობით რატომ წავიდა იქ? თქვენ ხშირად გითქვამთ, რომ მთავრობა დიდძალ ფულს ხარჯავს ვიზიტებზე.**

— კი, მართალი ხართ, თითქმის მთელი მთავრობა იქ იმყოფებოდა, დიდი დელეგაცია წავიდა. **ეს კი, როდესაც ქვეყანაში უმუშევრობა მძვინვარებს და ბიუჯეტის შესავსებად ლუდის დალევისთვის ადამიანს აჯარიმებ, თანაც საკმაოდ სოლიდური თანხით, ყოვლად უღირსი საქციელია.**

**თუ აკვირდებით, საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად ამბობენ ჟურნალისტები, ამა თუ იმ მაღალჩინოსანს ვერაფრით ვუკავშირდებითო. ეს იმიტომ, რომ უცხოეთში იმყოფებიან. ამას წინათ სამჯერ მოვისმინე, რომ შალვა შავგულიძეს ეძებენ, ის კი ამერიკაშია თვის ბოლომდე. რა საქმე უნდა ჰქონდეს მთელი თვე პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამერიკაში?! თუმცა შავგულიძე გამონაკლისი არ არის.**

უნდა ჩატარდეს მონიტორინგი, რომელიც გამოიკვლევს, რამდენი მაღალჩინოსანი იმყოფებოდა უცხოეთში. დარწმუნებული ვარ, ასობით იქნება. ამის შემდეგ კი **უნდა გავარკვიოთ, ამ ადამიანების ვიზიტებმა რა სიკეთე მოუტანეს ჩვენს ქვეყანას.**

**«რამდენიმე დღის წინათ გადავწყვიტე, აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯონ კერისა და მაია ფანჯიკიძის ვიზიტების რაოდენობა ერთმანეთისთვის შემედარებინა. აღმოჩნდა, რომ ფანჯიკიძეს კერიზე 6-ჯერ მეტი გასვლა ჰქონია (ეს ოფიციალურ ვიზიტებზე გეუბნებით, სასეირნოდ რამდენჯერ წავიდა, არ ვითვლი)»**

თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები საქართველოში „მივლინებით“ ჩამოდიან, ისიც იმიტომ, რომ თბილი ქვეყნიდან ცივ ქვეყანაში გადადიან და გარდერობს აახლებენ. მათი ასეთი სიარულის მარგი კოეფიციენტი კი რა არის? ამას მხოლოდ ამ მთავრობასა და ამ მინისტრებზე არ ვამბობ, წინა მთავრობის დროსაც ასე იყო. **უცხოეთში ასეთი ინტენსიური სიარულის შედეგად ჩვენ ვერც ნატოში შევედით და ვერც ევროკავშირში, ქვეყანა კი გაღატაკდა. ჩამოდიან და გვეუბნებიან,— „ოქროს სიგელი“ მოგვცეს, მაპზე უკეთესიო, ბოდიში და, ერთ ადგილას მიიკრან!**

**— „ოქროს სიგელი“ მართლა არსებობს ნატოს ტერმინოლოგიაში?**

— იცით, **ალექსი პეტრიაშვილს, მაგ საწყალს, ჰგონია, რომ მხოლოდ მას ესმის საკითხი, მაგრამ ეგრე არ არის, ჩვენც გვესმის რაღაცები. არსებობს მაგდაგვარი სტატუსი, ოღონდ სხვანაირად ჰქვია და მხოლოდ ორ ქვეყანას ეხება — იაპონიასა და ისრაელს, ანუ ეს არის ის ორი ქვეყანა, რომელთათვისაც ამერიკა იომებს, თანაც ამას ნატოსთან არაფერი აკავშირებს. ამდენს რომ დადიან, საკითხში მაინც გაერკვნენ და ამერიკას ასეთი ხელშეკრულება მაინც დაადებინონ. სისულელეებს ლაპარაკობენ, — სტრატეგიული ქარტიაო. გადახედეთ ნებისმიერ დიპლომატიურ ლექსიკონს, მსგავს ტერმინს თუ იპოვით.**

არსებობს სტრატეგიული მოკავშირე, რომლისთვისაც სახელმწიფო ომობს, თორემ მასე, ჩვენი მოკავშირეა ყველა, რუსეთის გარდა, დაწყებული სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, ნოვეგიითა და მაკედონიით დამთავრებული, აღარ ვლაპარაკობ ამერიკაზე. სტრატეგიული მოკავშირის ცნების ასეთი დევალვაცია ჩვენი საზოგადოების პრიმიტიულობაზე მეტყველებს. სტრატეგიულმა მოკავშირემ შენი გულისთვის უნდა იომოს.

2008 წელს ჩვენ ვიყავით დამნაშავე თუ რუსეთი, ამას ამ წუთში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, უბრალოდ, მაინტერესებს, ვინ დაგვეხმარა. ამერიკამ გემი გამოუშვა სასმელი წყლითა და პამპერსებით სავსე...

**— ბატონო სოსო, მინდა, მოსახლეობის გასაგონად თქვათ, იმ ვიზიტებზე, რომლებშიც მხოლოდ ფული იხარჯება და სარგებელი არ არის.**

— იცით, ნორმალური და მისაღები იქნებოდა, თუ წელიწადში 4-5-ჯერ სერიოზულ, აზრიან და მნიშვნელოვან ვიზიტს განახორციელებდა საგარეო საქმეთა მინისტრი... **რამდენიმე დღის წინათ გადავწყვიტე, ჯონ კერისა და მაია ფანჯიკიძის ვიზიტების რაოდენობა შემედარებინა; აღმოჩნდა, რომ ფანჯიკიძეს ჯონ კერიზე 6-ჯერ მეტი გასვლა ჰქონდა (ამას ოფიციალურ ვიზიტებს გეუბნებით, სასეირნოდ რამდენჯერ წავიდა, არ ვითვლი). ყველა ღონისძიებას არ უნდა დაესწროს საგარეო საქმეთა მინისტრი, მაგალითად, ბილიარდის ასოციაციის კონფერენციას, არც ბანქოს ასოციაციის შეკრებას...** უცხოეთში ასეთი შეკრებები ყოველდღიურად იმართება, ისინი ამით ფულ შოულობენ. თანაც, ფანჯიკიძე მარტო არ დადის, ყავას „ზაბეგალოვკაში“ არ დალევს, სასტუმროც ძვირად ღირებული აქვს დაჯავშნული და საქართველოს ფული იმ ქვეყანაში ილექება. ამდენი უნდა ესმოდეთ.

გახსოვთ, რამდენიმე წლის წინათ ლისაბონის სამიტზე რა მოხდა? საქართველოს დელეგაციას მთელი სასტუმრო ჰქონდა დაქირავებული, ერთ პატარა ნაწილში კი სარკოზი ცხოვრობდა და ქართველებმა ისეთი ღრეობა გამართეს, კაცი გამოუვარდა და ყვიროდა, დამაძინეთო. ჩვენები ქალებთან ერთად იყვნენ.

**ჩინეთმა, რომელიც ოქროს მარაგით პირველ ადგილზე გავიდა, 2014 წლის ეკონომიკური მაჩვენებლებით ამერიკას პირველობა ჩამოართვა. და ასეთმა ქვეყანამ მიიღო კანონი, რომლითაც სასტიკად აუკრძალა მაღალჩინოსნებს უცხოეთში უაზროდ სიარული; შეადგინა სია, თუ ვის აქვს წასვლის უფლება; ასევე, აკრძალა მანქანების ყიდვა.**

**ღატაკი ქვეყანა, რომელიც ქმნის ისეთ სახეს, რომ თითქოს მდიდარია, მახსენებს მე-16 საუკუნის პოლონელ არისტოკრატებს, რომლებსაც ფული არ ჰქონდათ, რომ ნიფხავპერანგი ჩაეცვათ და ტიტველ ტანზე სიასამურის ქურქები ჰქონდათ მოსხმული (იმიტომ, რომ სიასამური ტყეში დარბოდა).**

ქვეყანაში შიმშილია და ჩვენი მინისტრები ასიათასობით ლარის პრემიებს იწერენ, შემდეგ ამბობენ, რომ დაიმსახურეს, მაგრამ რით, არავინ გვიხსნის.

**— რაკი დამსახურებაზე ვსაუბრობთ, იქნებ მაინც მოვუძებნოთ მინისტრების ვიზიტებს დადებითი მხარე, რადგან კლიმატის სამიტზე წასულმა ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, ინვესტიციების მოსაზიდად ჩავედიო...**

— იცით, ყველაფრის გამართლება შეიძლება. ორი წელია, უკვე ეს გვესმის. გახსოვთ, ივანიშვილი დავოსში რომ ჩავიდა და იქ რუს მილიარდერებს შეხვდა, რამხელა აჟიოტაჟი ატყდა, ინვესტიციების ზღვა წამოვაო. ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ გამოვა კვირიკაშვილი და სტატისტიკით დაიწყებს თავის მართლებას, მაგრამ ჩვენ ხომ გვახსოვს ჩერჩილის სიტყვები — არსებობს უბოროტო ტყუილი, არსებობს ჩვეულებრივი ტყუილი, არსებობს საშინელი ტყუილი და არსებობს სტატისტიკა. ვინც ამ სტატისტიკას ენდობა, ბრიყვია. **კლიმატის სამიტზე კვირიკაშვილმა თუ ინვესტორი მოძებნა, ჩათვალეთ, რომ მონტე-კრისტო უპოვია.**

**«თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები საქართველოში «მივლინებით» ჩამოდიან, ისიც იმიტომ, რომ თბილი ქვეყნიდან ცივ ქვეყანაში გადადიან და გარდერობს აახლებენ. მათი ასეთი სიარულის მარგი კოეფიციენტი კი რა არის?»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



„რატომ მიფრინავ ეკონომკლასით, შემდეგ კი ჩერდები ნიუ იორკის ყველაზე ძვირად ღირებულ სასტუმრო „პლაზაში“, სადაც უბრალო ნომერში ღამის გათევა 1035 დოლარი ღირს, ხოლო საპრეზიდენტოში — გაცილებით ძვირი? ეს ხომ უნდობლობას იწვევს იმის მიმართ, რასაც ის ლაპარაკობს?!“

ГЕРОЯМ СЛАВА...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რევოლუციით შობილნი

## კატასტროფის პირას მყოფი უკრაინის პრემიერი ნიუ იორკში 5000-დოლარიან ნომერში ცხოვრობდა

**უკრაინა კატასტროფის ზღვარზეა: ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს, ეკონომიკა სულს ღაფავს, ზამთარი კარსაა მომდგარი და არავინ იცის, ექნებათ თუ არა ბუნებრივი აირი გასათბობად. ამ ფონზე შოკისმომგვრელია რამდენიმე დღის წინათ ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, უკრაინის ხელისუფლების სათავეში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული პირველი პირები სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხელგაშლილად ცხოვრობენ და ნიუ იორკის ყველაზე ძვირად ღირებული სასტუმროს ნომერში 5 ათას დოლარს იხდიან.**

„უკრაინის პრემიერ მინისტრი არსენი იაცენიუკი, რომელიც გაეროს გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობისთვის უკრაინიდან ეკონომკლასით გაფრინდა, ნიუ იორკში სახელგანთქმული სასტუმრო „პლაზას“ საპრეზიდენტო ლუქს ნომერში გაჩერდა, სადაც ერთი ღამის გათევა 5 ათასი დოლარი ღირს“, — წერს მედიაკომპანია **Bloomberg**-ის უკრაინელი კორესპონდენტი **გალინა პავლოვა.** ჟურნალისტის აზრით, უკრაინის პრემიერს სურს, მომჭირნე პოლიტიკოსად წარმოჩნდეს, სინამდვილეში კი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ფუფუნებაში ბანაობს.

**„რატომ მიფრინავ ეკონომკლასით, შემდეგ კი ჩერდები ნიუ იორკის ყველაზე ძვირად ღირებულ სასტუმრო „პლაზაში“, სადაც უბრალო ნომერში ღამის გათევა 1035 დოლარი ღირს, ხოლო საპრეზიდენტოში — გაცილებით ძვირი? ეს ხომ უნდობლობას იწვევს იმის მიმართ, რასაც ის ლაპარაკობს?!“** — წერს აღშფოთებული ჟურნალისტი.

**„ᲞᲚᲐᲖᲐᲨᲘ“ ᲘᲐᲪᲔᲜᲘᲣᲙᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲦᲐᲛᲘᲗ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲮᲓᲔᲚᲔᲑᲡ 5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲯᲓᲐᲗ, ᲡᲐᲣᲖᲛᲔᲖᲔ ᲛᲘᲠᲗᲛᲔᲣᲚᲘ ᲔᲠᲑᲝᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘ ᲙᲘ — 50 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ.**

უკრაინის პრემიერის პრესმდივნის — ოლგა ლაპის განცხადებით, **ლუქსნომერი თავდაპირველად პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოსთვის იყო შეკვეთილი, ყველაზე ძვირად ღირებულ სასტუმროში ცხოვრება კი ოფიციალურ კიევს ამერიკულმა მხარემ უსაფრთხოების მიზნით აიძულა.**

**ალსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების გამოთვლით, დღეისათვის უკრაინის სახელმწიფო ვალმა 70 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.**

ინფორმაციამ, რომელიც მედიაკომპანია Bloomberg-ის ჟურნალისტმა რამდენიმე დღის წინათ გაავრცელა, უკრაინელები შოკში ჩააგდო, მაგრამ ჩვენ, ქართველები, ხომ ასეთ ამბავს მიჩვეულნი ვიყავით მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის წევრებისგან?!

**ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ:** მიხეილ სააკაშვილმაც მეტროპოლიტენითა და ეკონომკლასით მგზავრობით დაიწყო, მაგრამ შემდეგ 150 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების პერსონალური თვითმფრინავი **„გოლფსტრიმ 5“** შეიძინა; 2008 წლის აგვისტოს ომიდან ორიოდ თვეში(!) ელიტური მასაჟისტი **დოქტორი დოტი (დოროთი შტეინი)** ჩამოიყვანა და უამრავი ფული გადაუხადა; შემდეგ ჟურნალ GQ-ის რუს ჟურნალისტებს — **ქსენია სობჩაკსა და ქსენია სოკოლოვას** — „თბილისი მარიოტის“ საპრეზიდენტო ნომერში უმასპინძლა, შემდეგ კი სოკოლოვა 2765-დოლარიანი სამკაულით დაასაჩუქრა (რომელიც სოკოლოვამ მოგვიანებით აუქციონზე გაყიდა). გავიხსენოთ იტალიისა და ტაილანდის ფეშენებელურ კურორტებზე სააკაშვილის მოგზაურობა წონის დასაკლებად და საყიდლებზე სასიარულოდ, ანუ „საშოფინგოდ“ („შოფინგი“— ეს სიტყვა ძალიან მოსწონთ დღევანდელ „ელიტარებს“); ან ის რად ღირს, მიუზიკლი **„ქეთო და კოტე“** ბიუჯეტიდან 2,1 მილიონი ლარით რომ დააფინანსა, იტალიელი მომღერლის **ანდრია ბოჩელის** კონცერტი ბათუმში — 2,4 მილიონი ლარით!



## ᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲞᲝᲣᲚᲝᲑᲔᲜ (ᲐᲜ ᲠᲐᲡ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ?!) «ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ» ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲧᲕᲐᲜᲐᲓ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡ, ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲐᲨᲔᲠᲧᲔᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲮᲐᲚᲮᲖᲔ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘᲡ ᲜᲘᲦᲐᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲐᲤᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲙᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲠᲓᲔᲑᲗ?!



ᲐᲘ, ᲐᲛ ᲐᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲔᲑᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲓᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ





## «ᲞᲚᲐᲖᲐᲨᲘ» ᲘᲐᲪᲔᲜᲘᲣᲙᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲦᲐᲛᲘᲗ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲮᲓᲔᲚᲔᲑᲡ 5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲯᲓᲐ, ᲡᲐᲣᲖᲛᲔᲖᲔ ᲛᲘᲠᲗᲛᲔᲣᲚᲘ ᲔᲠᲑᲝᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘ ᲙᲘ — 50 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ








ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲕᲔᲜᲐᲨᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ 8,8 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ (ᲐᲛ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲒᲐᲤᲚᲐᲜᲒᲕᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐ) ᲛᲝᲐᲮᲛᲐᲠᲐ. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲘᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ (ᲘᲡᲔ, ᲐᲮᲚᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲐ) ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ.

გავიხსენოთ **ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲡᲐ** და მისი მეგობრების — **ᲒᲘᲐ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲘᲡ, ᲒᲘᲒᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ, ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲙᲝᲓᲣᲐᲡ, ᲑᲐᲗᲣ ᲥᲣᲗᲔᲚᲘᲐᲡ, ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠ ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“-ᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜ ᲒᲕᲐᲜᲪᲐ ᲓᲐᲠᲐᲡᲔᲚᲘᲐᲡ** და სხვების ჩასვლა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, სადაც თბილისის იმჟამინდელი მერის მეუღლე მშობიარობდა (სხვათა შორის, გიგის მეუღლის ვენაში მშობიარობა 12 ათასი ევრო დაჯდა და საკითხავია, ვის ხარჯზე იმყოფებოდა თბილისის იმჟამინდელი მერი მეგობრებთან ერთად ვენაში), სასტუმრო Sacher-ში, სადაც გიგი და მისი მეგობრები იმყოფებოდნენ, ერთი ღამის გათევა 1,180 ევრო ღირს, მანქანების ესკორტით მომსახურება — 850 ევრო.

გავიხსენოთ **პორტუგალიურ პრესაში** გამოქვეყნებული სკანდალური მასალა სათაურით **„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲛ ᲜᲐᲢᲝᲡᲗᲐᲜ „ᲛᲘᲬᲔᲑᲔᲑᲐ“ ᲛᲔᲫᲐᲕᲗᲐ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ“,** რომელშიც მოთხრობილი იყო ქართველი მაღალჩინოსნების მიერ მოწყობილ ღრეობასა და ნომრებში ათეულობით მეძავის მიპატიჟებაზე.

აი, ასე იცის ძალადობით მოპოვებულმა ძალაუფლებამ!

მაგრამ გასაკვირია ერთი რამ: **სად და როგორ პოულობენ (ან რას ასწავლიან?!) „ამერიკელი მამები“ ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოსაყვანად სულიერად ერთმანეთის მსგავს, ფსიქიკაშერყეულ ადამიანებს, რომლებსაც ხალხზე მზრუნველის ნიღაბი აქვთ აფარებული, სინამდვილეში კი თავიანთი კეთილდღეობის მეტი არაფერი ადარდებთ?!**

**ᲗᲣᲛᲪᲐ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ: ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲚᲮᲐᲜᲐ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲩᲐᲚᲮᲐᲜᲐᲝ!**

**ᲐᲜᲣ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲘᲡᲔᲗᲘᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ!**

**ᲜᲘᲙᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**



2008 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲝᲠᲘᲝᲓ ᲗᲕᲔᲨᲘ(!) ᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲟᲘᲡᲢᲘ, ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲝᲢᲘ (ᲓᲝᲠᲝᲗᲘ ᲨᲢᲔᲘᲜᲘ) ᲩᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲐ; ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ GQ-ᲘᲡ ᲠᲣᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ — ᲥᲡᲔᲜᲘᲐ ᲡᲝᲑᲩᲐᲙᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲡᲔᲜᲘᲐ ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲐᲡ — „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲛᲐᲠᲘᲝᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲐ 2765-ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲙᲐᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐ.

არ გათეთრდების...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კახი კალაძე:**
**მიხეილ სააკაშვილმა დაამტკიცა, რომ საქართველო ის სახელმწიფოა, რომელსაც ვერავინ დაამარცხებს, ვერ მოერევა. აღარ მინდა გავიხსენო „ვარდების რევოლუციამდელი“ ჩვენი ცხოვრება. ყაჩაღობები, მკვლელობები, ადამიანთა გატაცება, რომელიც, როგორც იცით, ჩემმა ოჯახმაც იწვნია.**



## ირაკლი ღარიბაშვილმა აფხაზებსა და ოსებს გაეროს ტრიბუნიდან მიმართა

**„ნება მომეცით, მივმართო ჩვენს დებსა და ძმებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში: ძვირფასო დებო და ძმებო, ვოცნებობ იმ დღეზე, როცა ყველანი ერთად ვიცხოვრებთ და ჩვენ შორის მშვიდობა და კეთილდღეობა დაისადგურებს! ჩვენ განუხრელად მივყვებით შერიგებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის სრული აღდგენის გზას. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და გამოვნახოთ გზები, რათა თქვენც გახდეთ ამ წარმატების თანაზიარი, მათ შორის იმ სარგებლის, რომელსაც ასოცირების ხელშეკრულება მოიტანს...**

**ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მოვიძიოთ ჩვენს აფხაზ და ოს დებსა და ძმებთან შერიგების გზები! “** — მიმართა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 69-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას.

საქართველოს მთავრობის მეთაურის თქმით, **„ჩვენ, ქართველებს, გვსურს კარგი ურთიერთობა რუსეთთანაც, მაგრამ არა ჩვენი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ხარჯზე, რომელთა მისაღწევადაც ამდენი ვიბრძოლეთ!**

**ჩვენ გადავდგით ყველა კონსტრუქციული ნაბიჯი, ახლა ჯერი რუსეთის ხელისუფლებაზეა!“** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# ფარული «ნაცები» ქართულ პოლიტიკაში

ნაწილი II

# რას ამბობდნენ ადრე და რას ამბობენ ახლა «ოცნებით მოხიბლული» პოლიტიკოსები

**„ოცნების“ სახელით ხელისუფლებაში დარჩენილი „ნაციონალები“ დღემდე უთხრიან ძირს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას. ამ უპრინციპო მედროვე მარიონეტების ორპირობა საზოგადოებას უკიდურესად აღიზიანებს, თუმცა მათი ინტეგრაცია მმართველ გუნდში ხან კოაბიტაციით, ხანაც სხვა გაუგებარი მოტივებით თანმიმდევრულად ხორციელდება. ეს პოლიტიკოსები თუ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები არაჩვეულებრივად ერგებიან ნებისმიერ ახალ მთავრობას და მშვენივრად იციან, როდის უნდა დაიწყონ ძველი ხელისუფლების კრიტიკა. ქვემოთ მოყვანილი ფაქტები ზედმეტ კომენტარს არ საჭიროებს, ღირებულებებისა და პოზიციების რადიკალური ცვლილება ისედაც აშკარაა. დროსთან ერთად ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ არსებული სიმპათიები უკვალოდ ქრება და „მეოცნებე ფარული ნაცები“ „მოღალატედ“ და „ხალხის მტრად“ რაცხავენ მას, ვისთვის ტაშისკვრითაც ორიოდე წლის წინათ ხელისგულები ჰქონდათ დაკოჟრილი.**



დავით უსუფაშვილი:
**„2003 წლის ნოებრიდან ერთი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა... სახელმწიფო დაწესებულებებში ისეთი ადამიანები მოვიდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომელთაც სურვილიც აქვთ, ენთუზიაზმიც და სათანადო ცოდნაც იმისათვის, რომ არაეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტებიდან წარმატებული სახელმწიფო უწყებები ჩამოაყალიბონ. საერთაშორისო ასპარეზზე კვლავ აიწია საქართველოს „აქციების“ ფასმა. 90-იანი წლების მიწურულს საერთაშორისო საზოგადოება იმედგაცრუებული დარჩა საქართველოთი, მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეს დამოკიდებულება კვლავ შეიცვალა, საქართველო კვლავ ჩადგა პერსპექტიულ სახელმწიფოთა რიგში და მის მიმართ ყურადღება და ინტერესი გაიზარდა“ (2004წ.).**

„მათი დამსახურებით, სიღარიბეშია ჩვენი მოსახლეობის ნახევარი, ტერიტორიების სერიოზული ნაწილი ოკუპირებულია და გვყავს უამრავი დევნილი, ვერც დემოკრატიული ინსტიტუტები განავითარეს, ვერც ნატოს დავუახლოვდით, რუსეთთან ვერ დაალაგეს ურთიერთობა და პრაქტიკულად, ის შანსი, რომელიც ხელისუფლებას 8 წლის წინათ მიეცა, გაიფლანგა თვითტკბობაში“ (2011წ.).



კახი კალაძე:
**„პრეზიდენტმა ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ეს ნაბიჯი ხალხის საკეთილდღეოდაა გადადგმული. მიხეილ სააკაშვილმა დაამტკიცა, რომ საქართველო ის სახელმწიფოა, რომელსაც ვერავინ დაამარცხებს, ვერ მოერევა. აღარ მინდა გავიხსენო „ვარდების რევოლუციამდელი“ ჩვენი ცხოვრება. ყაჩაღობები, მკვლელობები, ადამიანთა გატაცება, რომელიც, როგორც იცით, ჩემმა ოჯახმაც იწვნია. ის წლები ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო და ჩვენი ქვეყანა დაღუპვისკენ მიდიოდა. ბოლო ოთხი წელიწადია, საქართველო ვითარდება და შენდება. არა მგონია, რომ რომელიმე განვითარებულ სახელმწიფოში მომხდარიყო ასეთი რადიკალური სასიკეთო ცვლილებები, როგორიც საქართველოში მოხდა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში“ (2008 წ.).**

„დღეს არის სულ სხვა რეალობა, სულ სხვა საქართველო, დღეს ქვეყანას ჰყავს ხალხის მთავრობა და ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. მიხეილ სააკაშვილი კი ბოლო დროს გაკეთებული თავისი განცხადებებით ქართველი ხალხის მტერი ხდება და ინვესტიციების შემოსვლას ხელს უშლის“ (2013წ.).



თენგიზ კიტოვანი:
**„ეს ახალგაზრდები, რომლებიც გაერკვნენ შევარდნაძის პოლიტიკის შიდა სამზარეულოში და საკუთარი თვალით ნახეს, თუ საით მიჰყავდა მას ქვეყანა, წინ აღუდგნენ. რა არის ამაში არასწორი? სანამდე უნდა გაგრძელებულიყო შევარდნაძისა და მისი კლანის მიერ ხალხის ტანჯვა-წამება? აქედან ვადევნებ თვალს ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძის მოქმედებებს და მხარს ვუჭერ მათ“ (2003 წ.).**

„სააკაშვილის რეჟიმის დამხობა იყო საჭირო და აუცილებელი. მან დაკარგა საქართველოს ტერიტორიების ერთი მესამედი. 2008 წლის ომის დროს ქვეყანა დააყენა უდიდესი საფრთხის წინაშე. გაგახსენებთ, რომ მოსკოვში საგანგებოდ ჩამოვიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი და ქვეყნის სამხედრო სარდლობა. მთავარი თემა იყო ყარსის ხელშეკრულება. უფრო მეტიც, დღემდე არავინ გამცა პასუხი, რა უნდოდა სომხეთის სპეცნაწილებს ბორჯომის ტეროტორიაზე, რა პირობით შემოიყვანა ისინი იქ სააკაშვილმა“ (2012წ.).



ალექსანდრე შალამბერიძე:
**„ალბათ, ახალს არაფერს ვიტყვი, თუ საქართველოს პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილს დავასახელებ. მან შეძლო, უკანასკნელ წლებში გაჩერებული დრო დაეძრა. მიხეილ სააკაშვილის ძალისხმევითა და მონდომებით 10 წლით გავუსწარით მოვლენებს“ (2003წ.).**

„ეს სააკაშვილი „თხა და გიგოსავით“ რომ დამდგარა უკრაინის რუკასთან, რას აკეთებს? ჩვენ ხომ დაგვღუპა და ახლა უკრაინას მიადგა. ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, მიშა უნდა დაისაჯოს, იმიტომ, რომ ყველა ბოროტების სათავე სწორედ ეგ არის“ (2014 წ.).



დავით ბერძენიშვილი:
**„სააკაშვილმა იმიტომ დატოვა სახელისუფლო პარტია („მოქალაქეთა კავშირი“ — რედ.), რომ უკეთეს საქართველოში ეცხოვრა და რეალურად გადაეჭრა ხალხის პრობლემები. ეს დაინახა და დაუფასა კიდეც ქართველმა ერმა! შევარდნაძესთან ნამყოფი პოლიტიკოსებიდან სწორედ სააკაშვილი მიიჩნიეს თავის ორიენტირად. ჩვენს უკან საქართველოა, ამაზე მეტი გარანტია რა უნდა იყოს?“ (2003წ.).**

„სააკაშვილმა იმხელა შეცდომა დაუშვა, რომ ქვეყანამ უთხრა უარი, შარშან პირველ ოქტომბერს და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მას უარს საკუთარი პარტია ეუბნება“... (2013 წ.).



შალვა რამიშვილი:
**„მე პირადად ვიცნობ მიშა სააკაშვილსა და ზურაბ ჟვანიას, ვიცი მათ მიერ განვლილი გზა და შეხედულებები. ისინი პატიოსანი ადამიანები არიან და ქრთამს არ აიღებენ, რითაც შემცირდება კორუფციის დონე ქვეყანაში“ („ექო,“ 2003 წ.)**

„იცოდეს მიშამ: ჩემი საქმეში ჩართვის შემდეგ მას ძალზედ ეწყინება ან ეტკინება!... მხოლოდ ეს მომცემს ძალას, რათა ყველა ჩაგრულის, უსამართლოდ გასამართლებულის, სასოწარკვეთაში მყოფი ჩემი თანამემამულის სახელით პასუხი ვაგებინო მიშა სააკაშვილსა და მის დამქაშებს. ასე რომ, გქონდეთ ჩემი იმედი! დამიჭირეთ მხარი! დანარჩენი კი მე ვიცი!“ (2009წ.).

მოამზადა
**ბედისა დუმბაძემ**





# თამბაქო კვლავ ძვირდება

**2015 წელს თამბაქოზე აქციზის გადასახადი კიდევ ერთხელ მოიმატებს. თამბაქოს გაძვირებით სახელმწიფო მწეველთა რაოდენობის შემცირებას გეგმავს. თამბაქოზე აქციზის ეტაპობრივი ზრდა თამბაქოს კონტროლის შესახებ გაეროს ერთ-ერთი რეკომენდაციაა.**

„ჩვენს ქვეყანაში წელიწადში 11 ათასი ადამიანი იღუპება, მათგან 3 ათასი — პასიური მწეველი. მწეველთა რაოდენობის შემცირების მიზნით, გაეროს კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა თამბაქოზე აქციზის ეტაპობრივი ზრდა. ერთხელ ეს უკვე მოხდა და შემდეგი ეტაპი იქნება 2015 წელს. მომავალ წელს გათვალისწინებულია თამბაქოზე აქციზის გადასახადის მატება“, — განაცხადა პარლამენტის ჯანდაცვის საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა დიმიტრი ხუნდაძემ.

კომიტეტის თავმჯდომარე ჯერჯერობით ვერ აზუსტებს, რამდენად შეიძლება გაიზარდოს აქციზის გადასახადი და რა ფასი დაედება თამბაქოს პროდუქციას. მისი თქმით, ამ ყველაფერს ფინანსთა სამინისტრო დათვლის.

**ჟურნალისტის მიერ კანონის დარღვევის შემთხვევაში (რა თქმა უნდა, იგულისხმება პროფესიული დანაშაული, მაგალითად, ცილისწამება ან მოქალაქის პატივისა და ღირსების შელახვა), სასამართლოში მოპასუხეა მესაკუთრე, რა მდგომარეობაშიც უნდა იმყოფებოდეს ის (მაგალითად, რეანიმაციაში, ან არ ჰქონდეს გამოქვეყნებულ მასალასთან შეხება და ა.შ.). ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტი ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, რაც მას უხსნის პროფესიულ ვალდებულებას და უნარ-ჩვევას, რის გარეშეც ჟურნალისტიკა არ არსებობს.**

მედია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ჰამლეტ გეგია: ჩვენი კანონმდებლობა ხელს უშლის პროფესიონალი ჟურნალისტის ჩამოყალიბებას

**ყოფილმა პრემიერმა, ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინათ მწვავედ გააკრიტიკა თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკა და განაცხადა: „შეეგუონ ჟურნალისტები, რომ ისინი არ არიან რაღაც განსაკუთრებული ხალხი“.**
**იყო თუ არა სამართლიანი ყოფილი პრემიერის შეფასება და პოლიტიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებს ასე ხშირად რატომ შეაქვთ ეჭვი ქართველი ჟურნალისტების პროფესიონალიზმში, გვესაუბრება საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელი ჰამლეტ გეგია.**

**— ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, მედის პრობლემების გათვალიწინებით, დასვა მთავარი კითხვები, რომლებითაც ნებისმიერი მსჯელობა და ანალიზი უნდა იწყებოდეს: რა არის მედია? ვინ არის მეპატრონე? ვინ არის ჟურნალისტი? და, თუ ამ კითხვებს ამომწურავი პასუხი არ გაეცემა, ანალიზიც და მსჯელობაც ზედაპირული იქნება.**

— დავიწყოთ იმით, თუ რაში მდგომარეობს ჟურნალისტის პრივილეგია. არსებული კანონმდებლობით, ჟურნალისტი, როგორც პროფესია, არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტსაც იგივე პრივილეგია აქვს, როგორიც რიგით მოქალაქეს. ყოფილი მთავრობა იძულებული შეიქნა, გაეთვალისწინებინა საერთაშორისო პრაქტიკა და ნაწილობრივ მაინც ეღიარებინა ჟურნალისტის პრივილეგიები მოქალაქე ჟურნალისტის სტატუსის მიმართ, რაც ასახულია კანონმდებლობაში:

**1. ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით; 2. სასამართლოში ჟურნალისტს აქვს კანონით მინიჭებული უფლება, არ დაასახელოს ინფორმაციის წყარო; 3. ჟურნალისტი გამიჯნულია მანიფესტანტებისგან პროფესიული საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე.** ეს ცვლილება 2011 წლის ივლისში, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ინიციატივით, წინა მოწვევის პარლამენტმა შეიტანა კანონში „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“.

ჟურნალისტი თავისი საქმიანობით რეალურად პრივილეგირებულია, განსხვავებით სხვა რიგითი მოქალაქეებისგან (დავუშვათ, მიტინგზე ჟურნალისტი თავისთავად გამიჯნულია მონაწილეებისგან), მაგრამ **დღეს, კანონმდებლობიდან გამომდინარე, მედიასივრცეში ვაკუუმია შექმნილი — ჟურნალისტს პროფესია წაართვეს, ფაკულტეტიც კი გააუქმეს უმაღლეს სასწავლებლებში და ყოფილმა მთავრობამ ეს შეგნებულად გააკეთა, რათა ადვილად ემართა მედიასაშუალებები.** შრომის კანონმდებლობით, როდესაც მედიამფლობელს სამუშაოზე აჰყავს თანამშრომელი, აჰყავს, როგორც მოქალაქე-ჟურნალისტი და არა — როგორც პროფესიით ჟურნალისტი, რადგან ჟურნალისტის პროფესიონალიზმი უშუალოდ დაკავშირებულია მის პასუხისმგებლობასთან, პროფესიულ ეთიკასთან, ინფორმაციის ობიექტურად გავრცელებასა და იმ საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლებიც მედიამ თავისი განვითარების გზაზე შეიმუშავა.

**— ანუ მედიის შესახებ კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს?**

— სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობა ხელს უშლის პროფესიონალი ჟურნალისტის ჩამოყალიბებას. **ჟურნალისტის მიერ კანონის დარღვევის შემთხვევაში (რა თქმა უნდა, იგულისხმება პროფესიული დანაშაული, მაგალითად, ცილისწამება ან მოქალაქის პატივისა და ღირსების შელახვა), სასამართლოში მოპასუხეა მესაკუთრე, რა მდგომარეობაშიც უნდა იმყოფებოდეს ის (მაგალითად, რეანიმაციაში, ან არ ჰქონდეს გამოქვეყნებულ მასალასთან შეხება და ა. შ.). ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტი ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, რაც მას უხსნის პროფესიულ ვალდებულებას, რის გარეშეც ჟურნალისტიკა არ არსებობს.** კანონი ჟურნალისტს არ ავალდებულებს სასამართლოს წინაშე წარდგომას, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. კანონმდებლობით, მედიამესაკუთრე არ უნდა ერეოდეს ჟურნალისტის საქმიანობის თავისებურებებში და, **როცა კანონი არ ითვალისწინებს ჟურნალისტის პროფესიულ დამოუკიდებლობას, სად არის სიტყვის თავისუფლება? სწორედ ეს არის კიდევ ერთი სამართლებრივი შეუსაბამობა.**

პროფესიით ჟურნალისტი სამართლებრივი ნორმით უნდა განსხვავდებოდეს რიგითი მოქალაქე-ჟურნალისტისგან.



**დიაწარმოება წამგებიანია, მაშინ რატომ და როგორ არსებობს?! მედიის პრობლემების მთავარი კვანძი არის ის, რომ არ არსებობს ჯანსაღ კონკურენციაზე დაფუძნებული ინფორმაციული ბაზარი, დაბალია მოსახლეობის მყიდველობითი უნარი და მედიამეწარმეებს არ ძალუძთ, დაფარონ თუნდაც პროდუქციის თვითღირებულება.** გარდა ამისა, მწირია სარეკლამო ბაზარი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ბიზნესის სარეკლამო რესურსებსა და ინფორმაციის მომხმარებლის ფინანსურ შესაძლებლობებთან — მოსახლეობის მყიდველობით უნართან. ყოველივე ეს აიძულებს მედიამესაკუთრეებს, იბრძოლონ თვითგადარჩენისთვის.

**თუ საქართველოში მედიაწარმოება წამგებიანია, მაშინ რატომ და როგორ არსებობს?! მედიის პრობლემების მთავარი კვანძი არის ის, რომ არ არსებობს ჯანსაღ კონკურენციაზე დაფუძნებული ინფორმაციული ბაზარი, დაბალია მოსახლეობის მყიდველობითი უნარი და მედიამეწარმეებს არ ძალუძთ, დაფარონ თუნდაც პროდუქციის თვითღირებულება**

მთავრობის წევრებმაც, მოსამართლეებმაც და მედიამესაკუთრეებმაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგონ, ვინ არის ჟურნალისტი, შეძლონ ამ პროფესიის განსაზღვრა და ფორმულირება. იურიდიულად უნდა იყოს გარანტირებული, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოხდეს ჟურნალისტის, როგორც პროფესიონალის, დაკნინება და უგულებელყოფა. იმედია, ამ საკითხით დაინტერესდება მთავრობაც, პარლამენტიც, საზოგადოებაც და ეს პრობლემა საკანონმდებლო დონეზე მოგვარდება.

**— შეძლებს კი ჟურნალისტი, რომელსაც გამუდმებით აკრიტიკებენ, პროფესიული დონის ამაღლებას ამ ვითარებაში?**

— ჟურნალისტის პროფესიული ზრდა უშუალოდ დაკავშირებულია მის დაინტერესებასა და ინფორმაციული ბაზრის თავისებურებებთან. დღეს არსებული კანონმდებლობით, ჟურნალისტიკა, სამწუხაროდ, როგორც დარგი, ვერ განვითარდება, თუ არ იქნება გათვალისწინებული მხარეებისა და საზოგადოების ინტერესები. **საზოგადოება ითხოვს ობიექტურ, პროფესიულ დონეზე შექმნილ ინფორმაციულ პროდუქტს, რაც, რა თქმა უნდა, სერიოზულ ცოდნასა და შრომას მოითხოვს პროფესიონალი ჟურნალისტისგან.** ცოდნა ძვირად ღირებული პროდუქტია, შესაბამისად, ხარისხიანი ინფორმაციული პროდუქტიც ძვირად ფასობს. საზოგადოებას, რომლის მყიდველუნარიანობაც დაბალია, არც აქვს პროფესიული დონის მოთხოვნა. მედიაწარმოება ბიზნესია და ისევე იბეგრება, როგორც, მაგალითად, ხაჭაპურის გამოცხობა, ხოლო თუ ბიზნესი წამგებიანია, მაშინ ის შეუძლებელია, არსებობდეს. და თუ არსებობს, მაშინ ფინანსდება იმ ადამიანებისგან, რომლებსაც თავიანთი პოლიტიკური და ფინანსური მიზნების ლობირება სურთ.

**— დაინტერესებულია თუ არა მედიასაშუალების მესაკუთრე პროფესიონალი ჟურნალისტების დასაქმებით?**

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჰყავს დამფინანსებელი ან მომხმარებლის ის ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ დამოუკიდებლობას, ფუნქციონირებასა და ხარისხს. ასეთი მედიასაშუალება საქართველოში ძალზე ცოტაა. ამიტომაც **ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, „რუსთავი-2“, საზოგადოებრივი მაუწყებელი) ბიუჯეტიდან, ანუ გადასახადების გადამხდელთა ჯიბიდან ათეულობით მილიონი ლარით ფინანსდება „ჰუმანური“ ფორმულირებით: ვალების ჩამოწერა „მედიის მხარდაჭერის მიზნით“ (ანუ მათი დახმარების მიზნით).**

მოქმედი კანონმდებლობით, მედია არის ჩვეულებრივი ბიზნესი, რომლის შედეგი არის მედიაპროდუქტი. ამ პროდუქტს აქვს თვითღირებულება, საქონლისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი და ექვემდებარება საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის კანონებს.

და თუ განვიხილავთ მედიას, როგორც ბიზნესსა და მეწარმეობას, მაშინ ის მომგებიანი უნდა იყოს, რადგან წამგებიანი ბიზნესი არ არის ბიზნესი. **თუ საქართველოში მე**

**მედია, რომლის პროდუქტიც განსაკუთრებულია, არის საზოგადოებრივი კონტროლის, მართვისა და მთავრობის მონიტორინგის ერთ-ერთი აუცილებელი სამოქალაქო ინსტიტუტი. შესაბამისად, მედიაბიზნესის დაფინანსება დაკავშირებულია იმ ძალებთან, რომლებსაც აქვთ სურვილი, საზოგადოება, ინფორმაციის მომხმარებელი, ჰყავდეთ გავლენის ქვეშ.** ამიტომ მედია ხშირად გვევლინება სხვადასხვა პოლიტიკური ფინანსური და სამთავრობო ძალის ლობისტად. ამას ხელს უწყობდა ყოფილი მთავრობა და ახალი მთავრობაც უცვლელად ტოვებს მედიასივრცის მართვის იმ სამართლებრივ და სოციალურ მექანიზმებს, რომლებიც ყოფილი მთავრობის მიერ არის აპრობირებული. არსებული კანონმდებლობა კი იცავს დამფუძნებლის ინტერესებს და უგულებელყოფს ჟურნალისტის პროფესიულ და შემოქმედებით ინტერესებს.

მოქმედ შრომის კანონმდებლობაში ჟურნალისტი წარმოჩენილი არ არის, როგორც შემოქმედებითი სუბიექტი, და არანაირი განსხვავება რიგით მოქალაქესა და დაქირავებულ ჟურნალისტს შორის არ არსებობს. მესაკუთრესა და მოქალაქე-ჟურნალისტს შორის საქმიანი ურთიერთობა განისაზღვრება კონტრაქტის ან სიტყვიერი შეთანხმების მიხედვით. ეს მიუთითებს, რომ საქართველოში მედიამესაკუთრე ყველაფერზე პასუხს აგებს და იგი ანგარიშს არ გაუწევს ჟურნალისტის პროფესიულ და შემოქმედებით დამოუკიდებლობას, ანუ კანონი ხელს უწყობს მეპატრონეს ე. წ. ცენზურის განხორციელებაში.

რაც შეეხება მედიასაშუალებების მფლობელთა ვინაობას, ეს კანონით უნდა განისაზღვროს ისევე, როგორც მათი საქმიანობის გამჭვირვალობა და შემოსავლების ლეგიტიმურობა. ამასთანავე, ბიზნესის ინტერესებიც კანონით უნდა იყოს დაცული, მით უმეტეს, რომ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ზოგი ინფორმაციის გასაჯაროება ბიზნესისთვის მიზანშეუწონელია. მედიის ყველა პრობლემა გამომდინარეობს ფინანსური დამოუკიდებლობის უქონლობით, მოსახლეობის დაბალი მყიდველობითი უნარით, არაჯანსაღი, დემოკრატიაზე არაორიენტირებული კანონით, მესაკუთრის მცდელობით, რადაც უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს მედიაგამოცემა. ასეთ ვითარებაში მედიის კრიტიკა უშედეგოა. ჟურნალიტებისთვის აუცილებელია პროფესიული პასუხისმგებლობისა და საქმიანობის მიხმა შესაბამის ანაზღაურებაზე. ყოველივე ეს მოითხოვს სისტემურ გარდაქმნას, რეფორმებს, რომლებიც კრიტიკით, სჯა-ბაასით, ჭკუის დარიგებით ძნელად განსახორციელებელია.

**— და მაინც, თქვენი აზრით, არსებობს თუ არა მედიაბიზნესი საქართველოში?**

— კლასიკური გაგებით, საქართველოში მედიაბიზნესი არ არსებობს. პირადად მე ბატონი ბიძინას გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება და მჯერა, რომ მას სურს, გვყავდეს პროფესიონალი ჟურნალისტები, რომ მედიაპროდუქტი აკმაყოფილებდეს რეალურ მოთხოვნებს, იყოს კონსტრუქციული შუამავალი საზოგადოებასა და მთავრობას შორის, მაგრამ ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოქალაქეების გააქტიურება და მედიასივრცეში არსებული იმ პრობლემების გაანალიზება, რომლებიც ქართულ მედიასაშუალებებს ხელს უშლის, იყოს ობიექტური და მაღალხარისხიანი პროდუქტის მწარმოებელი.

ვიდრე არ მოხდება დაბალანსება მესაკუთრეთა ინსტიტუტსა და რედაქციას შორის, როცა პასუხისმგებლობა ორმხრივია და ორიენტირებულია მედიის განვითარებისკენ, ქართული მედიის პრობლემები არ მოგვარდება. ყოველივე ეს კი კანონით უნდა დარეგულირდეს.

ესაუბრა
**დათო ქაქუთია**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ამერიკელების მხრიდან ხელისუფლებების ცვლილების მცდელობა მხოლოდ გეოპოლიტიკური მოტივებით შეიძლება აიხსნას. უკრაინაში პოლიტიკური სიტუაციის გართულების შემდეგ მათ მიზანს წარმოადგენს, უკრაინის მსგავსად, რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე რეგიონებში პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია.“

# «კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №34 (269)

**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ 23 სექტემბერს სასტუმრო „ბეტსიში“ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გამართა, რომლის მოკლე მიმოხილვაც გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა. დაპირებისამებრ, ამჯერად გაგაცნობთ ღონისძიების მონაწილე პოლიტოლოგების, ექსპერტების, ანალიტიკოსების მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს უკრაინული ევრომაიდნის ექომ სამხრეთ კავკასიაზე და რა გაკვეთილები უნდა გაითვალისწინონ რეგიონის ქვეყნებმა, რათა არ დაუშვან გარე ძალების მიერ დაგეგმილი, ისედაც ცეცხლსაშიში რეგიონის დესტაბილიზაცია. არადა, ეს საფრთხე ნათელია და იგი სამხრეთკავკასიური სახელმწიფოების თავზე დამოკლეს მახვილივით კიდია. კონფერენციის მონაწილეებმა, ვიდრე პასუხს გასცემდნენ შეკითხვას — შესაძლებელია თუ არა უკრაინის სცენარის საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში განმეორება — მიმოიხილეს, თუ როგორ წარმოიშვა და რა მოვლენაა მაიდანი. ასევე, დეტალურად განიხილეს ევროპისა და ამერიკის შესაძლო მოქმედებები სამხრეთ კავკასიაში დესტაბილიზაციის გამოსაწვევად.**



**«თუ ერევანში ადგილი ექნება ამგვარი ტიპის სახელისუფლო ცვლილებას და პროამერიკული პოლიტიკური ძალის მოსვლას ხელისუფლებაში, რუსეთის ფედერაცია მოიხსნის მის მიერ აღებულ ყველანაირ ვალდებულებას, სომხეთის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით»**



**ირაკლი უზილავა, პოლიტოლოგი:**

— რეგიონში ყველა პარამეტრებით, სოციალურ-ეკონომიკური, სამხედრო თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს აზერბაიჯანი წარმოადგენს. სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების შედარებით მაღალი დონე, რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, უზრუნველყოფს ზოგადად მმართველი კლასისა და ქვეყნის ლიდერისადმი ლეგიტიმაციისა და ნდობის მაღალ ხარისხს, ხოლო ეს უკანასკნელი ფაქტი გამორიცხავს რევოლუციური პროცესების განვითარებას აზერბაიჯანში, მიუხედავად ამერიკელთა მცდელობისა.

სამხრეთ კავკასიის კიდევ ერთი ქვეყანა — სომხეთი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებითა და მოსახლეობის ცხოვრების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩება აზერბაიჯანს, მაგრამ არსებობს სხვა ფაქტორი, რომელიც გამორიცხავს მაიდნის მსგავსი პროცესების განვითარებას ჩვენ მიერ განხილულ რიგით მეორე სამხრეთ კავკასიურ სახელმწიფოში. ასეთი რიგის ფაქტორთა კატეგორიას განეკუთვნება ყარაბახის კონფლიქტი, რომელიც წარმოადგენს სომხეთის მოსახლეობის გამაერთიანებელ ფაქტორს საერთო მტრის — აზერბაიჯანის წინააღმდეგ. მართალია, ყარაბახში ირიდენტიზმის ნიშნებს ადგილი არ ჰქონია და ფორმალურად არ შეუერთებია სომხეთს, მაგრამ არავისთვის უნდა იყოს დასამალი, რომ სომხებისთვის სადავო, ხოლო აზერბაიჯანული ხედვით, მის ტერიტორიაზე ფაქტობრივი კონტროლი დამყარებული აქვს ერევანს. აქვე უნდა ითქვას, რომ სტატუს-კვოს შენარჩუნებისა და სომხების სასიცოცხლო სივრცის ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციასთან სამხედრო სტრატეგიული მოკავშირეობა, რომელიც იურიდიულად აქვთ გაფორმებული და განმტკიცებული ორივე სახელმწიფოს; თან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სომხეთში, კერძოდ გიუმრში, დისლოცირებულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სომხეთზე აგრესიის შემთხვევაში, რუსეთის ფედერაცია ვალდებულია, ჩაერთოს სამხედრო მოქმედებებში აგრესორი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასე რომ, ყარაბახის კონფლიქტის ესკალაცია და ცხელ ფაზაში გადასვლა, რაც თავის მხრივ სომხეთთან დაპირისპირებას ნიშნავს, ავტომატურად გამოიწვევს რუსეთის ფედერაციის ჩართვას აღნიშნულ ომში. სწორედ ესაა ის უმთავრესი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს სომხური სახელმწიფოს კონტროლს, უპირატესად სომხებით დასახლებულ ყარაბახის ტერიტორიაზე. ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული სომხური საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას, რაც ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ამერიკელებისთვის რევოლუციური პროცესებით პოლიტიკური სიტუაციის განვითარების საქმეში. ვინაიდან ყველასთვის ცხადია, რომ „ფერადი რევოლუციებით“ თუ სხვა ტიპის გადატრიალებებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხელისუფლებაში მოსული ყველა პოლიტიკური ძალა პროამერიკულია და შესაბამისად რუსეთის ფედერაციისადმი მტრულად განწყობილი. თუ ერევანში ადგილი ექნება ამგვარი ტიპის სახელისუფლო ცვლილებას და პროამერიკული პოლიტიკური ძალის მოსვლას ხელისუფლებაში, რუსეთის ფედერაცია მოიხსნის მის მიერ აღებულ ყველანაირ ვალდებულებას, სომხეთის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. რუსეთის ფედერაციის ეს ნაბიჯი კი ძალიან ძვირად დაუჯდება სომხურ სახელმწიფოს, კერძოდ, დიდი ალბათობით, გამოიწვევს ყარაბახზე კონტროლის დაკარგვას და სომეხი ერის სასიცოცხლო სივრცის შემცირებას.

ამ მხრივ ზემოთ ჩამოთვლილი კავკასიური სახელმწიფოებიდან ყველაზე მოწყვლად სახელმწიფოდ შეიძლება მივიჩნიოთ საქართველო.

თბილისის მაიდანიზაცია გამორიცხულია, ზოგიერთი პოლიტიკური დაჯგუფების სურვილის მიუხედავად, რადგან დღეს არ არსებობს საქართველოში ისეთი პროამერიკული პოლიტიკური პარტია, რომელსაც საზოგადოებაში ნდობის მაღალი ხარისხი ექნებოდა.

**სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ამერიკელების მხრიდან ხელისუფლებების ცვლილების მცდელობა მხოლოდ გეოპოლიტიკური მოტივებით შეიძლება აიხსნას. უკრაინაში პოლიტიკური სიტუაციის გართულების შემდეგ მათ მიზანს წარმოადგენს, უკრაინის მსგავსად, რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე რეგიონებში პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია და რუსეთის ფედერაციის ერთდროულად, რამდენიმე მიმართულებით გეოპოლიტიკურ ორთაბრძოლაში ჩაბმა. იმ მოტივით, რომ რუსეთის ფედერაციამ ვერ გაუძლოს ასეთ გეოპოლიტიკურ დატვირთვას, როგორც ეკონომიკური და სამხედრო, ასევე, პოლიტიკური კუთხით და დამარცხდეს დიდ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში შეერთებულ შტატებთან. შეერთებულ შტატებს სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების ესკალაცია და რუსეთის ფედერაციისთვის ახალი გეოპოლიტიკურ პრობლემის კერების გაჩენა რომ სურს, კარგად გამოჩნდა აგვისტოს დასაწყისში სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ყარაბახის გამო ომის პროვოცირების მცდელობაში, როდესაც დაპირისპირება ცივი ომის რეჟიმიდან კინაღამ ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა.**

აღნიშნული კონფლიქტის დეესკალაცია მხოლოდ მაშინ მოხდა, როდესაც სამი ქვეყნის — რუსეთის ფედერაციის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერები 8-9 აგვისტოს რუსული მხარის მიწვევით შეხვდნენ სოჭში. აქედანაც ჩანს, რომ რუსეთის ფედერაციის ინტერესებში სულაც არ შედის რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის გართულება და კრიზისის გაღრმავება, მით უმეტეს უკრაინაში პოლიტიკური პროცესების გართულების ფონზე. ხოლო, თუ რომელი სახელმწიფოა, არა მხოლოდ კავკასიის რეგიონში, არამედ ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში დესტაბილიზაციის მთავარი წყარო, საღად მოაზროვნე ადამიანისათვის არ უნდა იყო გამოცანა.

**აზერბაიჯანის ხელით ვერ მოახერხეს რეგიონის დესტაბილიზაცია. შეერთებული შტატებისთვის ყველაზე ხელსაყრელ პოლიგონად დარჩა საქართველო, რომელსაც, თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რეგიონში ყველაზე უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს.**



**ზვიად ირემაძე, ანტიგლობალიზაციის ცენტრ „ივერიელების“ წარმომადგენელი:**

— ევრომაიდანზე საპროტესტო აქციები დაიწყო სულ რაღაც რამდენიმე ასეულმა ადამიანმა, იმ ძალების ხელშეწყობით, რომლებიც ზურგს უმაგრებდნენ და მხარში ედგნენ ნარინჯისფერ რევოლუციად წოდებული პროცესებით მოსულ ძალებს უკრაინაში. ისევე, როგორც 2003-ში იგივე ძალები უმაგრებდნენ ზურგს საქართველოს ხელისუფლებაში ვარდების რევოლუციად წოდებულ პროცესებით მოსულ პოლიტიკურ გაერთიანებას. **საყურადღებოა ისიც, რომ, როგორც კიევში, ასევე საქართველოში ერთნაირად განვითარდა პროცესები, ანუ იუშჩენკოს ხელისუფლება გარკვეული წლების მერე ჩაანაცვლა პრორუსულ ძალად წოდებულმა იანუკოვიჩის უსუსურმა ხელისუფლებამ, ისევე, როგორც ჩვენს ქვეყანაში ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია „ნაცმოძრაობა“ ჩაანაცვლა ორი წლის მოსულმა პოლიტიკურმა გაერთიანება „ქართულმა ოცნებამ“, რომელიც საკმაოდ უსუსური პოლიტიკური გადაწყვეტილებებით გამოირჩევა.**



**გრიგოლ ონიანი**, ორგანიზაცია „სტალინელის“ თავმჯდომარე:

**— დედამიწის მოსახლეობის ერთი მეოთხედი თვლის, რომ ძირითადი საფრთხე მოდის ამერიკის შეერთებული შტატებიდან. გამოკითხულთა 5% კი მიიჩნევს, რომ საშიშროება მოაქვს ირანსა და ჩრდილოეთ კორეას. გამოკითხულთა მხოლოდ 2% თვლის რუსეთს თავის** ▶

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველა ის ადამიანი, რომლებიც თავის ქვეყანას „მაიდნისკენ“ უბიძგებს, სახელმწიფოს მტერია. ეს ადამიანები უცხო ქვეყნის ინტერესებს ატარებენ და საკუთარ ამბიციებს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას სწირავენ.

**◀ მტრად, — ასკვნის ამერიკის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფი.**

გამოკითხვაში მონაწილეობდა 70 000 კაცი 35 ქვეყნიდან. რუსეთისა და ჩინეთის შემდეგ თურქეთისა და საბერძნეთის მოსახლეობის ერთ მესამედს არ უნდა ამერიკასთან ურთიერთობა. თვითონ ამერიკელების გამოკითხვით დადგინდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის 13% თვლის, რომ თავიანთი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა აგრესიულია და მშვიდობის წინააღმდეგაა მიმართული.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— აშშ-ის გავლენის ქვეშ მოქცეულმა **საქართველო-უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ, ამერიკაში ნავარჯიშებმა და გაწვრთნილმა, უმალ წამოიწყო ყველა დარგის რეფორმა, განსაკუთრებით — განათლების სისტემის. უკრაინის სკოლის სახელმძღვანელოებში გაქრა სამამულო ომის ცნება; წინა პლანზე წამოიწია უკრაინის არარსებულმა მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, უკრაინელი ხალხის განსაკუთრებულობამ და, რაც მთავარია, უკრაინელსა და რუსს შორის უდიდესმა სხვაობამ.**

უმდიდრესი საბჭოთა რესპუბლიკა — უკრაინა ქურდულ სახელმწიფოდ იქცა. ოლიგარქებისა და მარიონეტი ხელისუფლების წყალობით და, რაც მთავარია, ვაშინგტონის კარნახით, უკრაინა რუსეთს დაუპირისპირდა.

აშშ-ის ადმინისტრაციამ ყველაფერი იღონა უკრაინის გადასაბირებლად — ფული, იდეოლოგია, პროპაგანდა. და მივიღეთ ის, რასაც ჰქვია მეორე „მაიდანი“; მივიღეთ ის, რასაც ჰქვია ძმათა შორის ომი, პერმანენტული „ცხელი წერტილი“, რუსეთის საზღვრებთან სერიოზული თავსატეხი და, რაც მთავარია, რუსეთისადმი მტრულად განწყობილი უკრაინა.

**უკრაინის მორჯულებითა და გაამერიკელებით იწყება რუსეთის დაშლის გეგმის ამოქმედება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 23 წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ნატო მჭიდროდ მიუახლოვდა რუსეთის საზღვრებს.** ევროპაში, რუსეთის სიახლოვეს, იგეგმება რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსება; რუსეთს უწესდება ეკონომიკური სანქციები, რუსეთი მოიხსენიება აგრესორ ქვეყნად, რომელშიც დემოკრატია და ადამიანის უფლებები ფეხქვეშ არის გათელილი.



**გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი:**

— უკრაინის თემატიკა უშუალოდ მოქმედებს ქართულ საშინაო პოლიტიკაზე, თუნდაც პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციები ან მთავრობის თავმჯდომარისა და ზოგიერთი მინისტრის წინააღმდეგობრივი განცხადებები გავიხსენოთ. **პრემიერ-მინისტრის მოზომილ, დიპლომატიურ განცხადებებს ზოგიერთი მინისტრი როყიო, უმწიფარ განცხადებებს უპირისპირებს, რომლებმაც, შესაძლოა, რუსეთთან ძლივს ოდნავ გამოსწორებული ურთიერთობები ისევ გააფუჭოს და ამით „ნაცების“ წისქვილზე დაასხას წყალი.**

საქართველომ ხელი უნდა შეუშალოს და დასაჯოს ის კრიმინალური სტრუქტურები, რომლებიც საქართველოდან უკრაინაში აგზავნიან ზოგიერთ პირს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად. მართალია, ქართველმა ბოევიკებმა, სინამდვილეში კი „ნაციონალებმა“, აქამდე დიდად ვერ გამოიჩინეს თავი, დონბასელი აჯანყებულები ნიჭიერი რუსი მეთაურების ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ უმკლავდებიან უკრაინის შეიარაღებულ ძალებს.

**კარგი იქნებოდა, თუკი საქართველო, ევროკავშირთან „ასოციაციის“ ხელშეკრულების ხელმოწერით ტკბობის მაგივრად, ყურადღებას მიაქცევდა გაზრდილ შესაძლებლობებს რუსეთსა და ევროკავშირს შორის სანქციური დაპირისპირების ფონზე.** „რუსეთმა განსაზღვრა პრიორიტეტული ქვეყნების სია სურსათის მოწოდების თვალსაზრისით, რომელიც ადრე ევროპის ქვეყნებიდან შემოდიოდა, — განაცხადა რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ნიკოლაი ფიოდოროვმა, — ჩვენთვის პერსპექტიული ქვეყნებია, ხილბოსტნეულის მოწოდების თვალსაზრისით, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, რაღაც დოზით — ყირგიზეთი. აქვე ახლოს არის თურქეთი, ირანი, სერბეთი. ძალიან პერსპექტიული ქვეყნებია ირანი, მაროკო და ეგვიპტე. მათ სჭირდებათ ჩვენი პროდუქცია, კერძოდ, ხორბალი და ზეთი, ხოლო ჩვენ გვინდა მათი ბოსტნეული, ხილი, კენკრა და ციტრუსები“. მისი სიტყვებით, მძლავრი ბაზარი, რომელიც „კარზე გვიკაკუნებს“, ლათინური ამერიკის ქვეყნებია. „ესაა ჩილე, არგენტინა, პარაგვაი, ეკვადორი, პერუ. მათთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და ისინი უკვე რიგში დგანან, რომ გაზარდონ თავიანთი პროდუქციის მოწოდება“, — თქვა ფიოდოროვმა.

კარგი იქნებოდა, თუკი ამ სიაში საქართველოც აღმოჩნდებოდა.



**ვალერი კვარაცხელია, ანალიტიკოსი:**

— მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკამ შეიმუშავა სამხედრო დოქტრინა, რომელშიც ნათლადაა ასახული მათი მსოფლიოზე გაბატონების სურვილი. ეს დოქტრინა მუდამ წინააღმდეგობას აწყდებოდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, მერე ეგონათ, რომ ეს პრობლემა მოეხსნებოდათ, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ამ უდიდესი კავშირის სამართალმემკვიდრე გახდა, რუსეთი გახდა ასევე პატრონი იმ ბირთვული არსენალისა, რომელიც ძალისმიერი მეთოდების შემაკავებელი ფაქტორია. ამიტომ ამერიკა ახალ რელსებზე გადავიდა — გადაწყვიტა რუსეთის დასუსტება და დაშლა, მაგრამ მას კვლავ შეხვდა უდიდესი წინააღმდეგობა, რომელსაც რუსი ხალხის ნება ჰქვია. რუსი ხალხის ნებას კი ვლადიმერ პუტინი გამოხატავს. პუტინი ამას არც მალავს და სწორი ნაბიჯებიც გადადგა ქვეყნის გასაძლიერებლად ეკონომიკისა და თავდაცვის სისტემების გაძლიერების კუთხით. ვლადიმერ პუტინმა 2007 წელს პირდაპირ განაცხადა, რომ მსოფლიო ერთპოლუსიანი ვერ იქნებოდა, რადგან ამან სიკეთე არ მოიტანა, არ იმუშავა. პუტინის ეს ნათქვამი იმხანად ცარიელ სიტყვებად ჩათვალეს, მაგრამ ძალიან შეცდნენ, რუსეთი დღეს არის ქვეყანა, რომელსაც ნებისმიერ გამოწვევასთან გამკლავება შეუძლია.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი აშშ-ის დოქტრინა დღემდე არავის შეუცვლია, რაც ამ ქვეყანას პრობლემებს უქმნის. ის საჭირო დროს ლავირების საშუალებას არ იძლევა, რაც რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას უწყობს ხელს. ამერიკას ამ სიტუაციაში ჩათრეული ჰყავს მთელი ევროპა და რუსეთის წინააღმდეგ ერთად მოქმედებენ.

ნატოს გაფართოების გეგმამ, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შემუშავდა, 2004 წლამდე იარსება, ამ ალიანსში ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გაწევრებამდე. მათი მიზანია, ეს პროცესი გაგრძელდეს და, თუ გაგრძელება უწერია, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ნატოს წევრები უნდა გახდნენ, ოღონდ ერთი ფაქტორი არსებობს: შეუძლია თუ არა ამის ატანა რუსეთს? რუსეთი იტანს ბევრ რამეს, უკანაც იხევს, ოღონდ იმ მომენტამდე, ვიდრე მანევრირების საშუალება არსებობს. როდესაც რუსეთი დაინახავს, რომ უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს, იწყებს ბრძოლას სხვა მიმართულებით. სწორედ ასეთი რამ მოხდა უკრაინაში. ამერიკამ და ევროპამ მოქმედებები ფორსირებულად დაიწყეს ჩვეული მეთოდებით — მანიპულაციებით, კორუფციაზე საუბრით, იანუკოვიჩის ვითომ პრორუსულობით, შექმნეს მაიდნის პროცესები, რომლითაც პროამერიკული რეჟიმის ჩამოყალიბება სურდათ. მათ ეს ერთხელ უკვე სცადეს, როდესაც მოიყვანეს იუშჩენკოსა და ტიმოშენკოს ტანდემი, მაგრამ მაშინაც ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდათ და საქმე ვერ დაასრულეს.

**აშშ ყველაფერს აკეთებს, რათა ევროპაში თავისი ჰაერ და რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარები განალაგოს და რუსეთი, პრაქტიკულად, ალყაში მოაქციოს, თანაც, თუ საქართველო და უკრაინა ნატოში გაერთიანდებიან, რუსეთი ბირთვული იარაღისგან განიარაღდება, რადგან დამჭერი სისტემები ძალიან ახლოს იქნება და აფრენის მომენტშივე შეძლებს რაკეტების დაჭერას. რუსეთი ამას, რა თქმა უნდა, აცნობიერებს და მოქმედება დაიწყო.**



**ვიქტორ ცაავა, გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრის წარმომადგენელი:**

— იუგოსლავიის „ბულდოზერების“ რევოლუცია, საქართველოს „ვარდების“ რევოლუცია, უკრაინის „ნარინჯისფერი“ რევოლუცია, „ფიჭვების“ რევოლუცია ლიბანში, „ტიტების“ რევოლუცია ყირგიზეთში, მოვლენები ალჟირში, ლიბიაში, ეგვიპტეში, იორდანიაში, ასევე, მაიდნის მოვლენები და სხვ. მიუთითებს იმაზე, რომ მიმდინარეობს „მართვადი ქაოსის“ თეორიის გამოყენება პრაქტიკაში.

ამის დამამტკიცებელი ფაქტორებია ამ მოვლენების განვითარების ერთი და იგივე, იდენტური შიგადესტაბილიზაციის სცენარები ყველა ამ ქვეყანაში. უკრაინა დღეს „მართვადი ქაოსიოს“ თეორიის ერთ-ერთ ძირითად ფაზაშია, რომელიც 2004 წლის პროამერიკული გადატიალებით დაიწყო, შემდეგ მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გამო შენელდა და 2013 წელს „კიევის მაიდნის“ სახელით ცნობილი სახელმწიფო გადატრიალების ფორმით მოგვევლინა, განახლებული სახეებითა და ახალი ნეონაცისტური, ლიბერალური იდეოლოგიით, რომელიც დასავლეთიდან, კერძოდ, ამერიკიდან იკვებება.

თუ თვალს შევავლებთ მსოფლიო პოლიტიკურ რუკას და გავიხსენებთ ქვეყნებს, რომლებშიც არსებობს ან გაყინული, ან ცხელ ფაზაში არსებული კონფლიქტები, მივხვდებით, რომ მათი 80% პირდაპირ თუ ირიბად რუსეთის ფედერაციის სამეზობლოში ან მის ე.წ. გავლენის სფეროების არეალში მდებარეობს. სირია, ყირგიზეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, დნესტრისპირეთი, უკრაინა, ირანი — ყველა რკალისებურად ეხვევა რუსეთს, მის ცენტრალურ ნაწილს და ქმნის ქაოსურ ზონებს. ერთ-ერთი ამ ზონათაგანი ლოკალიზებულია სამხრეთ კავკასიაში, სადაც თავმოყრილია პოტენციური კონფლიქტების მთელი ბუკეტი: სომხეთ-აზერბაიჯანის, საქართველოსა და აფხაზეთ-სამაჩაბლოს, სომხეთ-თურქეთის გადაუჭრელი კონფლიქტები.

ყველაზე დიდი შანსი მაიდნის მსგავსი პოლიტიკური პროცესების განვითარებისა, რა თქმა უნდა, საქართველოშია. ჯერ ერთი, **პოლიტიკურმა გუნდმა, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში 2012 წელს, ვერ უზრუნველყო ქვეყანაში ერთიანი მონოლითური სტრუქტურული სახელმწიფო აპარატის შექმნა. ორი წლის მმართველობის განმავლობაში ვერ შესთავაზეს ხალხს ეროვნულ სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა. იმდენად, რამდენადაც საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურება ისაა, რომ იკვეთება ოთხი გიგანტის — რუსეთის, თურქეთის, ირანისა და ამერიკის ინტერესები რეგიონში,** გვქონდა შანსი, ამ ინტერესების ბაზაზე ლავირებით აგვეგო ჩვენი სახელმწიფოს განვითარების სტრატეგია, მაგრამ ხელისუფლებამ აშშ-ის მარიონეტის როლი აირჩია.

**საქართველოს მერე მაიდანიზაციის შანსი მიზერული, მაგრამ მაინც გააჩნია, რა თქმა უნდა, აზერბაიჯანს. პრეზიდენტ ალიევისა და მის გარემოცვის პოლიტიკის მრავალვექტორობა და სიხისტე შეიძლება გახდეს საბაბი მაიდანიზაციისა ბაქოში. არც ბრიუსელსა და არც აშშ-ს არ აუტეხავთ ყვირილი მაშინ, როდესაც პრეზიდენტმა ალიევმა კატეგორიული უარი განაცხადა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე. საქართველოსა და თურჩქეთზე გამავალმა ალტერნატიულმა გაზსადენმა თავისი როლი ითამაშა, როდესაც ევროპის გაზით მომარაგება ამ ზამთარს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.**

აზერბაიჯანს რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა აქვს, რაშიც დიდ როლს რუსეთის აზერბაიჯანული დიასპორა ასრულებს, ხოლო თუ მოხერხდა ყარაბახის კონფლიქტის მოგვარება ან დაკონსერვება, ეს ურთიერთობა უფრო გაღრმავდება. ასე რომ, საბოლოოდ, ალიევი არც რუსეთს და არც ამერიკას არ აძლევს უფლებას, აზერბაიჯანს თავს მოახვიონ თავიანთი პირობები.

რაც შეეხება სომხეთს, აქ სიტუაცია უფრო რთულად იყო, მაგრამ სომხეთის ევრაზიულ კავშირთან დაახლოების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და მაიდანიზაციის პერსპექტივები, ჩემი აზრით, საერთოდ გაქრა სომხური პოლიტიკის ვექტორიდან. ერთადერთი, რაც ასეა თუ ისე ემუქრება სომხეთს, ყარაბახის კონფლიქტის გაღვიძებაა, რომელიც, ჩემი აზრით, არც სომხეთს და არც აზერბაიჯანს ჯერჯერობით ხელს არ აძლევთ.

საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის სიტუაციაში გასათვალისწინებელია ის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, სირიასა და ერაყში, სადაც ისლამისტმა ფუნდამენტალისტებმა საკუთარი ხალიფატის შექმნის შესახებ გამოაცხადეს და გამოქვეყნებულ მომავლის რუკაზე ოთხივე სახელმწიფოს თავიანთი ხალიფატის ქვეშ განიხილავენ. ასე რომ, ახლა, სავარაუდოდ, მოსალოდნელია, ისლამისტური ხალიფატის საშიშროება გაჩნდეს, რაც მაიდანიზაციაზე ბევრად საშიშია.



**ალი ბაბაევი, საქართველოს აზერბაიჯანელების ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე:**

— მსოფლიოში მოვლენები ისე ვითარდება, რომ ადვილად შესაძლებელია, კავკასიის ქვეყნებში დესტაბილიზაციის საფრთხე შეიქმნას, თუმცა დარწმუნებულია, რომ, თუ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობები სიფრთხილესა და გონიერებას გამოიჩენენ, საფრთხეების თავიდან აცილება შესაძლებელია. მაიდანმა ძალიან დიდი ზიანი მიაყენა როგორც უკრაინელ ხალხს, ასევე მსოფლიო საზოგადოებას, იმ ქვეყნებს, რომელთაც დემოკრატიის სწამდათ. ყველა ის ადამიანი, რომლებიც თავის ქვეყანას „მაიდნისკენ“ უბიძგებს, სახელმწიფოს მტერია. ეს ადამიანები უცხო ქვეყნის ინტერესებს ატარებენ და საკუთარ ამბიციებს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას სწირავენ. პოლიტიკა სწორედ იმისთვის არსებობს, რომ ნებისმიერი ცვლილება არა სისხლიანი, არამედ მშვიდობიანი, ციჩვილიზებული გზით განხორციელდეს“.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



სტალინის დაუსრულებელმა ძაგებამ და მის ქართველობაზე ხაზგასმამ რუს ხალხში, ბოლოს და ბოლოს, აღმოაცენა ე. წ. ველიკორუსული შოვინიზმი და უმრავლესობაში სტალინიზმი ქართველიზმად ასოცირდებოდა. ადამიანებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ „დიდ ერს“, ისირცხვილეს მცირე ერის „იზმში“ ყოფნის ისტორიული ფაქტი, თუმცა სასირცხვილო მათ, მართლაც, არაფერი ჰქონდათ, ვინაიდან სტალინის მმართველობის ეპოქა მთელი მისი არსებობის განმავლობაში რუსი ხალხის ეროვნული ბედნიერების ერთადერთი ეპოქა იყო.

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

## სტალინი და თანამედროვეობა

**დღეს თქვენ, თანამედროვე ადამიანს, შეუძლებელია, არაფერი გქონდეთ წაკითხული ან მოსმენილი სტალინის შესახებ. ზოგს ისიც კი ჰგონია, რომ ყველაფერი იცის ამ პიროვნების შესახებ. არადა, იცით, რომ სტალინი ერთადერთი რაინდია კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც მთელი სიცოცხლე ეთამაშებოდა სიკვდილს, არაერთგზის გაიქცა ციხიდან თუ გადასახლებიდან... ებრძოდა თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მანამდე უძლეველ მტრებს, ებრძოდა ფაშიზმს და კაცობრიობა მონობისაგან იხსნა? მოკლედ, გგონიათ ყველაფერი იცით მის შესახებ? მერწმუნეთ, ცდებით... თქვენ ნამდვილად ვერ ხედავთ იმ კეთილისმყოფელ კვალს, რომელიც მან დაატყო კაცობრიობას; ვერ გრძნობთ მის რეალურ პიროვნულ სიდიადეს, როლსა და ადგილს მსოფლიო ისტორიაში.**



**სტალინმა რევოლუციურად შეცვალა ქვეყნის ეკონომიკა, სამართალი და საზოგადოების მორალური კოდექსი. შესაბამისად, ბოლო მოუღო კლასობრივ სამართალს, კლასობრივ ეკონომიკას და უზნეობის თავისუფლებას. დედამიწის საბჭოთა ნაწილში აღკვეთა რეაქციული კერძო საკუთრების მონოპოლია**

დედამიწაზე ათასმა წყალმა ჩაიარა, ათასმეერთემ ოცნების ეპოქა შემოაცურა. საუბრები სამართლიანობასა და თანასწორობაზე კაცობრიობის ყველაზე მოდური გატაცება შეიქნა, სჯეროდათ თუ არ სჯეროდათ, მოსწონდათ თუ სძაგდათ.

კაცობრიობის ისტორიაში ცალკე ეპოქა გახლდათ იოსებ სტალინი — სამყაროს ერთ-ერთი საოცრება, სასიამოვნო გამონაკლისი, უპრეცედენტობის პრეცედენტი!

ადამიანი არნახულად მიმზიდველი ბიოგრაფიით, რომელიც ზეაღსვლის მწვერვალებით, ისტორიული კვალით აღემატება ყველა დროისა და ხალხების ათეულობით უდიდეს პიროვნებას; ადამიანი, რომელსაც ვერ წარმოიდგენდა და ვერ შესთხზავდა მხატვრული პროზის ათეულობით გენიალური შემოქმედი... ზღაპრული მოვლენა,... პიროვნება ფანტასტიკა, რომელსაც ვერავინ დაიჯერებდა, ფაქტი რომ არა.

სტალინი, მისი ცხოვრება და შემოქმედება რევოლუციამდე, რევოლუციის დროს და რევოლუციის შემდეგ — ეს არის ადამიანური სასწაულები. იგი უდავოდ ზეადამიანია, გნებავთ, ღმერთკაცი, რომლის გარდაცვალებასაც აქვს თავისი „სიცოცხლე“. ამდენად, **სტალინის ბიოგრაფია ორ ეპოქად უნდა იყოს განხილული — სიცოცხლისა და სიკვდილის**.

**სიცოცხლის** — როცა სტალინის, როგორც რევოლუციონერის, სიცოცხლეს ახლდა სიკვდილის, დატყვევების, დაპატიმრებისა და გადასახლების მუდმივი საფრთხე; როდესაც იგი თავისი ზეადამიანური ინტელექტით მრავალს ეჭიდებოდა და იმკვიდრებდა ლიდერის ადგილს პარტიასა თუ სახელმწიფოში; როდესაც განსაზღვრავდა მსოფლიოს გადანაწილებისა და განვითარების საზღვრებსა და მიმართულებებს; როდესაც ამკვიდრებდა დედამიწაზე ეროვნული თუ პიროვნული თავისუფლების, თანასწორობისა და სამართლიანობის იდეალებს.

**სიკვდილის** — როდესაც ე. წ. ხალხის მტრები ყველა ხერხითა და საშუალებით ებრძოდნენ მის ავტორიტეტს, ებრძოდნენ კაცობრიობის უდიადეს მონაპოვრებს — თავისუფლების, თანასწორობის და სამართლიანობის იდეალებს; ებრძოდნენ და გაიმარჯვეს კიდეც, გაიმარჯვეს და... სასურველი რეალობად გაასაღეს... გაუვიდათ.

* * *

პატრიოტი ქართველები კარგა ხნის განმავლობაში იყვნენ უკიდურესად განცვიფრებულნი სტალინის პიროვნების ზღვარს გადაცილებული ცილისმწამებლური კამპანიით. განცვიფრებულნი იყვნენ იმიტომაც, რომ ეს ცილისწამება პროვოცირებული იყო იმ სახელმწიფო მმართველების მიერ, რომლებიც მან შექმნა და გააძლიერა. თუ რატომ ანგრევდნენ ისინი თავისივე სახელმწიფოს, ეს უკვე აღვნიშნეთ. ახლა განვმარტოთ, რა ჰქონდათ დასახული მიზნად სტალინზე ცილისმწამებლური კამპანიით კერძო კაპიტალის იდეოლოგიის რეჟისორებს. **დივერსია სტალინის პიროვნებაზე — ეს იყო შორს გამიზნული დივერსია სოციალიზმზე (სტალინიზმზე), ანუ სოციალური სამართლიანობის, თანასწორობის იდეალებზე.** სტალინის პიროვნების მაკომპრომეტებელი აქციის რეჟისორ-შემსრულებლებმა სტალინს დაუპირისპირეს ლენინი და თვით მარქსიზმიც კი. თუმცა ამით, ზიანის მიყენების ნაცვლად, სტალინს ისტორიულად მეტი სახელი შეჰმატეს, ვინაიდან ის და მისი მოძღვრება კიდევ უფრო ორიგინალური და თვითმყოფადი გახადეს, თუმცა ჩვენ აქ სულ სხვა რამ გვაინტერესებს. კერძოდ, **გვაინტერესებს სტალინის პიროვნების წინააღმდეგ გაუთავებელი ცილისმწამებლური კამპანიის მთავარი ჩანაფიქრის გამოაშკარავება**. მიზანი უდავოდ მიღწეულია, კერძო კაპიტალის იდეოლოგიის რეჟისორებმა ამჯერად კიდევ ერთხელ ითამაშეს რუსების გრძნობებზე, რომელსაც „რუსულ შოვინიზმს“ ეძახიან.

ამჯერად „ველიკორუსულმა შოვინიზმმა“ უდავოდ გაამართლა.

**სტალინის დაუსრულებელმა ძაგებამ და ქართველობაზე ხაზგასმამ რუს ხალხში, ბოლოს და ბოლოს, აღმოაცენა ე. წ. ველიკორუსული შოვინიზმი და უმრავლესობაში სტალინიზმი უკვე ქართველიზმად ასოცირდებოდა. ადამიანებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ „დიდ ერს“, ისირცხვილეს მცირე ერის „იზმში“ ყოფნის ისტორიული ფაქტი, თუმცა სასირცხვილო მათ, მართლაც, არაფერი ჰქონდათ, ვინაიდან სტალინის მმართველობის ეპოქა, მთელი მისი არსებობის განმავლობაში რუსი ხალხის ეროვნული ბედნიერების ერთადერთი ეპოქა იყო.**

დრო გავიდა და ანტისტალინიზმის კამპანიის რეჟისორებმა უფრო უარესი დამართეს სტალინის სახელს. ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ სტალინისა და სტალინიზმის პატივისცემას, ყველა გზა გადაუკეტეს. **სტალინისა და სტალინიზმის დაცვა პიროვნების დაბალი ინტელექტის „უტყუარ“ დამადასტურებლად აქციეს. ამდენად, ბუნებრივია, რომ კარიერიზმით შეპყრობილი ადამიანები უფრთხიან „სტალინისტების“ სიაში მოხვედრას.**

სოციალიზმის (სტალინიზმის) დანგრევის ბოლო ეტაპზე ანტისტალინიზმის რეჟისორებმა საბჭოთა კავშირში სტალინიზმისა და ანტისტალინიზმის ორ ურთიერთსაპირისპირო მოვლენას ერთი სახელი — სტალინიზმი (სოციალიზმი) დაარქვეს. მოკლედ, ათასი იდეოლოგიური დივერსიის შემდეგ „ყოფილი საბჭოთა ხალხი“ გაუგებრობაში აღმოჩნდა — სულიერი წონასწორობა დაკარგა. წონასწორობადაკარგულმა ხალხმა კი ყველაფერი დაივიწყა და მოტყუვდა. ყველაზე სამწუხარო იყო ის, რომ საქართველოში ხალხმა უარი თქვა სოციალიზმზე. ამ საშინელებასაც, რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი საფუძვლები. კერძოდ ის, რომ **კერძო კაპიტალის იდეოლოგიის რეჟისორებმა სტალინიზმი (სოციალიზმი) გააიგივეს რუსულ დიქტატთან და, ბუნებრივია, ხალხმა ისინი ერთმანეთისგან ვერ გამიჯნა.** თუმცა ხალხი აქ რა შუაშია, კონტრრევოლუცია ხომ საბჭოთა კავშირში ზემოდან მოხდა, ეს კონტრრევოლუცია ჯაშუშური დივერსიის უტყუარი შედეგია.

რაც შეეხება სტალინის სახელს, დღეს მისი ცილისწამების ბუმი შეწყდა, მაგრამ „სტალინისტობა“ ისევ სამარცხვინოდ და დაბალი ინტელექტის მაჩვენებლად ითვლება.

მახსოვს, მოსკოვში სტუმრად ჩამოსულმა რუსმა ემიგრანტმა თანამემამულეებს საქვეყნოდ განუცხადა, სტალინის ძაგება უთუოდ მიგიყვანთ ლენინის ძაგებამდეო! იმხანად ხალხი ამას ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა და ვერც წარმოიდგინა. დადგა დრო და ლენინის სახელი ფეხქვეშ გაიგდეს. ეს ანტისტალინიზმის ის პერიოდი იყო, როცა ხალხი არავის ანაღვლებდა.

**ისე, კაცმა რომ თქვას, სტალინიზმის (სოციალიზმის) დამხობაში ხრუშჩოვს მეტი წვლილი მიუძღვის, ვიდრე გორბაჩოვს, ამიტომ უნდა შეწყდეს საერთო სახალხო განცვიფრება იმის გამო, თუ ხრუშჩოვს ოკეანის გაღმა კეთილად მოიხსენიებენ.**

აქ ერთი მნიშვნელოვანი განაცხადი უნდა გავაკეთო: ჩემი ღრმა რწმენით, **სახელმწიფოს სათავეში ხრუშჩოვის პოზიციების გამაგრების მომენტისათვის კერძო კაპიტალის მესვეურთ უკვე შეეძლოთ საბჭოთა კავშირში კონტრევოლუციის წამოწყება. შეეძლოთ, მაგრამ იმხანად ქვეყანაში სოციალური უსამართლობის დამკვიდრება უთუოდ გამოიწვევდა იდეალებით შთაგონებული საბჭოთა ხალხის უკიდურეს აღშფოთებას.** კონტრევოლუციისათვის საჭირო იყო დრო, საბჭოთა ხალხის თანდათანობით გარყვნა და ამ პროცესს, როგორც იცით, მთელი 30 წელი დასჭირდა. **კონტრევოლუციის წამოწყების დღისთვის იმჟამინდელი საბჭოთა ხალხი და სტალინისდროინდელი საბჭოთა ხალხი ზნეობრივად ცასა და დედამიწასავით იყვნენ დაშორებულნი ერთმანეთს და მაინც... კონტრევოლუციის წინა და შემდგომ პერიოდში, დაახლოებით 2-3 წლის განმავლობაში, თანამედროვეები კიდევ დაშორდნენ სტალინის პერიოდის წინაპრებს.**

ვფიქრობ, დრო მოვიდა და უნდა დავუბრუნდეთ სტალინის სიცოცხლის ბიოგრაფიის გადმოცემას, რომელშიც არ იქნება სხვა პიროვნებებთან ურთიერთობა-დამოკიდებულების ფაქტის აღნიშვნა, რადგან იგი იმ უტყუარ მოვლენებზე იქნება დაფუძნებული, რომლებითაც სტალინმა წვლილი შეიტანა კაცობრიობის გაკეთილშობილებაში და უმნიშვნელოვანესი კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში.

**სტალინი** — ადამიანი, რომელმაც ათასი სასწაული მოახდინა, მათ შორის წარმოუდგენელიც:

***შეცვალა დედამიწაზე ცხოვრების ყველა წესი და კანონი, არსებითად გარდაქმნა სამყარო;**

***შეცვალა პიროვნების, ერებისა და ხალხების წარმოდგენები, შეხედულებები და საერთოდ მსოფლმხედველობა;**

***შექმნა საბჭოთა ხალხი;**

***შექმნა ამაღლებული ზნეობის, საკაცობრიო იდეალების მოტრფიალე საზოგადოება, სადაც დანაშაული რეალურად გახდა... გადმონაშთი, სადაც ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეცა სეპარატისტული კერები ქვეყნის შიგნით, ერებს შორის დამყარდა ნამდვილი ძმობა და ურთიერთპატივისცემა;**

***დედამიწის საბჭოთა ნაწილში დაამყარა დემოკრატია არსითა და ფორმით, დაამყარა თანასწორობის, სოციალური სამართლიანობისა და ერთსულოვნების პრინციპები;**

***გაათავისუფლა ხალხები კერძო საკუთრების მონოპოლიის დისკრიმინაციისაგან;**

***შრომა, ცოდნა და ტალანტი აქცია ყველაზე მნიშვნელოვან ღირსებად, ანუ ნიჭიერება უფრო მაღლა დასვა, ვიდრე ფული და ქონება;**

***გაათავისუფლა რუსეთის ხალხები იმპერიის დიქტატისგან, ამ ხალხებს შეუქმნა სახელმწიფოებრიობა მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკების უფლებებში. თანასწორუფლებიანობის საწყისზე შექმნა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი;**

***შექმნა უპრობლემო ხალხი;**

***ათეიზმით გაანელა სხვადასხვა რელიგიური აღსარების ხალხების ისტორიული დაპირისპირება;**

***შექმნა რაინდული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც ზნეობ-** ▶

# სტალინისა და სტალინიზმის დაცვა პიროვნების დაბალი ინტელექტის „უტყუარ“ დამადასტურებლად აქციეს. ამდენად, ბუნებრივია, თუ კარიერიზმით შეპყრობილი ადამიანები უფრთხიან „სტალინისტების“ სიაში მოხვედრას.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რივ სიწმინდეზე იქნა დაფუძნებული;

*აქცია საერთაშორისო ურთიერთობები ჰუმანურდემოკრატიულად;

* აპოგეამდე მიიყვანა ადამიანის უფლებების დაცვა;

* აიძულა კერძო კაპიტალის სახელმწიფოთა მმართველები, სერიოზულად ეფიქრათ საკუთარი მოქალაქეების სოციალურ დაცვაზე;

* შექმნა ყველა პირობა და მართალი იდეოლოგია ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესების დამთხვევისთვის და პირველად კაცობრიობის ისტორიაში მოახდინა მათი ინტერესების დამთხვევა;

* შექმნა საბჭოთა ხალხების ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა;

* დააკანონა ერთა შორის ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, დაახლოვა ეროვნული კულტურები ერთმანეთს;

*შექმნა საზოგადოება: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის;

* შექმნა კაცობრიობის არსებობის ისტორიაში ყველაზე წმინდა და ამაღლებული ზნეობის საზოგადოება;

* გაათავისუფლა ადამიანთა გრძნობები;

* გაანადგურა კერძო კაპიტალის ჰეგემონიზმის იდეოლოგია; დაამტკიცა, რომ საზოგადოების განვითარების ტრადიციული, კერძო საკუთრების მონოპოლიის კანონები ექვემდებარება შეცვლას;

* როგორც საბჭოეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რეალობად აქცია თანასწორობის, ერთობისა და სოციალური სამართლიანობის იდეალები;

* გაათავისუფლა ხალხები რელიგიური მომნუსხველობისგან;

*პირველად დედამიწაზე შექმნა საზოგადოება ხალხების, ერების პიროვნების ექსპლუატაციის გარეშე;

* კაცობრიობა პირველად შეაყენა დემოკრატიული განვითარების გზაზე, რადგან კერძო საკუთრების მონოპოლიის სამყაროს გვერდით წარმოიშვა ნაციონალიზებული საკუთრების მონოპოლიის სამყარო, რომელიც სიცოცხლის უნარიანი გამოდგა;

*გაანადგურა გერმანული ფაშიზმი და იხსნა კაცობრიობა სამუდამო მონობისგან.

დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმის დივერსიული დამხობით საბჭოთა კავშირში დაიკარგა კაცობრიობის დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობა;

**ქალბატონებო და ბატონებო, ახალგაზრდებო!**

**თუ გულისყურით ჩაიკითხეთ სტალინის სიცოცხლის ბიოგრაფიის ერთობ მოკრძალებული ჩამონათვალი და, ამასთანავე, შეგწევთ უნარი, ჩაუღრმავდეთ და განსაჯოთ ყოველივე, მერწმუნეთ, უკვე სხვა პიროვნება გახდით. თქვენ ერთბაშად იგდეთ ხელთ სტალინის პიროვნებისა და სტალინიზმის სწორად გაგების, აგრეთვე, დემოკრატიის, საზოგადოების თუ პიროვნული ცივილიზებულობის სწორად შეფასების გასაღები.**

თუმცა ერთი სირთულის წინაშე უდავოდ დადექით, რადგან სტალინი თქვენთვის ღმერთკაცად, ანუ დაუჯერებელ ადამიანად იქცა. სტალინი, რომელსაც აქამდე იცნობდით, როგორც ფოლადისებურ პიროვნებას, პარტიულ ელიტასთან თეორიულ ბრძოლებში გამარჯვებულს, სამოქალაქო ომსა თუ მსოფლიო ომში გამარჯვების უმთავრეს შემოქმედს, იცნობდით, როგორც ტყვიაგაუმტარ რევოლუციონერს, რომელიც ციხეებიდან და გადასახლებიდან არაერთგზის გამოიქცა, უეცრად გაირკვა, რომ იგი მაინც სულ სხვა კაცი ყოფილა, რადგან თქვენ სწორედ ახლა მიხვდით, რომ სტალინი ამ ადამიანურ სასწაულებზე ათასგზის მაღლა დგას კაცობრიობის ისტორიაში.

ამდენად, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, როცა სტალინს მსოფლიოს ყველა დროის უდიდეს პიროვნებათა სიაში ოთხი თუ ხუთი ათეული პიროვნების უკან აყენებენ, მაშინ, როცა სტალინი მის წინ დაყენებულ ორმოც თუ ორმოცდაათ ისტორიულ პიროვნებას, ერთად აღებულს, გადაწონის. მხოლოდ სტალინის მიერ ჩამოყალიბებული ერის ცნება რად ღირს!

ღმერთმა ქნას, რომ სტალინის პიროვნების ესოდენ მოკრძალებით შემფასებელთ ეს მის პიროვნულ შემოქმედებაში ჩაუწვდომლობით მოსდიოდეთ.

მივყვეთ სტალინის სიცოცხლის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის განმარტებას:

**სტალინმა პირველმა აუხილა თვალი კაცობრიობას, დაუმტკიცა მაშინდელ მსოფლიოს, რომ მუშებსა და გლეხებს ჰქონდათ ამოუწურავი ინტელექტუალური პოტენციალი, რაც მაშინდელი კაცობრიობისთვის სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო.**

**სტალინმა რევოლუციურად შეცვალა ქვეყნის ეკონომიკა, სამართალი და საზოგადოების მორალური კოდექსი. შესაბამისად, ბოლო მოუღო კლასობრივ სამართალს, კლასობრივ ეკონომიკას და უზნეობის თავისუფლებას. დედამიწის საბჭოთა ნაწილში აღკვეთა რეაქციული კერძო საკუთრების მონოპოლია.** ამით მან დაამტკიცა, რომ კლასობრივი საზოგადოების, ანუ კერძო საკუთრების მონოპოლიის შეუცვლელობის თეორია ფარსია. სტალინმა ათასი სხვა დოგმაც დაამსხვრია და უარყო, რაც ცალკე შესწავლის ღირსია.

***შექმნა საბჭოთა ხალხი;**

სტალინიზმის საწინააღმდეგო მოვლენების აგორებისას ვაითეორეტიკოსებმა ათას სხვა რამესთან ერთად ეჭვის ქვეშ დააყენეს „საბჭოთა ხალხის“ ცნება. მოჰყვნენ იმის მტკიცებას, არავითარი „საბჭოთა ხალხი“ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდესო. და ასეთი მცდელობა უაზრობად მონათლეს. უაზრობა კი სწორედ „საბჭოთა ხალხის“ ცნების უარყოფაა, რადგან საბჭოთა ხალხი თავისი წარმოდგენებით, შეხედულებებით, გნებავთ, მსოფლმხედველობით სრულიად თვითმყოფადი და გამორჩეული ხალხი გახლდათ. მათი შეხედულებები სამართლებრივ, ეკონომიკურ, ზნეობრივ, პოლიტიკურ თუ სხვა საკითხებზე აშკარად განსხვავდებოდა დანარჩენი მსოფლიოს მოსახლეობის შეხედულებებისაგან. ამდენად, საბჭოთა ხალხი თავისი ფსიქიკური წყობით სრულიად თვითმყოფად ხალხს წარმოადგენდა. საბჭოთა ადამიანის წარმოდგენები ზემოთ ხსენებულ საკითხებში არათუ ემთხვეოდა კერძო კაპიტალის ქვეყნების მოქალაქის წარმოდგენებს, არამედ, უდავოდ, საპირისპირო იყო. უფრო მეტსაც ვიტყვი: საბჭოთა ხალხი, თავისი მსოფლმხედველობით გაცილებით განსხვავდებოდა სხვა ხალხებისგან, ვიდრე ეს ხალხები ერთმანეთისგან. შეიძლება ვინმემ გაიკვირვის, მაგრამ ფაქტია, რომ ქრისტიანი თუ მუსლიმანი, მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური საზოგადოების ხალხები თავისი მენტალიტეტით უფრო ახლობელია ერთმანეთისთვის, ვიდრე მათთვის საბჭოთა ხალხი. სტალინის პერიოდის საბჭოთა ხალხი მათ გარემოცვაში უდავოდ არამიწიერ წმინდა ხალხად გამოჩნდება... გამოჩნდება „ჰუმანოიდებად“.

***შექმნა ამაღლებული ზნეობის, საკაცობრიო იდეალების მოტრფიალე საზოგადოება...**

ალბათ, ყველას სმენია იმ რეაქციული თეორიების შესახებ, რომლებითაც ადამიანი ადამიანისთვის მგლად არის მიჩნეული და რომ შეუძლებელია ხალხებსა და ადამიანებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა. ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მდიდრებისა და ღარიბების ასეთ ისტორიულ დამოკიდებულებას „ხიდჩატეხილობას“ უწოდებენ. **სტალინმა სწორედ ეს ჩატეხილი ხიდი გაამრთელა. შექმნა ზნეობრივი გარემო, რომელშიც ადამიანები კანონიერი შემოსავლებით დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. საზოგადოებისათვის, ხალხისათვის მოუთმენელი და მიუღებელი იყო საკუთარი შრომით შეძენილი ქონების ქურდობა. ნებისმიერი მოქალაქე რისხვითა და ზიზღით მიმართავდა ქურდს, რომ მას კეთილი უნდა ენება და ეშრომა!**

**დღევანდელ საქართველოში ქურდს ამას ვეღარავინ ეტყვის, რადგან პატიოსანი შრომით შეუძლებელია გამდიდრდება, ხოლო მდიდარი ადამიანი ამ ახალი საზოგადოების უპირველესი ღირებულებაა.** ამდენად, ვის აქვს უფლება, უთხრას სხვას, რომ არ იფიქროს გამდიდრებაზე?!

ნუ მიწყენთ და, **მე სტალინის მმართველობის ეპოქის საქართველო სამოთხედ მესახება. რა მშვენიერი ხალხი ვიყავით, როგორი სიყვარულით სავსე მეზობლობა, მეგობრობა და ნათესაობა გვქონდა, როგორი თანადგომა ვიცოდით ჭირსა თუ ლხინში, როცა არ იყო გათიშულობა არც წარმომავლობის და არც ქონებრივი ნიშნით. და ჩვენი უბედურება სწორედ ის არის, რომ არ მოგვცეს უფლება, ასეთები დავრჩენილიყავით. საქართველოში ანტისტალინიზმის აგორების დღიდან ადამიანები მტაცებლებს დაემსგავსნენ, დღეს კი მსგავსებასაც ვეღარ ვიტყვით... რადგან უკვე ვართ მტაცებლები.**

***დედამიწის საბჭოთა მონაკვეთზე დაამყარა დემოკრატია არსითა და ფორმით...**

ანტისტალინიზმის იდეოლოგები არცთუ იშვიათად აცხადებენ, რომ რეალური თანასწორობა შეუძლებელია და არც არის საჭირო, რადგან ნიჭიერი უნდა მეტობდეს ნაკლებად ნიჭიერს და მიზანდასახული კიდევ — უმიზნოსა და უსაქმურს. განვმარტავ, რომ **სწორედ სტალინიზმი ქმნის ყველა პირობას ნიჭიერების თუ ტალანტის გამორჩევისა და მის მიერ კუთვნილი ადგილის დაკავებისთვის საზოგადოებაში.** სტალინიზმის ეპოქაში პიროვნული ნიჭიერება საზოგადოების უპირველესი ღირებულება იყო. **მხოლოდ სტალინიზმის პირობებში შეიძლება მიაღწიოს პიროვნებამ უმაღლეს მწვერვალებს და იქცეს ქვეყნის პირველ ადამიანად.** კერძო კაპიტალის სამყაროში ეს ნამდვილად შეუძლებელია, რადგან აქ ქვეყნის ნომერი პირველი ადამიანი უმდიდრესი ოჯახის წარმომადგენელია, რომლის ქონებაც საუკუნეების განმავლობაში უთვალავ და აუწონელ სიმდიდრედ იქცა.

მე **სასტიკი წინააღმდეგი ვარ, რომ დედამიწაზე არსებობდნენ მულტიმილიონერები, რომლებსაც, თუ, რა თქმა უნდა, ისინი მოინდომებენ, შეუძლიათ, იყიდონ ჩემი სამშობლო.** ასეთი მაგნატების არსებობა მართლაც სახიფათოა ისეთ მსოფლიოში, რომელშიც ყველაფერი იყიდება. **ასეთ სამყაროში, კანონის დაურღვევლად, ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით შეიძლება, შეიცვალოს ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა და ამ მხრივ ყველაზე დიდი ხიფათი საქართველოს ემუქრება, რადგან კარის მეზობელ სომხებს თავზე საყრელად ჰყავთ ასეთი მდიდარი მაგნატები და ვაითუ ისევ ოცნებობენ, აქციონ თავიანთი სამშობლო საზღვაოსნო ქვეყნად!** არადა, ქართველებს ისე უჭირთ, რომ გადარჩენისთვის მზად არიან, გაყიდონ ყველაფერი — „სამშობლოც“ კი. განა ვის შეუძლია, შეაჩეროს მათი ლტოლვა გადარჩენისაკენ? ვინ დაუშლის მათ, გაყიდონ მამაპაპისეული კარმიდამო, როდესაც კანონით ეს დაშვებულია?

ჩვენ უკვე შევეხეთ დემოკრატიის საკითხებს. აღვნიშნეთ, რომ საზოგადოება შეიძლება იყოს დემოკრატიული არსითა და ფორმით, აღვნიშნეთ, აგრეთვე, ისიც, რომ კერძო კაპიტალის საზოგადოებაში, საწარმოში, ფირმასა თუ კონცერნში მმართველობა არის მონარქიული, მესაკუთრის განუსაზღვრელი უფლებებითა და ძალაუფლებით, რაც ანტიდემოკრატიულობის ნიშან-მოვლენაა, სამყაროში, სადაც ფული უფრო მეტ ფულს აკეთებს, ვიდრე პატიოსანი შრომა, უფულო ინდივიდი, ანუ ხალხი წარმოადგენს მარიონეტს... ან კიდევ არარაობას.

საყოველთაო სამართლიანობის ვითარებაში, თუ ადგილი აქვს ცალკეულ უსამართლობას, ეს ვერ იქნება უბედურება.

საყოველთაო უსამართლობის ვითარებაში, თუ ადგილი აქვს ცალკეულ სამართლიანობას, ეს ვერ იქნება კეთილდღეობა.



**სტალინის მმართველობის ეპოქის საქართველო სამოთხედ მესახება. რა მშვენიერი ხალხი ვიყავით, როგორი სიყვარულით სავსე მეზობლობა, მეგობრობა და ნათესაობა გვქონდა, როგორი თანადგომა ვიცოდით ჭირსა თუ ლხინში, როცა არ იყო გათიშულობა არც წარმომავლობის და არც ქონებრივი ნიშნით. და ჩვენი უბედურება სწორედ ის არის, რომ არ მოგვცეს უფლება, ასეთები დავრჩენილიყავით. საქართველოში ანტისტალინიზმის აგორების დღიდან ადამიანები მტაცებლებს დაემსგავსნენ. დღეს კი მსგავსებასაც ვეღარ ვიტყვით... რადგან უკვე ვართ მტაცებლები**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ისლამისტებმა ფრანგ მძევალს თავი მოჰკვეთეს

**ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებულმა „ბოევიკებმა“ თავი მოჰკვეთეს ფრანგს, რომელიც მძევლად ალჟირში აიყვანეს. 55 წლის ერვე გურდელი 21 სექტემბერს გაიტაცეს, — იუწყება სააგენტო „ფრანს პრესი“.** ნიუ იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიაზე ჩასულმა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა დაადასტურა ეს ინფორმაცია და განაცხადა, რომ საფრანგეთის ავიაცია განაგრძობს ერაყში ისლამისტი „ბოევიკების“ პოზიციების დაბომბვას. 23 სექტემბერს სოციალურ ქსელში აიტვირთა ვიდეო, რომელზეც ასახულია შეიარაღებული „ბოევიკების“ ალყაშემორტყმული გურდელის მიმართვა ოლანდისადმი — 55 წლის მამაკაცი საფრანგეთის პრეზიდენტს სთხოვს, უარი თქვას ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების პოზიციების დაბომბვაზე.





## ამერიკელები გაოგნებულნი არიან: ასეთი რამ ჯორჯ ბუშსაც კი არ უკადრებია!

**ნიუ იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე ჩასული აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მის შესახვედრად ჩამწკრივებულ საზღვაო ქვეითებს ჭიქით ხელში მიესალმა, რის გამოც ამერიკელთა გულისწყრომა დაიმსახურა.**

ვიდეო, რომელზეც ასახულია, როგორ გამოდის ვერტმფრენიდან ობამა, რომელსაც მარჯვენა ხელში ჭიქა უჭირავს და საზღვაო ქვეითებს ესალმება ისე, რომ ჭიქა არც მიწაზე დაუდგამს და არც მარცხენა ხელში გადაუტანია, სოციალურ ქსელ Instagram-ში, თეთრი სახლის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა. ამ ფოტომ სოციალური ქსელის მომხმარებელთა და მედიასაშუალებების წარმომადგენელთა აღშფოთება გამოიწვია. ბევრმა ობამას მოქმედებას „სამარცხვინო“ უწოდა. **„მომავალში ლატე („რძიანი ყავა“ — რედ.) ვერტმფრენში დატოვე ან კეთილი ინებე, ჭიქა მარცხენა ხელში დაიჭირე და, როგორც საჭიროა, ისე მიესალმე“,** — წერს ჟურნალისტი გაი ბენსონი.

**„ყელში ამომივიდა ეს ჰიპ-ჰოპი პრეზიდენტი, რომლის გამოც ჩვენი ერი ყველას დასაცინი ხდება“,** — წერს „ტვიტერის“ ერთ-ერთი მომხმარებელი მორინ შერიდანი. აღსანიშნავია, რომ ასეთი რამ თვით ორიგინალური საქციელით გამორჩეულ ჯორჯ ბუშსაც (უმცროსი) არ უკადრებია — მისალმებისას ძაღლს მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიყვანდა ხოლმე.



# დონეცკთან ახლოს მასობრივად დახოცილი მშვიდობიანი მოქალაქეების სამარხები იპოვეს






**ეუთოს ექსპერტებმა დონბასში, ტერიტორიაზე, რომელსაც აგვისტოში უკრაინის ნაციონალური გვარდიის ბატალიონი „აიდარი“ აკონტროლებდა, მასობრივად დახოცილი მშვიდობიანი მოქალაქეების სამარხები დაათვალიერეს. ერთ-ერთ სასაფლაოზე გვამებთან ერთად ნაპოვნია აბრა წარწერით: „2014 წლის 27 აგვისტო. დაიღუპნენ პუტინის ტყუილის გამო“.**



მასობრივად დახოცილთა პირველი სამარხი 23 სექტემბერს იპოვეს დონეცკიდან 60 კმ-ის მოშორებით, ტერიტორიაზე, რომელსაც ადრე უკრაინის ნაციონალური გვარდია აკონტროლებდა. დონეცკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ეუთოს ექსპერტებს სამი „საძმო სასაფლაო“ დაათვალიერებინეს: ორი — ქვანახშირის მაღარო „კომუნარის“ ახლოს, დასახლება ნიჟნაია კრინკასთან, მესამე კი — თვითონ დასახლებაში. **„საძმო საფლავებში“ დამარხულ, სამოქალაქო ტანსაცმლიან და ზურგს უკან ხელებშეკრულ ნახევრად გახრწნილ გვამებს თავში „საკონტროლო გასროლის“ კვალი აღენიშნებათ. ზოგიერთი გვამი დასახიჩრებულია — აკლია შინაგანი ორგანოები...**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, დონეცკთან ნაპოვნი მასობრივად დახოცილი მშვიდობიანი მოქალაქეების სამარხები სამხედრო დანაშაულზე მიუთითებს. ამ მკვლელობების ჩადენისას კი ტერიტორიას უკრაინის ნაციონალური გვარდია აკონტროლებდა.

**„მოპოვებული ინფორმაცია და სამხილები საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ საუბარია უკრაინელი სამხედროების მიერ**

### «საძმო საფლავებში» დამარხულ, სამოქალაქო ტანსაცმლიან და ზურგს უკან ხელებშეკრულ ნახევრად გახრწნილ გვამებს თავში «საკონტროლო გასროლის» კვალი აღენიშნებათ. ზოგიერთი გვამი დასახიჩრებულია — აკლია შინაგანი ორგანოები...

**გულგრილად დახვრეტილ მშვიდობიან მოქალაქეებზე. საფლავების პოვნამდე რამდენიმე დღით ადრე ეს ადგილი დატოვეს უკრაინის შეიარაღებული ძალების 25-ე აერომობილურმა ბრიგადამ და ბატალიონ „აიდრის“ მებრძოლებმა“,** — ნათქვამია რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტის კომენტარებში, რომლებიც ამ უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნდა. **რუსეთი გაეროსგან, ეუთოსა და ევროპის საბჭოსგან მომხდარის შეფასებას ითხოვს, გარდა ამისა, კრემლმა უკვე მიმართა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უზენაეს კომისარს დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების თხოვნით.**

**P.S. უკრაინის ხელისუფლების მიერ დაწყებული ე. წ. ანტიტერორისტული ოპერაციის ზონაში დღეისათვის ნაპოვნია 1400 ადამიანის გვამი, რომელთა ამოცნობაც ვერ მოხერხდა.**

# დააპატიმრეს რომის პაპის ყოფილი ელჩი, პედოფილი არქიეპისკოპოსი

**ვატიკანის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის — პადრე ფედერიკო ლომბარდის განცხადებით, პაპის ყოფილი ნუნციუსი (რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოში ამქვეყნის მთავრობასთან ურთიერთობისთვის) დომინიკის რესპუბლიკაში, ახლახან დაპატიმრებული პოლონელი არქიეპისკოპოსი, 67 წლის იოზეფ ვესოლოვსკი არასრულწლოვანებზე სექსუალურ ძალადობაშია ბრალდებული.**



პოლონელი არქიეპისკოპოსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმე დომინიკის რესპუბლიკაში აღიძრა.

ადრე კათოლიკე მღვდელმსახური ვატიკანის კანონიკურმა სასამართლომ გაასამართლა პედოფილიისთვის და მას წოდება აჰყარა. ახლა კი ის ვატიკანის ჟანდარმერიამ დააპატიმრა 2008 და 2013 წლებში დომინიკის რესპუბლიკაში მცირეწლოვანთა მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობისთვის.

**გამოძიების პროცესში ერთ-ერთმა ყოფილმა დიაკონმა აღიარა, რომ არქიეპისკოპოსთან მისი სექსუალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მოზარდები მიჰყავდა. ყოფილი დიაკონის ჩვენება დაადასტურა 5 მოწმემაც.**

ვესოლოვკსკი დომინიკის რესპუბლიკიდან 2013 წელს გაიწვიეს, მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა არქიეპისკოპოსმა პირადად უამბო პონტიფიკს მისი წარგზავნილის ცოდვების შესახებ.

ყოფილი მღვდელმსახური ამჟამად ვატიკანის ციხის ერთ-ერთ საკანში იმყოფება და სასამართლო პროცესს ელის.

**P.S. კათოლიკურ ეკლესიაში პედოფილიასთან დაკავშირებული სკანდალები 2002 წლიდან დაიწყო. 2002 წელს ბოსტონში (აშშ) 80 მღვდელმსახური ამხილეს სექსუალურ დანაშაულებში.**

**2009 წელს ირლანდიაში გამოქვეყნდა მოხსენება, რომლის საფუძველზეც პედოფილიაში დაადანაშაულეს 46 მღვდელმსახური — 1975-2004 წლებში ირლანდიელმა სასულიერო პირებმა 2000 ბავშვზე იძალადეს.**




## დაღუპულია 27 მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის, 6 ბავშვი და... არც ერთი ტერორისტი

**ასეთია აშშ-ის მიერ სირიაზე განხორციელებული პირველი სარაკეტო დარტყმის შედეგი.** „სირიის ჩრდილოეთში მდებარე დასახლებული პუნქტის, კაფრ დირიანის მოსახლეობის თქმით, აშშ-ის მიერ განხორციელებული სარაკეტო დარტყმების შედეგად დაიღუპა 27 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის 6 ბავშვი და... „ისლამური სახელმწიფოს" არც ერთი მებრძოლი", — იუწყება ტელეარხი „ალ-ჯაზირა". ტელეარხის განცხადებით, აშშ-ის მიერ სირიის დაბომბვა სირიის ხელისუფლების დამხობას ემსახურება და არა — ტერორისტების განადგურებას.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-მა ბოლო 6 წელიწადში 7 ქვეყანა ომის გამოუცხადებლად დაბომბა

**მიუხედავად იმისა, რომ 1942 წლიდან დღემდე აშშ-ს ომი არც ერთი სახელმწიფოსთვის არ გამოუცხადებია, ხოლო პრეზიდენტი ბარაკ ობამა მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატია, ბოლო 6 წლის განმავლობაში აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა 7 სახელმწიფოს ტერიტორია დაბომბეს. სიაში იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც აშშ-მა ამ ქვეყნების მთავრობებთან შეუთანხმებლად დაბომბა, სირია ბოლოა.**



## სირია

აშშ-მა პირველი სარაკეტო დარტყმა სირიის ტერიტორიაზე მოქმედი „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლების პოზიციებზე ამა წლის 23 სექტემბერს განახორციელა. დაბომბვამ მსხვერპლი გამოიწვია მშვიდობიან მოქალაქეებში. დაღუპულთა შორის არიან ბავშვები. გაერთიანებული შტატების ხელმძღვანელთა კომიტეტის წევრმა, გენერალ-ლეიტენანტმა უილიამ მეივილმა ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ „ისლამური სახელმწიფოს" ექსტრემისტების განადგურების ოპერაცია შეიძლება რამდენიმე წელიწადს გაგრძელდეს.

მეივილის ნათქვამში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს: სირიამდე ამერიკის ხელისუფლებამ 6 ქვეყანაში ჩაატარა სამხედრო ოპერაციები — და ეს ოპერაციები წლობით გაჭიანურდა.

## ავღანეთი

2001 წლის 11 სექტემბერს ტერაქტის შემდეგ დაბომბვა ავღანეთისა, სადაც, სავარაუდოდ, იმყოფებოდა „ალ ქაიდას" ლიდერი უსამა ბენ ლადენი, მხოლოდ დროის საკითხი იყო. ავღანეთის დიდი ქალაქების — ქაბულის, ყანდაგარისა და ჯელალაბადის — დაბომბვამ გამოიწვია ის, რომ აშშ და მისი მოკავშირეები ჩათრეულნი აღმოჩნდნენ სამხედრო კონფლიქტში, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ავღანეთიდან ჯარისკაცების გამოყვანა 2011 წელს დაიწყო და დღესაც არ დასრულებულა.

ავღანეთის სამხედრო კამპანიაზე ვაშინგტონმა 100 მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა. ამ თანხაში ჩართულია დანახარჯები ადგილობრივი შეიარაღებული ძალებისა და სამართალდამცავი ორგანოების ეკიპირებაზე. Associated Press-ის მიერ გავრცელებული მონაცემებით, 13 წლის განმავლობაში ავღანეთში დაიღუპა 2200 ამერიკელი ჯარისკაცი, 20 ათასი კი დაიჭრა.

ავღანეთის მშვიდობიანი მოსახლეობა კი დღესაც იღუპება; 10 დღის წინათ ამერიკულმა რაკეტამ 11 ადამიანი იმსხვერპლა. ავღანეთის პრეზიდენტის პოსტიდან მიმავალმა ჰამილ კარზაიმ მწვავედ გააკრიტიკა აშშ-სა და პაკისტანის საგარეო პოლიტიკა. „სწორედ ვაშინგტონსა და ისლამაბადს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა ავღანეთში ომის გაჭიანურებისთვის. **ამ კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ აშშ-ის ხელისუფლებას არ სურს, ბოლო მოუღოს ძალადობას ავღანეთის მიწაზე",** — განაცხადა კარზაიმ.

## იემენი

2000 წელს ადენის ყურეში აშშ-ის სამხედრო ხომალდ „კოულზე" „ალ ქაიდას" ტერორისტების თავდასხმა და შედეგად 17 ამერიკელი საზღვაო ქვეითის დაღუპვა იემენის ხელისუფლების კრიტიკის საბაბი გახდა. მას დასავლეთი რელიგიურ ექსტრემიზმთან უეფექტო ბრძოლაში ადანაშაულებდა.

2002 წლის ნოემბერში აშშ-მა იემენის ტერიტორიას დაარტყა.

პირადად პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცროსი) გასცა განკარგულება ამ ქვეყანაში ტერორისტების განადგურების თაობაზე. ამერიკელთა სამიზნეში აღმოჩნდა „ალ ქაიდას" იემენის განყოფილების ხელმძღვანელი, რომელზეც ვაშინგტონი ეჭვობდა, რომ ხომალდზე თავდასხმაში მონაწილეობდა. ტერორისტი უპილოტო თვითმფრინავის მეშვეობით გაანადგურეს.

თუ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის პერიოდში იემენის ტერიტორიაზე ავიადარტყმების ერთეული შემთხვევები იყო, ხელისუფლების სათავეში ბარაკ ობამას მოსვლის შემდეგ შეტევები გახშირდა. დარტყმები, ძირითადად, უპილოტო საფრენი აპარატებით ხორციელდებოდა. ამან უფლებათა დამცველების პროტესტი გამოიწვია, რომლებიც თვლიდნენ, რომ ე.წ. ტერორიზმთან ომს ძალიან ბევრი მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე ეწირებოდა.

Human Rights Watch-ის 2013 წლის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 2009 წელს აშშ-მა იემენი 6-ჯერ დაბომბა და 82 დაღუპულიდან 57 მშვიდობიანი მოსახლე იყო.

**ავღანეთის სამხედრო კამპანიაზე ვაშინგტონმა 100 მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა. ამ თანხაში ჩართულია დანახარჯები ადგილობრივი შეიარაღებული ძალებისა და სამართალდამცავი ორგანოების ეკიპირებაზე. Associated Press-ის მიერ გავრცელებული მონაცემებით, 13 წლის განმავლობაში ავღანეთში დაიღუპა 2200 ამერიკელი ჯარისკაცი, 20 ათასი კი დაიჭრა**

## ერაყი

2003 წელს ერაყში შეჭრის საბაბი გახდა ის, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმს ჰქონდა (როგორც იუწყებოდა აშშ-ის დაზვერვა) მასობრივი განადგურების იარაღი, რომელიც შემდეგ ვერსად იპოვეს.

დაბომბვა დაიწყო 20 მარტს, სამი კვირის შემდეგ კი ერაყის ხელისუფლება დაემხო; სხვათა შორის, ისევე, როგორც ავღანეთში. ერაყზე სრული კონტროლის დაწესება ამერიკელებისთვის არც ისე იოლი აღმოჩნდა. ისინი წააწყდნენ გაafთრებულ წინააღმდეგობას როგორც სადამ ჰუსეინის არმიის, ისე სხვადასხვა შიიტური და სუნიტური დაჯგუფის მხრიდან, ბოლოს კი მათ ტერორისტული დაჯგუფებებიც დაუპირისპირდნენ, მათ შორის, „ალ ქაიდაც".



ერაყის მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ამერიკული ავიადარტყმები ნამდვილი კოშმარი იყო. France Press Agency-ის მიერ 2013 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ერაყში კონფლიქტის მიმდინარეობისას 500 ათასი ადამიანი დაიღუპა, უმეტესობა — ბომბების აფეთქების მომენტში.

## პაკისტანი

პაკისტანზე უპილოტო აპარატებით შეტევები, რომლებიც ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას დაიწყო, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში მნიშვნელოვნად გახშირდა.

ჟურნალისტური გამოძიების საერთაშორისო ბიუროს მონაცემებით, 2004 წლიდან დღემდე ამერიკულმა უპილოტო საფრენმა აპარატებმა პაკისტანი 390-ჯერ დაბომბეს, რომლებიც 4 ათასი ადამიანის სიკვდილით დასრულდა, მათ შორის, 1000 მშვიდობიანი მცხოვრების.

„ამერიკელების მიერ შემოღებული უპილოტო თვითმფრინავებით დაბომბვის პრაქტიკა „ღრმად აშფოთებს და აღელვებს პაკისტანელ ხალხს", — განაცხადა 2013 წელს პაკისტანის პრემიერმა ნავაზ შარიფმა და დასძინა, რომ „უპილოტო თვითმფრიავების შეტევებს ბოლო უნდა მოეღოს".

პაკისტანის გავლენიანი პოლიტიკური პარტიების განცხადებით კი, უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით, აშშ პაკისტანის ტერიტორიულ მთლიანობას ხელყოფს.

2013 წლის დეკემბერში პაკისტანში აშშ-ის სამხედრო მანქანის საწინააღმდეგო ხალხმრავალი მანიფესტაცია გაიმართა.

## სომალი

2007 წლის იანვარში აშშ-მა სომალელი ტერორისტების სავარაუდო პოზიციები დაბომბა. ვაშინგტონი ეჭვობდა, რომ სომალელი ტერორისტები კენიასა და ტანზანიაში აშშ-ის საელჩოზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ. **ამ დაბომბვამ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ვერ მიიპყრო, თუმცა რამდენიმე ასეული სომალელის, მათ შორის, ჯიჰადისტური დაჯგუფება „აშ-შაბაბის" ლიდერის სიკვდილით დასრულდა.** ექსტრემისტებმა განაცხადეს, რომ შურს იძიებენ.

## ლიბია

2011 წელს მუამარ კადაფის ხელისუფლება, პირველ რიგში, აშშ-ის ძალისხმევით დაემხო. ბარაკ ობამამ პოლკოვნიკ კადაფის წაუყენა ულტიმატუმი: ან გადადგები, ან დავიწყებთ თქვენს დაბომბვას! **კადაფიმ უარი თქვა ვაშინგტონთან გარიგებაზე და აშშ-მა ძალა გამოიყენა. ახლა ლიბიას ღრღნის სამოქალაქო ომი, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.**

## რაზე მიუთითებს გაეროს წესდება

მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და აღდგენის მიზნით სამხედრო და უსაფრთხოების ძალების გამოყენება რეგულირდება გაეროს წესდების VII თავის მიხედვით. **გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის — კოფი ანანის განცხადებით, „მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად გაეროს წესდება უშიშროების საბჭოს აძლევს უფლებამოსილებას, გამოიყენოს სამხედრო ძალა, მათ შორის, პრევენციულად".** მეორე მხრივ, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, „პრევენციული მოქმედება — ეს არის მოქმედება, რომელიც ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სარწმუნოა, რომ სამხედრო კონფლიქტი ახლოს არ არის, მაგრამ უეჭველად დაიწყება და მოქმედების გადადება მხოლოდ გაზრდის საფრთხეს". ამრიგად, **აშშ-ის მიერ ძალის პრევენციულად გამოყენებას საფუძვლად უდევს სუბიექტური შეფასებები, რომლებიც სხვა სახელმწიფოებმა შეიძლება მცდარ შეფასებებად ჩათვალოს. ამის მაგალითად სპეციალისტებს მოჰყავთ 2003 წელს ერაყში განხორციელებული ოპერაცია, რომლის შედეგადაც ამერიკელებმა სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაამხეს.**

აღსანიშნავია, რომ ნატოც ხშირად მიმართავს ამგვარ ხერხებს. ამის მაგალითია კონფლიქტი იუგოსლავიაში. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა იუგოსლავიაზე თავდასხმის გადაწყვეტილება მიიღო 1999 წელს ამ ქვეყნის ხელისუფლებასთან კოსოვოსა და მეტოხიის შესახებ წარუმატებელი მოლაპარაკებების შემდეგ — იუგოსლავიის ხელისუფლებამ კატეგორიული უარი განაცხადა თავისი სამხედრო ძალების გამოყვანაზე კოსოვოდან, სადაც მიმდინარეობდა ბრძოლები ალბანელი სეპარატისტების წინააღმდეგ და იქ ნატოს „სამშვიდობო" ძალების შეყვანაზე.

იუგოსლავიის წინააღმდეგ აგრესია დაიწყო გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე — მხოლოდ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მტკიცების საფუძველზე, რომ იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლება კოსოვოელ ალბანელებს გენოციდს უწყობდა. ოპერაციის მიმდინარეობისას, რომელიც 1999 წლის 24 მარტიდან 10 ივნისამდე გაგრძელდა, ნატოს ძალებმა 2300 რაკეტით დაბომბეს მცირე ტერიტორია.

**ამ სამხედრო ოპერაციამ 2 ათასი მშვიდობიანი მცხოვრების სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის — 88 ბავშვის, 8 ათასი დაიჭრა.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სერბების, რუსების, ქართველებისა და სხვა ხალხების ერთგულება მართლმადიდებლობისადმი ნიშნავს მათ დამოუკიდებლობას და „ურჩობას“ დასავლური ინსტრუქციების მიმართ. და, რაც მთავარია, მართლმადიდებელი ქრისტიანობა აერთიანებს აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს ერთიანი ცივილიზაციის (კულტურულ-პოლიტიკური არეალის) ფარგლებში, რომლის ცენტრი, გამომდინარე გეოგრაფიული მასშტაბებიდან, მოსახლეობის რაოდენობიდან, სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერიდან და სხვა ძირითადი პარამეტრებიდან, არის რუსეთი. დასავლეთს სურს, დაასუსტოს ეს კოლოსი — რუსეთი, რათა საბოლოოდ ჩაიგდოს ხელში გეოპოლიტიკური ბატონობა ევრაზიის კონტინენტზე.**

# უკრაინა: დასავლეთის ლაშქრობა მართლმადიდებელი ცივილიზაციის წინააღმდეგ გრძელდება


გულბაათ რცხილაძე

### ყველაფერი ყოფილ იუგოსლავიაში დაიწყო...

1999 წლის 24 მარტს გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით, ანუ საერთაშორისო სამართლის გაუთვალისწინებლად, დაიწყო იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს სამხედრო ოპერაცია, სახელწოდებით „მოწყალე ანგელოზი“. **დაბომბვის შედეგად, რომელიც 78 დღეს გაგრძელდა, დაიღუპა 2 ათასი სამოქალაქო პირი, 7 ათასამდე დაიჭრა, მათ შორის 30% — ბავშვი. ოპერაცია დაიწყო წინასააღდგომო დღეებში, ხოლო ამერიკული და ბრიტანული თვითმფრინავების მიერ ჩამოყრილ ბომბებზე ეწერა: „ბედნიერი აღდგომა“.**

ნატოს ოპერაცია 1990-იანი წლების ბალკანეთის ომების ფინალური აკორდი გახდა და განაპირობა იუგოსლავიის საბოლოო დაშლა (რომელიც 1999 წლისთვის მხოლოდ ორი რესპუბლიკისგან — სერბეთისა და ჩერნოგორიისგან შედგებოდა), ხოლო შემდეგ თვითონ სერბეთის დაშლა (2008 წლის თებერვალში დასავლეთის სახელმწიფოებმა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარეს; სხვათა შორის, ეს ფაქტი ნეგატიურად აისახა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, მაგრამ დასავლეთს ეს არ აღელვებდა და არც აღელვებს).

იუგოსლავია სულაც არ იყო აშშ-ისა და მისი მოკავშირეების საბოლოო მიზანი. **1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აშშ-მა ნელ-ნელა დაიწყო თავისი ჰეგემონიის დამყარება მსოფლიოში. თავდაპირველად ამერიკელები ფრთხილად მოქმედებდნენ, მაგრამ შემდეგ ჩათვალეს, რომ მათ ძალისმიერ ქმედებებს უკვე ვერავინ შეუშლიდა ხელს და ის, ვინც ნებაყოფლობით არ დანებდებოდა, ძალით უნდა დაემორჩილებინათ.** იუგოსლავია გახდა აშშ-ის ლიდერობით დასავლეთის ექსპანსიის პრელუდია აღმოსავლეთში მართლმადიდებელი ცივილიზაციის წინააღმდეგ. იუგოსლავიის დაცემისა და პრეზიდენტ მილოშევიჩის დამხობის შემდეგ დაიწყო ნატოს გაფართოება აღმოსავლეთის მიმართულებით. ალიანსში შეიყვანეს ბალტიისპირა ქვეყნები, აგრეთვე, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოები — რუმინეთი და ბულგარეთი. **დასავლეთი მნიშვნელოვან პლაცდარმზე გამაგრდა აღმოსავლური ექსპანსიის გასაგრძელებლად, რომელიც შემდგომ ზოგიერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში „ფერადი რევოლუციების“ პროექტის განხორციელებით გამოიხატა.** საქართველო, როგორც ცნობილია, ყველაზე მეტად დაზარალდა დასავლეთის მიერ თავსმოხვეული „დემოკრატიის შუქურის“ — სააკაშვილის მოღვაწეობით, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციებს აწყობდა და საქართველო ომში ჩაითრია. საქართველოს გარდა, პროდასავლური გადატრიალებები მოეწყო უკრაინასა (2004 წ.) და ყირგიზეთში (2005 წ). ხელისუფლების დამხობის წარუმატებელი მცდელობები აღინიშნა **უზბეკეთსა** და **ბელარუსში.** რუსეთის ხელისუფლებამ პრევენციული ზომები მიიღო და არ დაუშვა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაც კი, თუმცა დასავლეთის აგენტურა იქაც ცდილობდა მდგომარეობის დესტაბილიზაციას. ეს გასაკვირი არ არის, დასავლეთის საბოლოო მიზანი ხომ „დემოკრატიზაციაა“ — რუსეთის დამორჩილება.

დავუბრუნდეთ ყოფილ იუგოსლავიას. მკითხველს გაუჩნდება შეკითხვა: **რატომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ნატოს სამხედრო ოპერაცია (რომელიც ფორმალურად დაიწყო ძირძველი სერბული მხარის — კოსოვოს — ალბანური მოსახლეობის ცენტრალური ხელისუფლებისგან „დაცვის“ საბაბით) მიმართული იყო მართლმადიდებელი სამყაროს წინააღმდეგ?** პასუხი საკმაოდ ადვილი დასასაბუთებელია. **საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ნატოს ავიაცია მართლმადიდებელ სერბებს უშენდა ბომბებს წარწერით „ბედნიერი აღდგომა“, და დაანგრია 50 სერბული მონასტერი და ეკლესია, მათ შორის, იუნესკოს დაცვის ქვეშ არსებული ტაძრები გრაჩანიცასა და პეჩში, თუმცა ესეც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტებია. საქმე ის არის, რომ დასავლელმა სტრატეგებმა დაინახეს: საბჭოთა კომუნიზმის დამარცხების შემდეგ დასავლეთის ქვეყნებს ერთი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე დარჩათ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცესა და ბალკანეთში — მართლმადიდებელი ქრისტიანობა.**


იუგოსლავიაში ნატოს ავიაციის სამიზნეში ეკლესია-მონასტრები აღმოჩნდა

**საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ნატოს ავიაცია მართლმადიდებელ სერბებს უშენდა ბომბებს წარწერით „ბედნიერი აღდგომა“ და დაანგრია 50 სერბული მონასტერი და ეკლესია, მათ შორის, იუნესკოს დაცვის ქვეშ არსებბული ტაძრები გრაჩანიცასა და პეჩში, თუმცა ესეც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტებია. საქმე ის არის, რომ დასავლელმა სტრატეგებმა დაინახეს, საბჭოთა კომუნიზმის დამარცხების შემდეგ დასავლეთის ქვეყნებს ერთი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე დარჩათ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცესა და ბალკანეთში — მართლმადიდებელი ქრისტიანობა**


ნატოს მიერ იუგოსლავიაში მოწყობილი სასაკლაოს შედეგები.

კომუნიზმისგან განსხვავებით, რომელიც უნივერსალურ მსოფლიო იდეოლოგიაზე აცხადებდა პრეტენზიას, მართლმადიდებლობა პოლიტიკური კუთხით არ არის აქტიური მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ის, როგორც რელიგიური სწავლება, უფრო მტკიცედ აერთიანებს საზოგადოებას იმ ქვეყნებში, რომლებიც თავს მიაკუთვნებენ ამ კონფესიას, ვიდრე ამას აკეთებდა კომუნიზმი. ხოლო მართლმადიდებლური ფასეულობების გარშემო ამა თუ იმ საზოგადოების ერთიანობა ხელს არ აძლევთ დასავლეთ ევროპას და აშშ-ს, რომლებიც პოლიტიკური ექსპანსიის განხორციელებას აპირებდნენ.

**სერბების, რუსების, ქართველებისა და სხვა ხალხების ერთგულება მართლმადიდებლობისადმი ნიშნავს მათ დამოუკიდებლობას და „ურჩობას“ დასავლური ინსტრუქციების მიმართ. და, რაც მთავარია, მართლმადიდებელი ქრისტიანობა აერთიანებს აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს ერთიანი ცივილიზაციის (კულტურულ-პოლიტიკური არეალის) ფარგლებში, რომლის ცენტრი, გამომდინარე გეოგრაფიული მასშტაბებიდან, მოსახლეობის რაოდენობიდან, სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერიდან და სხვა ძირითადი პარამეტრებიდან, არის რუსეთი. დასავლეთს სურს, დაასუსტოს ეს კოლოსი — რუსეთი, რათა საბოლოოდ ჩაიგდოს ხელში გეოპოლიტიკური ბატონობა ევრაზიის კონტინენტზე.** ამას იდეოლოგიურ წინააღმდეგობას უწევს მართლმადიდებელი ცივილიზაცია, რომელიც ნაწილობრივ აერთიანებს მუსლიმ ხალხებსაც და, დასავლეთისგან განსხვავებით, ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ტრადიციულ ისლამთან.

სწორედ ამიტომ, „ფერადი რევოლუციები“ უცხო, მართლმადიდებელი ქრისტიანობისგან შორს მდგომი ►

## რამ გააოგნა დიკ ჩეინი?

აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ განაცხადა, რომ გაოგნებულია იმ შედარებით, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა — **აშშ-ის მეთაურმა ქალაქ ფერგიუსონში პოლიციელის მიერ შავკანიანი ყმაწვილის მკვლელობის გამო დაწყებული არეულობა ახლო აღმოსავლეთში „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული დაჯგუფების მოქმედებას შეადარა.**

„გაოგნებული ვარ. პოლიციელის ხელით ახალგაზრდის დაღუპვის თემაზე ბევრი კითხვა შეიძლება გაჩნდეს და ყველაფერი სასამართლო პროცესზე გაირკვევა. მაგრამ ამ შემთხვევის შედარება დაუშვებელია იმასთან, რასაც „ისლამური სახელმწიფოს“ ექსტრემისტები სჩადიან ახლო აღმოსავლეთში, სადაც ათასობით ადამიანს ატერორებენ და კლავენ. ამ ორი სიტუაციის „მორალურ ეკვივალენტურობაზე“ ლაპარაკიც კი არ შეიძლება“, — განაცხადა აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა გაეროში ბარაკ ობამას სიტყვით გამოსვლის შემდეგ. მიმდინარე წლის 10 აგვისტოს აშშ-ის ქალაქ ფერგიუსონში (მასურის შტატი) პოლიციელმა დარენ უილსონმა 18 წლის შავკანიანი მაიკლ ბრაუნი მოკლა, მაგრამ სამართალდამცველს ჯერჯერობით პასუხი არ უგია. ათასობით ამერიკელი თითქმის ორი თვეა, საპროტესტო აქციებს მართავს და უილსონის დასჯას მოითხოვს.



# დასავლეთის ლაშქრობა უკვე არა კომუნისტური, არამედ მართლმადიდებელი აღმოსავლეთის წინააღმდეგ დაიწყო სწორედ სერბეთიდან (ყოფილი იუგოსლავია). ყველაფერი ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, არის 15 წლის წინანდელი მოვლენების გაგრძელება სხვა, მაგრამ არანაკლებ სასტიკი, ფორმებით.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ფსევდოფასეულობების მატარებელი აღმოჩნდა, ხოლო მათ ლიდერებს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. **კარგად გვახსოვს, რა ძლიერი იყო სააკაშვილის რეჟიმის ზეწოლა ეკლესიაზე, როგორ ცდილობდა ხელისუფლება მის კონტროლს დაქვემდებარებული მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით ეკლესიის დისკრედიტაციას, აღვივებდა შიდაეკლესიურ კონფლიქტებს, მხარს უჭერდა სხვა კონფესიებს და უცხოურ სექტებს, განათლების სისტემიდან მაქსიმალურად დევნიდა რელიგიურ ცოდნას და საერთოდ, ქრისტიანულ მორალს. ეს ყველაფერი ხდებოდა „დასავლეთის სტანდარტებთან“ საქართველოს მიახლოების ლოზუნგით.**

განა ეს არ იყო ანტიმართლმადიდებლური პოლიტიკა? და **განა ეს ცნობილი არ იყო დასავლეთის ქვეყნებისთვის, რომლებიც მხარს უჭერდნენ სააკაშვილის რეჟიმს?** ასე რომ, თუკი „ვარდების რევოლუციას“, სხვა „ფერად რევოლუციებთან“ ერთად, ჩავთვლით დამორჩილებისა და დაყოფის პოლიტიკის გაგრძელებად, რომელიც დაიწყო 1999 წელს იუგოსლავიაში (ეს კი სწორედ ასეა, თუ გავითვალისწინებთ 2000 წელს მილოშევიჩის, ხოლო 2003 წელს შევარდნაძის დამხობის ტექნოლოგიების იდენტობას), მაშინ მისი ანტიმართლმადიდებლური მიმართულება ადვილად დასანახი იქნება, თუმცა ამის შესახებ დასავლელი სტრატეგები იშვიათად საუბრობენ (მაგალითად, ბჟეზინსკი ან ბილდტი).

**დასავლეთის ლაშქრობა უკვე არაკომუნისტური, არამედ მართლმადიდებელი აღმოსავლეთის წინააღმდეგ დაიწყო სწორედ სერბეთიდან** (ყოფილი იუგოსლავია). ყველაფერი ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, არის 15 წლის წინანდელი მოვლენების გაგრძელება სხვა, მაგრამ არანაკლებ სასტიკი ფორმებით (დასავლეთის „აღმოსავლური სტრატეგიის“ შესახებ, გირჩევთ, ნახოთ ფრანგი ჟურნალისტის — მანონ ლუაზოს დოკუმენტური ფილმი „აღმოსავლეთის დაპყრობა“, რომელიც 2000-იანი წლების შუახანებში გამოვიდა. ფილმი ხელმისაწვდომია ინტერნეტში).

## შხამიანი „სიტკბო“ – ევროპასთან ასოციაცია

**„ნარინჯისფერმა რევოლუციამ“ უკრაინის განვითარება დაახლოებით ათი წლით შეაფერხა.**

2005-2010 წლებში უკრაინელთა ცხოვრების დონე საგრძნობლად დაეცა. თუ 2004 წლის შედეგებით უკრაინის მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) 12,4%-ით გაიზარდა, უკვე 2005 წელს, „რევოლუციის“ შემდეგ, ეს მაჩვენებელი 2.6%-მდე დაეცა. 2013 წელს რუსეთის მშპ უტოლდებოდა დიდი ბრიტანეთის მშპ-ს და 2 ტრილიონ 118 მილიარდ დოლარს შეადგენდა. უკრაინის მშპ კი 175 მილიარდი დოლარი იყო, ვიეტნამის მშპ-ს უდრიდა და ოდნავ აღემატებოდა ანგოლის მშპ-ს. 2004 წელს რუსეთის მშპ 1 ტრილიონ 449 მილიარდს დოლარს აღწევდა და კანადის მშპ-ს ტოლი იყო. უკრაინის მშპ 2004 წელს 312 მილიარდი იყო და საუდის არაბეთისა და ბელგიის მშპ-ს არ ჩამოუვარდებოდა, ანუ **9 წელიწადში რუსეთის მშპ გაიზარდა ერთ-ნახევარჯერ, რამაც ის განვითარებული ქვეყნების დონეზე გაიყვანა, ხოლო უკრაინის მშპ ორჯერ დაეცა და განვითარებად ქვეყნებსაც კი ჩამოუვარდება. ეს მონაცემები საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოაქვეყნა.**

ეკონომიკურ წარუმატებლობას დაემატა დასავლეთის ინტერესების გამტარებელი „რევოლუციური“ ხელისუფლების არასწორი პოლიტიკა ეროვნულ და რელიგიურ საკითხებში. ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობის პერიოდში უკრაინის ხელისუფლება ფრთხილად და ზომიერად, მაგრამ მაინც ცდილობდა რუსული ენის განდევნას და არაკანონიკური „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ გაძლიერებას რუსეთის ეკლესიის საპირწონედ, რომელსაც მიეკუთვნება მართლმადიდებელი უკრაინელების აბსოლუტური უმრავლესობა (რუსეთის ეკლესიის იურისდიქციას უკრაინაზე აღიარებს ყველა კანონიკური ეკლესია, მათ შორის საქართველოს საპატრიარქო). ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ უკრაინელები მთლიანობაში ეჭვის თვალით უყურებდნენ „რევოლუციის“ ლიდერებს და პირველივე შესაძლებლობისას, 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, დროებით თავი დააღწიეს მათ მმართველობას, აირჩიეს რა ვიქტორ იანუკოვიჩი. თუმცა არც იანუკოვიჩი იყო მაინცდამაინც პოპულარული, მისი არჩევა მოხდა სხვა რეალური ალტერნატივის არარსებობის და მოსკოვთან მჭიდრო კავშირების გამო — უკრაინელების დიდი ნაწილი მართლმადიდებელ ცივილიზაციას ეკუთვნის და უფრო მეტად რუსეთისკენ მიისწრაფვის.



**კომუნიზმისგან განსხვავებით, რომელიც უნივერსალურ მსოფლიო იდეოლოგიაზე აცხადებდა პრეტენზიას, მართლმადიდებლობა პოლიტიკური კუთხით არ არის აქტიური მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ის, როგორც რელიგიური სწავლება, უფრო მტკიცედ აერთიანებს საზოგადოებას იმ ქვეყნებში, რომლებიც თავს მიაკუთვნებენ ამ კონფესიას, ვიდრე ამას აკეთებდა კომუნიზმი**

## უკრაინა: პროდასავლური დასავლეთი, პრორუსული აღმოსავლეთი და სამხრეთი და ნეიტრალური ცენტრი

ჩვენთან, საქართველოში, ხშირად ავიწყდებათ, რომ რუსებს და უკრაინელებს აერთიანებთ, ერთი მხრივ, რწმენა და ეკლესია, მეორე მხრივ, სისხლისმიერი და ენობრივი ნათესაობა. რუსული და უკრაინული ენები უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ვიდრე, ვთქვათ, ქართული და მეგრული. ბევრი უკრანელი იყენებს ე.წ. სურჟიკს — უკრაინულისა და რუსულის ნაზავს, ხოლო კიდევ უფრო მეტი უკრაინელი — ლიტერატურულ რუსულს. რუსებიც და უკრაინელებიც აღმოსავლელი სლავებია. თვითონ რუსეთი (Русь) „დაიბადა“ თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე და მხოლოდ საუკუნეების შემდეგ „გადასახლდა“ კიევიდან ჩრდილოეთში, მოსკოვის მიმართულებით. სიტყვა „უკრაინა“ იშიფრება, როგორც „окраина Руси“, ანუ „რუსეთის განაპირა მხარე“... ამიტომ, ბევრი რუსი და უკრაინელიც მიიჩნევს, რომ რუსები და უკრაინელები (ბელორუსებთან ერთად) ერთიან ხალხს შეადგენენ.

მაგრამ **რუსებისა და უკრაინელების ერთობას სტრატეგიული მოწინააღმდეგეები ჰყავთ აშშ-ს, ნატო-ს და ევროკავშირის სახით.** დასავლეთის სახელმწიფოები და გლობალისტური ორგანიზაციები, გამომდინარე მათი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან, ახდენენ უკრაინელი ნაციონალისტებით მანიპულირებას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიეკუთვნება არა მართლმადიდებელ, არამედ უნიატურ, ან კათოლიკურ ეკლესიებს, ან სულაც სხვა კონფესიების მიმდევარია. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი ცნობილი უკრაინელი პოლიტიკოსი, მაგალითად, უმაღლესი რადის (პარლამენტის) თავმჯდომარე ალექსანდრე ტურჩინოვი ბაპტისტია (ეს პროტესტანტული მიმართულება გავრცელებულია აშშ-ში), ხოლო პრემიერ-მინისტრი არსენი იაცენიუკი კი ტოტალიტარული (ასევე ამერიკული) სექტის „საიენტოლოგების“ წევრია.

**გასაკვირი არ არის, რომ დასავლეთი უკმაყოფილო იყო იანუკოვიჩის გამარჯვებით 2010 წლის არჩევნებზე, რადგან პროდასავლური კურსით მოსახლეობის გულაცრუების შემდეგ, მოსალოდნელი იყო რუსეთისა და უკრაინის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა.** მაგრამ დასავლელი პოლიტიკოსები არ წავიდნენ ახალადარჩეულ პრეზიდენტთან კონფრონტაციაზე, არამედ დაიწყეს მისი გადმობირება, სთავაზობდნენ რა ევროკავშირსა და უკრაინას შორის გაღრმავებული ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივას, უკრაინისთვის ხელსაყრელ პირობებზე. ამასთანავე, „თაფლაკვერთან“ ერთად მათ გამოიყენეს „მათრახიც“ — იანუკოვიჩისგან მოითხოვდნენ ყოფილი პრემიერ-მინისტრის, „რევოლუციონერ“ ტიმოშენკოს გათავისუფლებას ციხიდან. **კორუფციაში ჩაფლული იანუკოვიჩი, რომელსაც არ ჰქონდა სახელმწიფოს განვითარების მკაფიო სტრატეგია და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არანაირი იდეოლოგია, დაადგა ევროპელი მაღალჩინოსნების მიერ შეთავაზებულ გზას და უკრაინის მოქალაქეებს ნათელ ფერებში უხატავდა ევროკავშირთან დაახლოების „ბედნიერ“ მომავალს, ე.წ. ასოცირებული ხელშეკრულების საფუძველზე.** სახელმწიფო აპარატი გახდა უკრაინის ევროასოციაციის მთავარი პროპაგანდისტი. მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც დაიჯერა, რომ უკრაინისთვის სასარგებლო იქნება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, ხოლო მათი კეთილდღეობა დიდად გაიზრდება. ვიმეორებთ: მოსახლეობის ამგვარი განწყობა განაპირობა თავად იანუკოვიჩის ხელისუფლების პროპაგანდამ, ევროპელი პოლიტიკოსებისა და მაღალჩინოსნების ინიციატივით.

**გულბაათ რცხილაძე,**
ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**



## ტონი ბლერი ჰომოსექსუალთა კერპად აღიარეს

**ბრიტანულმა გამოცემა GAY TIMES-მა ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი ტონი ბლერი ჰომოსექსუალთა კერპად აღიარეს.** ჟურნალის მიერ გამოქვეყნებული უკანასკნელი 30 წლის „გეიკერპების“ რეიტინგში ბლერმა მე-4 ადგილი დაიკავა. ექსპრემიერმა სექსუალური უმცირესობის თაყვანისცემა ჰომოსექსუალთა უფლებებისათვის ბრძოლის გამო დაიმსახურა. როგორც Gay Times-ი აღნიშნავს, ბლერის წვლილი ეჭვგარეშეა.

თანაბარი ასაკობრივი ცენზი ორივე სქესისთვის, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის ამკრძალავი მუხლის გაუქმება, ტრანსსექუალთა იურიდიული აღიარება, სამოქალაქო პარტნიორობა, სექსუალური ორიენტაციის მიზეზით სამსახურიდან დათხოვნის აკრძალვა და ჰომოფობიის დანაშულად აღიარება — ეს ყველაფერი ბლერის ხელისუფლებაში ყოფნის დრო გაკეთდა.



## «ისლამური სახელმწიფოს» მხარეს 3 ათასზე მეტი ევროპელი იბრძვის

**სირიასა და ერაყში სამ ათასს გადააჭარბა იმ ევროპელთა რაოდენობამ, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს იბრძვიან ან იბრძოდნენ. ამის შესახებ ევროკავშირის ტერორიზმთან ბრძოლის კოორდინატორმა ჟილ დე კერშოვმა განაცხადა.**

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მონაცემებით, ერაყსა და სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ 31 ათასი მებრძოლია, ეს სამჯერ მეტია წინა მონაცემებთან შედარებით. ჟილ დე კერშოვმა ასევე აღნიშნა, რომ დასავლეთის ავიადარტყმები ევროპაში საპასუხო თავდასხმების რისკს გაზრდის.

მსოფლიო

## მამაკაცმა სამუშაო ადგილზე კოლეგას თავი მოჰკვეთა

**ოკლაჰომას შტატში (აშშ) 30 წლის მამაკაცმა საშინელი დანაშაული ჩაიდინა.** ინციდენტი 25 სექტემბერს ოკლაჰომა-სიტიში მოხდა. კომპანია „ვოგან ფუდსის“ თანამშრომელმა მამაკაცმა, რომელმაც შეიტყო, რომ სამსახურიდან დაითხოვეს, ჯერ ავტოავარია მოახდინა — თავისი ავტომობილი მიზანმიმართულად დააჯახა კომპანიის შენობასთან მდგარ ავტომობილებს, შემდეგ შენობაში შევიდა და ერთი კოლეგა დანით დაჭრა, მეორეს კი თავი მოჰკვეთა. „ვოგან ფუდსის“ თანამშრომლები ამბობენ, რომ ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე მამაკაცი კოლეგებს ისლამის მიღებისკენ მოუწოდებდა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ებოლას ვირუსი ჰაერ-წვეთოვანი გზით არ გადაეცემა. როგორც ფაქტების ანალიზიდან ჩანს, ის არ ვრცელდება დახველებისას, როგორც ეს ფრინველის გრიპს ახასიათებდა. არ ვითარდება კანზე ბუშტუკოვანი გამონაყარიდან ან რაიმე სხვა ცნობილი გზებით, რომლებიც ახასიათებთ დანარჩენ ცნობილ ვირუსებს.**




# ებოლა, ანუ რა ღირს შიში?

**რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტმა ობამამ აღიარა, რომ დასავლეთ აფრიკაში ებოლას ციებ-ცხელება კონტროლს აღარ ემორჩილება და ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატები აღნიშნული რეგიონისთვის გამოყოფს მილიარდ დოლარსა და სამი ათას ჯარისკაცს, რათა სამედიცინო და მატერიალურ-ტექნიკური დახმარება აღმოუჩინოს მას. ობამას განმარტებით, ეკონომიკური კოლაფსის რისკი უსაფრთხოებისთვის საშიშროებას წარმოადგენს არამხოლოდ აღნიშნულ რეგიონში, არამედ მსოფლიოში და ვიდრე არსებობს შესაძლებლობა, გადარჩენილ იქნეს უამრავი სიცოცხლე, საჭიროა სწრაფი მოქმედება.**



არადა, ეპიდემიის დასაწყისში ამერიკას თავი არ შეუწუხებია. მისი პირველი ამოფრქვევა ჯერ კიდევ მარტში გვინეის რესპუბლიკის შორეულ ნაწილში მოხდა. სულ რამდენიმე დღეში კი ებოლას ვირუსმა მეზობელ ლიბერიაში შეაღწია. აპრილში შიშმა იმატა, რადგან ეპიდემია ნელ-ნელა ძალას იკრებდა და მაისში უკვე შეაღწია სიერა-ლეონეშიც. ივნისში, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ვრცელდებოდა ვირუსი ლიბერიის დედაქალაქ მონროვიას მსგავს ქალაქებში, ორგანიზაციის „ექიმები საზღვრებს გარეშე" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეპიდემია „კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა". ივლისის დასასრულს კი ებოლას ციებ-ცხელება ნიგერიაშიც შეიჭრა, ეს კი აფრიკის კონტინენტის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. დღეს ებოლას ვირუსის პანიკური შიში ბევრად უფრო შორს და ბევრად უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე თავად დაავადება.

„შეიძლება გამოვყოთ ამ ინფექციის ორი სახეობა, — განაცხადა რამდენიმე დღის წინათ მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტმა ჯინ ენ კიმმა, — ერთ-ერთი მათგანი თავად ვირუსს ეხება, ხოლო მეორე — მასთან დაკავშირებულ შიშებს".

როგორც მსოფლიო ბანკის მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებულ ანგარიშებშია აღნიშნული, ამ დაავადების მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები შედარებით მცირეა ეკონომიკაზე მის გავლენასთან შედარებით: 80-დან 90-პროცენტამდე არაკეთილსასურველი ეკონომიკური ეფექტი შეიძლება „შიშის ფაქტორით" აიხსნას. აქ შეიძლება დასახელდეს სატრანსპორტო სისტემის დაბლოკვაც, მათ შორის საზღვაო პორტებისა და საჰაერო გზების ჩაკეტვა, დაწესებულებების მუშაობის იძულებით შეწყვეტაც.

საჭიროა, ებოლას ვირუსის გავრცელების ქვეყნებში რაც შეიძლება მეტი ფულადი სახსრები გაიგზავნოს შესაძლებლობის მიხედვით და დახმარება გაეწიოთ მათ ციებ-ცხელების წინააღმდეგ ბრძოლაში. უმოქმედობას არანაირი მორალური გამართლება არ აქვს. მაგრამ საჭიროა ფიქრი არა მხოლოდ დასავლეთ აფრიკის ქვეყნების დახმარებაზე, რომლებიც ახლა უკვე ნამდვილად სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფებიან. ადამიანებს აინტერესებთ პასუხი კითხვაზე: **ხომ არ გაგვანადგურებს ებოლას ვირუსი ყველას?**

**ამ კითხვაზე სწორი პასუხია — არა.**

მიუხედავად იმ საზარელი ახლი ამბებისა, რომლებსაც ტაბლოიდებიდან ან სატელევიზიო გადაცემებიდან გვამცნობენ, ექიმები სულ უფრო მეტ მტკიცებულებას პოულობენ საიმისოდ, რომ განაცხადონ: **ებოლას ვირუსი ჰაერ-წვეთოვანი გზით არ გადაეცემა. როგორც ფაქტების ანალიზიდან ჩანს, ის არ ვრცელდება დახველებისას, როგორც ეს ფრინველის გრიპს ახასიათებდა. არ ვითარდება კანზე ბუშტუკოვანი გამონაყარიდან ან რაიმე სხვა ცნობილი გზებით, რომლებიც ახასიათებთ დანარჩენ ცნობილ ვირუსებს.**

ბევრი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ებოლას ვირუსი ძალზე სწრაფად განიცდის მუტაციას. როგორც წესი, ეს ვირუსებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. საერთო ჯამში კი ადამიანები ვირუსების მადლიერნი უნდა იყვნენ ამ მუტაციების გამო, რადგან მუტაციისას (გარდა ზოგიერთი ვირუსისა, რომელთა შორისაც, შესაძლოა, ებოლაც აღმოჩნდეს) ვირუსები, როგორც წესი, განიცდიან ცვლილებებს, რომლებიც მათ გაძლიერებას კი არა, დასუსტებას განაპირობებს. ამ მოვლენას, დარვინიზმის თვალსაზრისიდან გამომდინარე, მარტივი ახსნაც აქვს: **ვირუსს არ შეუძლია, დამოუკიდებლად გადარჩეს. მან აუცილებლად უნდა გადაარჩინოს თავისი მატარებელიც. ვირუსებს, ისევე, როგორც ყველაფერ ცოცხალს დედამიწაზე, თვითგადარჩენის პროგრამა აქვთ. ნებისმიერი ვირუსი, რომელიც მის მიერ დაპყრობილი ორგანიზმის ყველა უჯრედს მოკლავს, თავადაც სასიკვდილოდაა განწირული.**

**ამერიკას ადრე რომ გამოეყო ფული დასავლეთ აფრიკაში ჯანდაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად, ამჟამად მდგომარეობა ესოდენ კრიტიკული არ იქნებოდა, მრავალი ადამიანის სიცოცხლე კი ვირუსს არ შეეწირებოდა**



დასავლეთ აფრიკაში აბობოქრებული ეპიდემია, შესაძლოა, მართლაც აღარ დაექვემდებაროს კონტროლს. საქმე ისაა, რომ ინფექცია გაჩნდა რაიონებში, სადაც ფაქტობრივად არ არსებობს ჯანდაცვის სისტემა და კომუნიკაციის საშუალებები. ხშირად იქ ნორმალური ცხოვრებისთვის აუცილებელ ელემენტარულ პირობებსაც კი ვერ შეხვდებით, მაგალითად, გზებს ან სუფთა წყალს.

ამ მდგომარეობაში ახალი არაფერია. აღნიშნულ რაიონებში ზუსტად ანალოგიური სიტუაცია იყო შარშანაც და ასი წლის წინათაც. **მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, ლიბერიაში შარშან ერთ სულზე წლიური სამედიცინო ხარჯები 65 დოლარს შეადგენდა; ერთი წლით ადრე კი — 59 დოლარს; გვინეაში იგივე მაჩვენებელი 32 დოლარს უტოლდება; შედარებით აყვავებულ ნიგერიაშიც კი აღნიშნული ჯანდაცვის ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში ას დოლარს არ აღემატება.** შედარებისთვის: **აშშ ანალოგიური მიზნებისთვის წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე 9 000-მდე დოლარს ხარჯავს, იტალიაში იგივე მაჩვენებელი 3 500 დოლარს შეადგენს.**

ებოლას ციებ-ცხელება რაღაც საიდუმლოებით მოცული დაავადება არ არის, სავარაუდოდ, ის განკურნებადია. იმისათვის, რომ ეს დაავადება აღარ გავრცელდეს, საჭიროა დიდი ძალისხმევა ყველა იმ პირის გამოსავლენად, რომელთაც რაიმე კონტაქტი ჰქონდათ დასნებოვნებულ ადამიანებთან. ინფექციური დაავადების გავრცელების შესაჩერებლად აუცილებელია გამოვლინდეს ყველა, ვისაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ინფიცირებულებთან. გამოვლენის შემდეგ ყველა ეს ადამიანი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს და ებოლას შემთხვევაში მეთვალყურეობა სამი კვირის მანძილზე უნდა გაგრძელდეს. თუ ამ დროის განმავლობაში აღნიშნული კონტინგენტიდან ვინმე დასნებოვნდება, საჭირო გახდება მისი კარანტინში მოთავსება.

კონტაქტების გამოვლენისას საჭირო იქნება კონკრეტული სახელებისა და გვარების დადგენა, შემდეგ ამ პირების ტელეფონის ნომრებისა და მისამართების დადგენაც. გარდა ამისა, საჭიროა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში დახელოვნებული სპეციალისტები. ქვეყნის დამატებითი რესურსების გარეშე თავად ებოლას ვირუსით დაავადებულნი ამ საქმეს თავს ვერ გაართმევენ. გარდა ამისა, არსებობს გაცილებით უფრო სერიოზული წინააღმდეგობებიც — დაავადების წინაშე პანიკურ და სავსებით გასაგებ შიშს სასოწარკვეთა ახლავს.

ებოლას ეპიდემია მსოფლიოს მხოლოდ ულატაკესი ქვეყნების სადარდებელი არ არის. საკმარისია 1988 წლის გახსენება. მაშინ სტოკჰოლმში ნიუ იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის მეთაური სტივენ ჯოზეფი შიდსის მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაზე კითხულობდა მოხსენებას. ეს ის დრო იყო, როდესაც ყველას ეშინოდა შიდსის. ჯოზეფი მაშინაც აფრთხილებდა მსოფლიოს, რომ დრო ძალიან ცოტაა. იგი მოუწოდებდა ჩინოვნიკებს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლებს, რაც შეიძლება სწრაფად შესდგომოდნენ საქმეს. იმ პერიოდში ეს ნიშნავდა, რომ ჯანდაცვის წარმომადგენლებსა და ჩინოვნიკებს ერთობლივად უნდა შეემუშავებინათ სისტემა, რომლის საშუალებითაც მიაგნებდნენ ყველას, ვინც შეიძლებოდა ინფიცირებული ყოფილიყო ვირუსით. სამედიცინო თვალსაზრისით, ჯოზეფის ინიციატივა აბსოლუტურად მართებული იყო. იმ პერიოდში საზოგადოებაში ჰომოფობიას პრაქტიკულად არავინ მალავდა, დისკრიმინაცია და შიშები კი ერთმანეთს კვებავდა. ამის გამო წინადადებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

ახლა ექსპერტები ერთხმად თანხმდებიან, რომ ებოლას ვირუსი გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს თავად ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც და, **ამერიკას ადრე რომ გამოეყო ფული დასავლეთ აფრიკაში ჯანდაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად, ამჟამად მდგომარეობა ესოდენ კრიტიკული არ იქნებოდა, მრავალი ადამიანის სიცოცხლე კი ვირუსს არ შეეწირებოდა.** ამასთან, თავიდან იქნებოდა აცილებული სხვა შემოტევები და დარტყმები, მათ შორის შიშის ეპიდემიაც, რომელიც სხვა ყველა ეპიდემიაზე სწრაფად ვრცელდება.

**New Yorker**

მოკლედ



## ავიაშეტევა არ კმარა

**აშშ-ის შეიარაღებული ძალების გენშტაბის ხელმძღვანელის, გენერალ მარტინ დემფსის განცხადებით, მხოლოდ ავიაშეტევები არ კმარა „ისლამური სახელმწიფოს" დასამარცხებლად.** საჭიროა როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილება, ასევე სახმელეთო სამხედრო ოპერაცია. სახმელეთო ძალების ფორმირებისთვის საჭირო იქნება 15 ათასამდე მებრძოლი სირიის ზომიერი ოპოზიციიდან. **„აშშ-ის სახმელეთო ჯარების შეყვანა საჭირო არ გახდება. ერთადერთი ეფექტური ძალა, რომელსაც შეუძლია, რეალურად დაამარცხოს „ისლამური სახელმწიფო", ქურთებისგან, ერაყელებისგან და სირიის ზომიერი ოპოზიციისგან შემდგარი ძალა იქნება",** — აღნიშნა დემფსიმ.



**„ნაცფრონტს“ რომ რადიკალური წარსული არ ჰქონდეს, ეჭვი არავის შეეპარებოდა, რომ მარინ ლე პენი 2017 წელს საფრანგეთის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი-ქალი გახდებოდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საფრანგეთის ხელისუფლებას მარინ ლე პენის შეეშინდა

**16 სექტემბერს საფრანგეთის ნაციონალურ ასამბლეაზე კენჭი უყარეს ხელისუფლებისადმი ნდობის საკითხს. პრემიერმინისტრ მანუელ ვალისის, ასევე პრეზიდენტ ოლანდის არაპოპულარობის კვალობაზე მრავალი ანალიტიკოსი თითქმის პოლიტიკურ კატასტროფას წინასწარმეტყველებდა. თუ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგებით ვიმსჯელებთ, საპრეზიდენტო არჩევნები რომ დღეს ტარდებოდეს, მასში ნაციონალისტი მარინ ლე პენი გაიმარჯვებდა.**



კენჭისყრის წინ ქვეყნის პრემიერმინისტრმა მანუელ ვალისმა ყველა თანაგუნდელს პარტიული ერთობისკენ მოუწოდა და ისინი პარლამენტარების „ნაციონალური ფრონტითა“ და ულტრამემარჯვენეების მხრიდან ქვეყანაში ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობებით შეაშინა.

შედეგად საფრანგეთში ხელისუფლება გადარჩა, თუმცა გადარჩა მხოლოდ 25 ხმის ხარჯზე. თავისთავად ამგვარ თანაფარდობას, როდესაც მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის სხვაობა სულ რაღაც 25 ხმაა, გამარჯვებას ვერც უწოდებ. ეს უღღეური გამარჯვება მიანიშნებს როგორც თავად ვალისის, ისევე ოლანდის მიმართ შიდაპარტიული ნდობის დაკარგვაზე. სოციალისტებმა დაკარგეს ხალხში პოპულარობა. ასეა თუ ისე, ამჟამად საფრანგეთში პოლიტიკური „ქარიზმა“ მარინ ლე პენს ეკუთვნის. ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი, რომ ორ-ნახევარი წლის შემდეგ ეს ქალბატონი ქვეყნის პრეზიდენტი გახდება. ყველაფერი, რაც კი ოლანდმა დაკარგა, ახლა მის ხელშია.

ახლახან საფრანგეთში სოციალური გამოკითხვა ჩატარდა. ამ გამოკითხვის შედეგებიდან ნათელი გახდა, რომ ქვეყანაში თუ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური გაიმართება, პირველ ადგილზე ხმათა უმრავლესობით მარინ ლე პენი გავა. მეორე ტურში კი იგი უპრობლემოდ დაამარცხებს ოლანდს. ამჟამად საფრანგეთში პრეზიდენტ ოლანდის მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავს მოსახლეობის 80%, მათ შორის 47% უკიდურესად უკმაყოფილოა. ვინც უკმაყოფილოა მთავრობის თავმჯდომარე მანიელ ვალისის მოღვაწეობით, მათი რაოდენობა საფრანგეთში მოსახლეობის 67%-ს უტოლდება.

არსებობს სხვა გამოკითხვების სხვა შედეგებიც, რომელთა მიხედვითაც პრეზიდენტ ოლანდისადმი ნდობის რეიტინგი სულ რაღაც 13%-ს შეადგენს.

ამ ადამიანების გვერდით აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ძალზე პოპულარულ პოლიტიკოსად გამოიყურება — მას საკუთარ ქვეყანაში მოსახლეობის სულ რაღაც 60% უცხადებს უნდობლობას.

საფრანგეთში ცუდადაა საქმე ეკონომიკის თვალსაზრისით: 2014 წლის II კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ ზუსტად ნული შეადგინა. მთავრობამ ვერ მიაღწია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებასაც, რასაც ჰპირდებოდა ხალხს. ახლა დეფიციტის შემცირება 2017 წლამდე „გადაიდო“. სოციალისტებმა ქვეყანაში პოპულარობა დაკარგეს. პროლეტარები, რომლებაც წინა არჩევნებზე ოლანდს დაუჭირეს მხარი, უკვე დიდი ხანია, მას „მოღალატედ“ მოიხსენიებენ.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ხალხს სამუშაო ადგილებს დაჰპირდა, ქვეყანაში უმუშევრობა კვლავ განუხრელად იზრდება. ახლა საფრანგეთში სამსახურს თითქმის 3,5 მილიონი ადამიანი ეძებს.

**ფრანგები არ უჭერენ მხარს გადასახადების გაზრდის პოლიტიკას, რომელსაც ამჟამინდელი ხელისუფლება ახორციელებს.** ოლანდის პოპულარობაზე ასევე გავლენა მოახდინა საფრანგეთიდან სახელგანთქმული მსახიობის — ჟერარ დეპარდიეს გამგზავრებამაც.

მრავალი მოქალაქე „ცისფერების“ პოლიტიკის წინააღმდეგაც აცხადებს პროტესტს: ჰომოსექსუალების უფლებების დაცვა არის ის ერთადერთი დანაპირები, რომლის რეალიზებაც მოახერხა ოლანდმა, მაგრამ სწორედ ამ გადაწყვეტილების მიღებით დაიწყო მისი პოპულარობის ვარდნა, გადაწყვეტილებით, რომელმაც ქვეყანა ორად გააპო.

ამ ყველაფერმა ერთად სახელმწიფო, შესაძლოა, პოლიტიკურ კატასტროფამდე მიიყვანოს. საქმე ის არაა, მოვლენ თუ არა ხელისუფლებაში ულტრამემარჯვენეები, არამედ ის, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება აშკარად სუსტია როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურადაც და არ შეესაბამება საკუთარი ხალხის მოთხოვნებს.

რაც შეეხება ულტრამემარჯვენეებს მარინ ლე პენის მეთაურობით, იგი, როგორც ცნობილია, „ნაციონალური ფრონტის“ თავმჯდომარეა და თავის პარტიასთან ერთად უსწრაფესად აგროვებს ქულებს იმის ხარჯზე, რასაც ოლანდი გზადაგზა ფანტავს. პრემიერ ვალისს კენჭისყრის წინ საპარლამენტო გამოსვლისას ამაოდ არ უთქვამს ხმის კანკალით, რომ ულტრამემარჯვენეები „ხელისუფლების კართან დგანან“.

**მიმდინარე წლის მაისში ფრანგმა ულტრამემარჯვენეებმა ევროპარლამენტის არჩევნებზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს — ხმათა 25% მოიპოვეს. საფრანგეთში გამართულ მუნიციპალურ არჩევნებზეც „ნაცფრონტმა“ ბრწყინვალე შედეგები აჩვენა: სასურველი სავარძლები პარტიის 1,5 ათასზე მეტმა წარმომადგენელმა დაიკავა.**

ნაკლებსავარაუდოა, რომ ხელისუფლება უახლოეს თვეებში ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ხალხის მხრიდან ნდობის მოპოვებას შეძლებს. ამის გამოა, რომ ბევრი უკვე დარწმუნებულია — 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტი მარინ ლე პენი გახდება.

თუმცა, არსებობს რამდენიმე „მაგრამ“...

**ახლა მანუელ ვალისი და სხვები „ნაცფრონტის“ ულტრამემარჯვენეების სახით ხალხს ლამის ფაშიზმის დაბრუნებით აშინებენ. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მარინი გულმოდგინედ „ათეთრებს“ თავის პარტიას ჟან მარი ლე პენის ბინძური მემკვიდრეობისგან, მაგრამ საფრანგეთში ყველას როდი სჯერა, რომ იცვლება იდეოლოგია და არა აზრა.**

ეს აზრი საფუძველს მოკლებული არ არის, რამდენადაც ის, რასაც პოლიტიკოსები არჩევნების წინ ამბობენ, ერთია, ხოლო ის, რასაც არჩევნების შემდეგ აკეთებენ, მეორე. ამის გამო არამხოლოდ ხალხი, არამედ პარლამენტარებიც კი იჯერებენ მინისტრი მალისის ხმის კანკალით ნათქვამს.

**„ნაცფრონტს“ რომ რადიკალური წარსული არ ჰქონდეს, ეჭვი არავის შეეპარებოდა, რომ მარინ ლე პენი 2017 წელს საფრანგეთის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი-ქალი გახდებოდა.**

ყველა არ იწონებს მარინ ლე პენის იდეას ევროკავშირის დაშლასთან დაკავშირებით.

მეორე მხრივ, ევროპაში გამეფებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ანტიამერიკული დამოკიდებულებების მკვეთრმა მატებამ, შესაძლოა, მომავალ ორ წელიწადში ხელი შეუწყოს მარინ ლე პენისა და მისი პარტიის პოპულარობას. მოხერხებული პოლიტიკოსები ყოველთვის იყენებდნენ ხელსაყრელ მომენტს და უდავოა, რომ მარინ ლე პენიც ასე მოიქცევა. მას დიდი ძალისხმევა არ დასჭირდება, საკმარისია მხოლოდ ოლანდის შეცდომების გამოყენება, რომელთაც ის ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უშვებს.

topwar.ru

# ევროპის გაჩანაგებული სოციალური შეთანხმების რეკონსტრუქცია

**2014 წლის დასაწყისიდან ევროზონა თითქოს სუსტი და არამდგრადი, მაგრამ მაინც აღდგენის მდგომარეობაში იყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, აპრილის მდგომარეობით, საერთო შიდა პროდუქტის ზრდამ 1,2% უნდა შეადგინოს და ნელ-ნელა შემცირდეს უმუშევრობა. ზრდის წინა — 1%-იან პროგნოზთან შედარებით ეს უკვე წინსვლაა. მართალია, კვარტალურ მაჩვენებლებზე მწვავედ რეაგირება არ ღირს, მაგრამ უკანასკნელი მონაცემები, ისევე, როგორც პირველი კვარტლის მონაცემები, იმედგაცრუებას იწვევს. ორი წლის წინანდელი პესიმიზმი დაბრუნდა და არც თუ უსაფუძვლოდ.**




იტალია ნამდვილ რეცესიაშია. ფრანგული ზრდა ნულთან ახლოსაა, თვით გერმანიის საერთო შიდა პროდუქტიც კი წლის პირველ ნახევარში შემცირდა. მკაცრი ეკონომიის ერთგული ფინეთი წლის პირველ ნახევარში მინუსებშიც კი გადავიდა.

ნომინალური საპროცენტო განაკვეთები სუვერენული ვალისათვის პერიფერიის ქვეყნებში უკიდურესად დაბალი დარჩა და თვით ყველაზე დაბალი ინფლაციის მოლოდინის გათვალისწინებითაც კი რეალური საპროცენტო განაკვეთები ძალზე დაბალია.

თუ ზრდისა და დასაქმების პროგნოზები კვლავ უიმედო იქნება, ძალზე გართულდება ბიზნესში პირადი ინვესტიციების გაზრდა, მიუხედავად იმისა, რამდენად დაბალია საპროცენტო განაკვეთები ან კრედიტირების რა რესურსები გააჩნიათ ბანკებს.

სახეზეა ღრმა სტრუქტურული რეფორმების სერიოზული აუცილებლობა, რათა ფინანსური სტიმულები გრძელვადიან მდგრად ზრდად იქცეს და არა დროებით წინსვლად და შემდგომში ქვეყნების ვალების მაჩვენებლების ზრდად.

კონკრეტულად როგორ გამოიყურება „საუკეთესო“ სტრუქტურული რეფორმები, კვლავაც დისკუსიის თემად რჩება. მაგრამ ქვეყნების უმეტესობაში ის მოიცავს გადასახადების დაწესების, შრომის ბაზრის, განათლებისა და მომსახურების სფეროს, ასევე ტერიტორიული მმართველობის სფეროს რეფორმებს.

**ეს რეფორმები იმ სოციალური შეთანხმების ზედმიწევნით განახლებას უნდა ემსახურებოდეს, რომელიც ასახავს 21-ე საუკუნის დემოგრაფიის, მსოფლიო ბაზრის რეალიებს და ამავე დროს არ ღალატობდეს ევროპელების ლტოლვას სამართლიანობისა და პოლიტიკური თანასწორობისადმი. რეფორმებისკენ მოწოდება ადვილია, როდესაც არ უთითებ მათ შინაარსს და არ ითვალისწინებ სოციალურ, ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსთან კავშირს.**

ამავე დროს, შეუძლებელია ამ ახალი სოციალური შეთანხმების შემუშავება ქვეყნიდან ქვეყანაზე გადასვლით. ევროპა ურიცხვი საშუალებებითაა გადაფსკვნილი არამხოლოდ ფინანსურად და ეკონომიკურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც.

Project Syndicate

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ფერადი რევოლუციისთვის“ წინაპირობების შექმნა — ეს არის ვაშინგტონური სამართავი ცენტრის მთავარი ამოცანა ბრაზილიაში. აშშ-ის „მეხუთე კოლონის“ მიერ ახლაც გამოიყენება „სტიქიური სამოქალაქო წინააღმდეგობის“ მეთოდები, რომლებსაც ქვეყანაში მოჭარბებული პროამერიკული მედია მიმართავს.**

# მარინა სილვა, როგორც ბრაზილიის დესტაბილიზაციის პროექტი



**ვაშინგტონმა მძლავრი პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღა როგორც ბრაზილიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც მარინა სილვას, როგორც „წმიდა ადამიანის“, მხარდასაჭერად საპრეზიდენტო არჩევნებში. სხვადასხვა ვარიანტებით, რეტრანსლირდება თეზისი სოციალისტური პარტიის კანდიდატის — სილვას ვითომდა გარანტირებულ გამარჯვებაზე არჩევნების მეორე ტურში, რომელიც ბრაზილიაში 26 ოქტომბერს გაიმართება.**



**ბრაზილიელები დღითიდღე ცხადად ხედავენ, რომ სილვას კურსი ქვეყნის სტრატეგიული ორიენტირების რადიკალური ცვლისაკენაა მიმართული და ეს ქვეყანას ნაციონალურ კატასტროფამდე მიიყვანს**

ელექტრონული და ბეჭდვითი გამოცემების მიერ ბრაზილიაში უმაღლეს სახელმწიფოებრივ თანამდებობამდე მისი აღზევების ქრონოგრამა შემდეგნაირად პროგნოზირდება: 5 ოქტომბერს პირველ ტურში კანდიდატთაგან ვერც ერთი ვერ დააგროვებს გამარჯვებისთვის საკმარის ხმებს. მეორე ტურში სილვას (აშშ-ის პოლიტტექნოლოგების შეფასებით) მხარს დაუჭერენ მესამე კანდიდატის — მემარჯვენე ცენტრისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურის — აესიო ნევესის მომხრეები. მისი ელექტორატი 14-დან 16-პროცენტამდე მერყეობს.

**თუ ამ პროგნოზებს მივყვებით და მეორე ტურში ხმათა იმ რაოდენობას დავაჯამებთ, რომელთაც ჰიპოთეზურად სილვა დააგროვებს, მას საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგები ექნება და 60%-ს დააგროვებს, ამით „არანაირ შანსს არ დაუტოვებს“ ბრაზილიის მოქმედ პრეზიდენტს — დილმა რუსეფს. ამ უკანასკნელის კანდიდატურა მეორე ვადით პრეზიდენტობისთვის მშრომელთა პარტიამ წამოაყენა.**

დამოუკიდებელი ანალიტიკოსები კრიტიკულად აფასებენ ამგვარ პროგნოზებს: ეს არის ძველი ილეთი — შეიქმნას ილუზია, რომ შენს კანდიდატს გამარჯვების დიდი შანსი აქვს. იმავე დროს იქმნება წინაპირობა იმ თეზისის ასამუშავებლად, რომ ხმათა დათვლის დროს მოსახლეობა მოატყუეს.

ინასიო ლულა და სილვა, დილმას პარტიული თანამებრძოლი და წინამორბედი პრეზიდენტის თანამდებობაზე, სილვას პერსპექტივებთან დაკავშირებით საფუძვლიან ეჭვს გამოთქვამს. მისი აზრით, რუსეფის მთავარი მოწინააღმდეგე სილვა კი არა, „გაცხარებული ნეგატიური კამპანიაა პრესის გარკვეულ ორგანოებში, რომლებიც წამყვან ოპოზიციურ ძალად იქცნენ“. ეს მედიასაშუალებები იმ სირთულეებით სპეკულირებენ, რომლებიც ქვეყანაში რუსეთის მიერ ყველა ბრაზილიელის ინტერესების დასაცავად გატარებული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების შედეგად წარმოიშვა. სირთულეები ნელ-ნელა უკან რჩება, ბრაზილია წარმატებით ვითარდება, ქვეყანაში ხორციელდება მასშტაბური სამრეწველო-ინფრასტრუქტურული პროექტები. ლულა დარწმუნებულია, რომ „სიმართლე შეძლებს ტყუილის დამარცხებას“.

სილვამ მტკივნეულად განიცადა მის მიმართ ლულას გამონათქვამები, ყოფილი პრეზიდენტის კრიტიკა მას, შესაძლოა, ამომრჩეველთა ათიათასობით ხმად დაუჯდეს. სილვამ იტირა ერთ-ერთი გაზეთისთვის ინტერვიუს მიცემისას და განაცხადა: „არ შემიძლია ვაკონტროლო ის, რაც ლულას შეუძლია გააკეთოს ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ შემიძლია ვაკონტროლო ის, რაც არ მსურს გავაკეთო მის საზიანოდ“.

ექსპრეზიდენტმა დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება ამ სიტყვებზე: „დონა მარინასთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს, იცრუოს ჩემთან დაკავშირებით, რათა ატირდეს. მან სხვა მიზეზების გამო უნდა იტიროს“. მინიშნება გამჭვირვალეა. სილვა სულაც არ არის გამარჯვებაში იმდენად დარწმუნებული, რამდენადაც ჩანს და მისი ემოციური არამდგრადობა ამის დადასტურებაა.

სილვა ლამის მეოთხედი საუკუნის მანძილზე მშრომელთა პარტიის წევრი იყო და პოლიტიკურად ლულას ფრთებქვეშ დაფრთიანდა: მისი პრეზიდენტობის პერიოდში გარემოს დაცვის მინისტრად და სენატორად მუშაობდა. და მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ყურადღებით ადევნებდნენ თვალს „ჩრდილოამერიკელი მეგობრები“ საელჩოდან, ეკოლოგიური ფონდებიდან, რომელთაც აშშ-ის სპეცსამსახურები აფინანსებენ, ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს ავლენენ ბრაზილიის, როგორც „პერსპექტიული კონტინენტის“, მიმართ, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვაშინგტონის ინტერესების სასიკეთოდ.

საკმარისია იმ პრემიებისა და ჯილდოების გრძელი სიის გადახედვა, რომლებშიც ჩაძირეს სილვა „ვაშინგტონელი მეგობრების“ ინიციატივით და ადვილი მისახვედრი გახდება, რომ მასზე ფსონი ჯერ კიდევ 1980-იან წლებში დადეს. რა თქმა უნდა, გათვალისწინებულ იქნა მისი, როგორც პიროვნების, ყველა თავისებურება, მათ შორის სილვას მისწრაფება, როგორმე დააკომპენსიროს ქალური მიმზიდველობის უკმარისობა პოლიტიკურ კარიერაში მიღწევებით.

**უკვე დიდი ხანია, ვაშინგტონში ყველა დონეზე განიხილება პრობლემა: რა მოუხერხონ ბრაზილიას, რომელიც ნელ-ნელა ძალებს იკრებს, იმყარებს სუვერენიტეტს, დასავლეთ ნახევარსფეროს საქმეებში მოწინავე პოზიციებზე გადის, ქმნის გეოპოლიტიკური გავლენის საკუთარ სფეროს. ყველაზე ხშირად დისკუსია დაკეტილ კარს მიღმა მიმდინარეობს, მაგრამ უკვე ნათელია, რომ თეთრმა სახლმა კურსი რუსეფის — უფრო ლოიალური, მართვადი, აშშ-ის ინტერსების შესაბამისი კანდიდატით ჩანაცვლებისაკენ აიღო.**

საhამისოდ შესაბამისი ფიგურა აღმოჩნდა მარინა სილვა. იმისათვის, რომ მისთვის გზა გაეკვალათ, აშშ-ის სპეცსამსახურებმა „მესამე ზედმეტის“ — სოციალისტური პარტიის ლიდერის — ედუარდო კამპოსის მოშორების ოპერაცია ჩაატარეს. თვითმფრინავი „სესნა 560L“, რომლის ბორტზეც იმყოფებოდნენ პრეზიდენტობის კანდიდატი და მისი გუნდის უახლოესი წევრები, დაჯდომისას აფეთქდა. ფრანგულმა გამოცემამ „Slate.fr“ ეს ამბავი მიაკუთვნა გასული ზაფხულის იმ ხუთ უმთავრეს მოვლენას, რომლებიც მასმედიის პირველ გვერდებზე ვერ მოხვდა, მაგრამ, შესაძლოა, ყველაზე სერიოზული გავლენა მოახდინოს მსოფლიოში საქმის ვითარებაზე. კამპოსის გარდაცვალებამდე დილმა რუსეფის გამარჯვება პრაქტიკულად წინასწარ იყო განსაზღვრული. მის მოწინააღმდეგედ სილვას კანდიდატურის წამოყენებამ გაართულა მშრომელთა პარტიისათვის ხელისუფლების შენარჩუნების საკითხი.

ეჭვი არავის ეპარება, რომ სილვას გამარჯვების შემთხვევაში სამხრეთამერიკულ გიგანტს კვლავ ამერიკის შეერთებული შტატების მხარეს შეატრიალებენ. დავიწყებას მიეცემა რუსეფის მთავრობის ყველა განცხადება იმასთან დაკვშირებით, რომ ქვეყანაში აშშ-ის ტოტალური ჯაშუშობა დაუშვებელია. ბრაზილიის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებიდან ამოიშლება „Unasur“-ი (სამხრეთამერიკულ ერთა კავშირი) და „Mercosur“-ი (დამხრეთ კონუსის ქვეყნების ერთიანი ბაზარი). აქცენტი გაკეთდება იმაზე, რაც შეესაბამება აშშ-ის რეგიონულ ინტერესებს, მაგალითად, ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციაზე. „Mercosur“-ის არსებობა შეიძლება დაშვებულ იქნეს, მაგრამ მხოლოდ არა „ALCA“-ს — ამერიკების თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების საწინააღმდეგოდ. ამ შეთანხმებას ვაშინგტონი უჭედა მხარს 2005 წლამდე, ვიდრე უარყოფილი არ იქნა არგენტინის, ბრაზილიის, ვენესუელისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის მიერ. სილვა არ არის „BRICS“-ის გამყარების მომხრე, იგი მიიჩნევს, რომ ამბლოკში მონაწილეობა „ბრაზილიას არაფერს მისცემს“.

სილვა არ აპირებს ურთიერთობების გამყარებას რუსეთთან და ჩინეთთან. იგი, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გააუქმებს ბრაზილიის სტრატეგიულ კავშირს ვენესუელასა და კუბასთან, ანუ ყველაფერი, რაც ძალთა ესოდენი დაძაბვით შეიქმნა ლულასა და დილმას პრეზიდენტობის პერიოდებში, ლიკვიდირებული იქნება ჩრდილოამერიკული სახელმწიფოს სასიკეთოდ.

ახლა, პრეზიდენტობისთვის უკომპhრომისო ბრძოლის პირობებში, სილვას შესვენების დრო არ აქვს და სულ უფრო ხშირად ვერ უძლებს საარჩევნო დაპირისპირების გადატვირთულ რეჟიმს. ამომრჩეველთა რეაქციის გამო ხშირად უკან მიაქვს თავისი სიტყვები. იგი იძულებული გახდა, საკუთარი პოზიცია აეხსნა ბრაზილიის ღრმაწყლოვან შელფებზე ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით. მან განიკითხა ერთსქესიანი ქორწინებები, მაგრამ შემდეგ, რატომღაც, უკან წაიღო თავისი სიტყვები. უარყოფითად იქნა მიღებული მისი გამოსვლა ღარიბებისათვის სახელმწიფო დახმარების გაწევის მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებითაც. ქალბატონმა კანდიდატმა განაცხადა, რომ ეს სახსრების ფუჭად ფლანგვა იქნებოდა. ამ ყველაფერთან დაკავშირებით დილმა რუსეფმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ამგვარი არამდგრადი შეხედულებების მქონე ადამიანს ქვეყნის მართვაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს.

**ბრაზილიელები დღითიდღე ცხადად ხედავენ, რომ სილვას კურსი ქვეყნის სტრატეგიული ორიენტირების რადიკალური ცვლისაკენაა მიმართული და ეს ქვეყანას ნაციონალურ კატასტროფამდე მიიყვანს.** სწორედ ამის მიღწევა სურთ მარიონეტების ვაშინგტონელ მმართველებს. შეუძლებელია, სილვას ფსიქოლოგიური პრობლემები, მისი შინაგანი თავდაუჯერებლობა არ აისახოს გადაწყვეტილების მიღებაზე, ის საგრძნობლად შეაფერხებს ქვეყნის თანმიმდევრულ განვითარებას, დაარღვევს კონსტიტუციურ ფარგლებში ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ძალების ურთიერთქმედების დინამიკას.

„ფერადი რევოლუციისთვის“ წინაპირობების შექმნა — ეს არის ვაშინგტონური სამართავი ცენტრის მთავარი ამოცანა ბრაზილი- ▶

---

მოკლედ




## კატალონიაში 9 ნოემბერს რეფერენდუმი გაიმართება

**კატალონიის ლიდერმა არტურ მასმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომელიც კატალონიაში დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის გამართვას ითვალისწინებს.** რეფერენდუმი მიმდინარე წლის 9 ნოემბერს უნდა ჩატარდეს. მისმა მონაწილეებმა პასუხი უნდა გასცენ ორ შეკითხვას: გსურთ თუ არა, რომ კატალონია იყოს სახელმწიფო? გსურთ თუ არა, რომ ეს სახელმწიფო იყოს დამოუკიდებელი? ესპანეთის პრემიერმინისტრის — მარიანო რახოის განცხადებით, რეფერენდუმი უკანონოა და ქვეყნის ხელისუფლება ნებისმიერი სახით შეეცდება მის დაბლოკვას.



**დღეს ობამას კაბინეტისთვის №1 პრობლემა ერაყია, თუნდაც იმიტომ, რომ ჩინეთთანაც და რუსეთთანაც ნებისმიერ დროს შეიძლება მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა — მოსკოვიცა და პეკინიც გახსნილნი არიან დიალოგისთვის.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ აში. **აშშ-ის „მეხუთე კოლონის“ მიერ ახლაც გამოიყენება „სტიქიური სამოქალაქო წინააღმდეგობის“ მეთოდები, რომლებსაც ქვეყანაში მოჭარბებული პროამერიკული მედია მიმართავს.**

ბრაზილიის საქმეთა ექსპერტებისთვის არანაკლებ საგანგაშო სიგნალია ქვეყანაში აშშ-ის საელჩოში გამოცდილი კადრების ფორსირებული გადაყვანა. მაქსიმალურადაა დაკომპლექტებული ცსს-ს რეზიდენტურაც. მრავალი თანამშრომელი ადრე ცხელ წერტილებში მსახურობდა. სამხედრო ძალებს უკანასკნელ პერიოდამდე მეთაურობდა პოლკოვნიკი სამუელ პრუგი, წამყვანი ექსპერტი და აშშ-ის სამხედრო ძალების სამხრეთ სარდლობის კოორდინატორი ბრაზილიის საკითხებში. მას ბრაზილიის სამხედროებს შორის დაქსაქსული კავშირები აქვს, დაწვრილებით შეისწავლა ქვეყანა ამაზონიის ჩათვლით და, რაც ყველაზე მთავარია, ეფექტურად ხელმძღვანელობდა სამხედრო მზვერავების რაზმს, რომელიც ინფორმაციის შესაგროვებლად, აგენტურული პოზიციების გარდა, თანამედროვე ელექტრონულ საშუალებებსაც იყენებდა.

ლულასა და რუსეფის ხელისუფლებები ბოლო დრომდე ცდილობდნენ, სახალხოდ არ გამოემჟღავნებინათ მღელვარება აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ქვეყანაში განხორციელებული ოპერაციების გამო. ბრაზილიელები მხოლოდ დროდადრო, დახურული დიპლომატიური არხებით აწვდენდნენ ხმას ვაშინგტონს, რომ საქმის კურსში არიან ამ ოპერაციების თაობაზე. მაგრამ დილმა რუსეფისა და მისი გარემოცვის ელექტრონული თვალთვალის გამოაშკარავების შემდეგ ბრაზილიის ხელისუფლებამ პრინციპული პოზიცია დაიკავა და ვაშინგტონისგან სახალხოდ ბოდიშის მოხდა მოითხოვა. ბოდიში არავის მოუხდია, უფრო მეტიც, ობამამ ბრაზილიაში კიდევ უფრო გაააქტიურა სადაზვერვო საქმიანობა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ამერიკის საკონსულოებში შტატები. რიო-დე-ჟანეიროში მდებარე საკონსულო ყველა რეკორდს ხსნის — მასში 500-მდე თანამშრომელია. გენერალური კონსულის — ჯონ კრიმერის განცხადებით, 500-დან 300 თანამშრომელი დილიდან საღამომდე დაკავებულია ვიზების გაფორმებით იმ ბრაზილიელებისთვის, რომლებმაც ამერიკაში გამგზავრების სურვილი გამოხატეს. უახლოესი მომავალი ცხადყოფს, მართლა ბრაზილიელთა ვიზირებაზე დარდობენ ამერიკელები და ამის გამო ზრდიან საკონსულოების შტატებს თუ ეს „არაბული გაზაფხულის“ ან კიევური „მაიდნის“ მსგავსი მოვლენებისთვის მზადების ბოლო ეტაპია...

**fondsk.ru**

# ამერიკამ ვერ გათვალა: პოლიტიკა ახალი გამოწვევების პირობებში

**თეთრი სახლი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა — სამხედრო ბიუჯეტის დაგეგმილი შემცირება, რომელიც ბარაკ ობამას პროგრამის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი იყო, ახლა კითხვის ნიშნის ქვეშაა. ეს განპირობებულია მსოფლიოში პოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრი გართულებით, რომლის გამოც აშშ პირისპირ აღმოჩნდა პოტენციურ საფრთხეებთან, რომლებიც ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ საერთოდ არ ფიგურირებდნენ პროგნოზებში.**



**თეთრ სახლს ახლა სამი ახალი «ფრონტი» დაემატა, ეს კი ავტომატურად განაპირობებს ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გაურკვეველი დროით გადავადებას**

პირველ რიგში, ეს ეხება ახლო აღმოსავლეთში ისლამისტების მკვეთრ გააქტიურებას — იქ მდგომარეობა უკვე მივიდა კრიტიკულ ზღვრამდე. მეორე მხრივ, ვაშინგტონს გარკვეულ თავისტკივილს უჩენს უკრაინაში შექმნილი მდგომარეობა და ამის პარალელურად ჩინეთის მისწრაფება, გაიმყაროს პოზიციები აზიაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **თეთრ სახლს ახლა სამი ახალი „ფრონტი“ დაემატა, ეს კი ავტომატურად განაპირობებს ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გაურკვეველი დროით გადავადებას.**

ამ ყველაფრის პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ უკვე ორჯერ გადადო ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში სახელმწიფო სტრატეგიის გამოქვეყნება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ერთ-ერთი უპირველესი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ბარაკ ობამას ხელმეორედ გაპრეზიდენტების შემდეგ. ნათელია, რომ თეთრი სახლი იძულებულია, სწრაფად მოერგოს მსოფლიოს მუდმივად ცვალებად გარემოებებს და გზადაგზა ცვალოს მანამდე დამტკიცებული გეგმები.

2012 წლის არჩევნებზე ობამას ერთ-ერთი უმთავრესი დაპირება იყო საბიუჯეტო სახსრების გადანაწილება. საუბარია იმ სახსრების ქვეყნის შიდა მოხმარებისთვის გადამისამართებაზე, რომლებიც მანამდე ერაყსა და ავღანეთში ამერიკის ჯარის შენახვაზე იხარჯებოდა. ახლა უკვე პრეზიდენტის წინასაარჩევნო დაპირება, სულ მცირე, ძნელადშესასრულებლად გამოიყურება იმ სერიოზული წინააღმდეგობების გათვალისწინებით, რომლებსაც თეთრი სახლი აწყდება ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით.

გარდა ქვეყნის შიგნით მოსახლეობის მოსალოდნელი უკმაყოფილებისა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს არც თუ იოლი განმარტებების მიცემა მოუწევს, როგორც ევროპელი, ასევე აზიელი პარტნიორებისა და მოკავშირეებისთვის. ეს უკანასკნელნი უკმაყოფილონი არიან ახლო აღმოსავლეთში, ევროპასა და აზიაში მდგომარეობის დაძაბვით და ობამასგან მოელიან არა მხოლოდ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, არამედ იმის გარანტიებსაც, რომ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მოწინააღმდეგენი ძალთა ბალანსს თავიანთ მხარეს არ გადააჩოჩებენ.

შედეგად ყალიბდება ორსახოვანი მდგომარეობა — ერთი მხრივ, ობამამ ამერიკელი ხალხისთვის მიცემული პირობა უნდა შეასრულოს და შეამციროს სამხედრო ხარჯები; მეორე მხრივ კი, მას, სავარაუდოდ, მოუწევს ნატოში აშშ-ის ინტერესების გაძლიერება, რათა, სულ მცირე, შეინარჩუნოს სტატუს კვო თეთრი სახლის მოწინააღმდეგეთა პოზიციების გაძლიერების პირობებში.

**დღეს ობამას კაბინეტისთვის №1 პრობლემა ერაყია, თუნდაც იმიტომ, რომ ჩინეთთანაც და რუსეთთანაც ნებისმიერ დროს შეიძლება მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა — მოსკოვიცა და პეკინიც გახსნილნი არიან დიალოგისთვის.** რაც შეეხება ისლამისტებს, ამ შემთხვევაში კონფლიქტის დარეგულირების ერთადერთი შესაძლო საშუალება პირდაპირი საომარი ჩარევაა — ხალიფატის მომხრენი, უბრალოდ, უარს აცხადებენ ნებისმიერი მოლაპარაკების წარმოებაზე. ამ პირობებში 2011 წელს ერაყიდან ჯარების გაყვანა, რაც ობამასთვის საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორედ დასაშვებ ბილეთად იქცა, შეცდომად თუ არა, სულ მცირე, ნაჩქარევ გადაწყვეტილებად მაინც გამოიყურება. ამასთან, თეთრი სახლი ველარ მოახერხებს უკან გადათამაშებას — ძალზე საეჭვოა, რომ ამერიკის საზოგადოებამ ხელისუფლებას ერაყში სრულმასშტაბიანი ოპერაციის კიდევ ერთხელ წამოწყების უფლება მისცეს.

ჩინეთის მიმართაც მდგომარეობა ბოლომდე გარკვეული არ არის — მზისქვეშეთი ნელ-ნელა და თავდაჯერებით გადის მსოფლიო ეკონომიკაში ლიდერის პოზიციაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩინეთს მსოფლიო ზესახელმწიფომდე სულ ცოტა აკლია და ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოს ახალი ბიპოლარული წყობა ყველაზე ნაკლებად სწორედ აშშ-ს აძლევს ხელს. ის ხომ უკვე მიეჩვია მსოფლიო ჰეგემონის სტატუსს უკანასკნელი 20 თუ ცოტა მეტი წლის მანძილზე.

ამასთანავე, „დიდი წითელი დრაკონი“ მთელ რიგ შიდა პრობლემებს გადააწყდა, ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკება, ასევე, მოსახლეობის სიჭარბე. ის, რომ ჩინეთს საცხოვრებელი სივრცის გაფართოება ესაჭიროება, ნათელია.

ამერიკის ელიტისთვის ამჟამად მღელვარების ერთ-ერთი საბაბია აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილი ვითარება, კერძოდ — რუსეთთან ურთიერთობა. ბოლოდროინდელ მოვლენებამდე ორ სახელმწიფოს შორის ტრადიციული თავშეკავებისა და საპირწონეების სისტემა მუშაობდა და თეთრ სახლში რუსეთს აღიქვამდნენ, როგორც დიდწილად სტატიკურ მოთამაშეს, რომელიც დიდი ფსონებით გადამწყვეტ თამაშზე არ წავიდოდა.

ამის საფასურად განიხილებოდა რუსული მხარის წევრობა „დიდ რვიანში“, ასევე, ორი სახელმწიფოს მთელი რიგი ერთობლივი პროექტები. მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ამერიკული აღმოსავლეთევროპული სტრატეგია ჩიხში შეიყვანა. ახლა ვაშინგტონს ლავირება უწევს, ცდილობს, ერთი მხრივ, არ დაუშვას რუსეთის პოზიციების გაძლიერება, მოსკოვსა და პეკინს შორის ბზარი გააჩინოს; მეორე მხრივ კი, ეს ყველაფერი უკიდურესად მცირე რისკებითა და ხარჯებით მოახერხოს.

ამავე დროს, შესაძლოა ის ვარიანტიც, რომლის დროსაც ბარაკ ობამა დროს გაწელავს რუსეთთან საკითხის გადაწყვეტამდე, შემდეგ კი ამ პრობლემას „მემკვიდრეობით“ გადასცემს პრეზიდენტის თანამდებობაზე თავის მემკვიდრეს. ამ შემთხვევაში მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის კარდინალურ ძვრებს ადგილი არ ექნება, სულ მცირე, 2017 წლამდე, როდესაც მისი უფლებამოსილება იწურება.

**სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ობამას, სინამდვილეში, ორ მხარეს მოუწევს თამაში — გაატაროს აშშ-ის უშუალოდ სახელმწიფოებრივი ხაზი და ამავე დროს მხარი დაუჭიროს ევროპაში ნატოს პოზიციებს. და თუ პირველ საკითხში მან შეიძლება მისცეს კიდეც თავს უფლება სიტუაციის „გაყინვის“, მეორე შემთხვევაში გადაწყვეტილებას მხოლოდ იგი არ იღებს. დროში გაწელილი კრიზისის პირობებში ევროპის ქვეყნებიდან ნატოს წევრებმა, შესაძლოა, მასზე ზეწოლა მოახდინონ და უფრო აქტიური ქმედებებისკენ უბიძგონ კრიზისის გადაწყვეტის საქმეში.**

როგორც არ უნდა იყოს, თეთრი სახლისთვის, როგორც ჩანს, ობამას პრეზიდენტობის პერიოდში ყველაზე რთული ეტაპი დადგა, 2010-2011 წლის წარმატებების მონაცვლეობა ჩანაცვლდა საგარეო საფრთხეების ზრდით და პოლიტიკური კურსის რეალიზების სირთულეებით პრაქტიკულად ყველა მიმართულებით. ამ ვითარებაში თეთრ სახლს ან, პირდაპირი გაგებით, სასწაულის მოხდენა მოუწევს ან ბარაკ ობამა იქცევა ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად ეფექტურ და ნაკლებად წარმატებულ პრეზიდენტად ამერიკის უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში.

**interpolit.ru**

მოკლედ



## თალიბანის ბოევიკებმა 12 მშვიდობიან მოსახლეს თავი მოჰკვეთეს

**ავღანეთის აღმოსავლეთით, ღაზის პროვინციაში თალიბებმა 12 მშვიდობიან მოქალაქეს თავი მოკვეთეს.** უცხოური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თალიბების მსხვერპლი პოლიციელების ოჯახის წევრები გახდნენ. პროვინციის პოლიციელის — ასადულა ენსაფის განცხადებით, კვირის განმავლობაში თალიბებმა არჯისტანის რაიონში რამდენიმე სოფელზე განახორციელეს თავდასხმა. უცხოური მედიის ცნობით, ამ თავდასხმებს 80 ადამიანი ემსხვერპლა. ტერორისტებმა გადაწვეს 60-მდე საცხოვრებელი სახლი.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ძირითადად, როცა ადამიანს ახსენდება რაიმე სიტუაცია წარსულიდან, მას ასევე ახსენდება ისიც, თუ რას განიცდიდა იმ მომენტში. რა მოხდება მაშინ, თუ გაიხსენებთ მხოლოდ გრძნობას, მაგრამ ვერ შეძლებთ სიტუაციის გახსენებას? პასუხი მარტივია — ტვინი შეეცდება, დააკავშიროს ეს გრძნობა კონკრეტულ სიტუაციასთან...**

# ყველაფერი დეჟავუს შესახებ

**მდგომარეობა, როდესაც სხვადასხვა სრულიად ახალი სიტუაცია ან ადამიანი ჩვენთვის გარკვეულწილად ნაცნობი ხდება, მაგრამ არ ვიცით — საიდან ან როგორ. თითოეულ ჩვენგანს ჰქონია შეგრძნება, თითქოს რაღაც მოვლენები ჩვენს ცხოვრებაში პირველად არ ხდება. ხშირად გვითქვამს, ამ ადამიანს შევხვედრივარ ან მე აქ ვყოფილვარ. მეცნიერულად საკმაოდ რთულია ამ ფენომენის შესწავლა იმიტომ, რომ დეჟავუს პროცესს ლაბორატორიაში შეიძლება წლობით ელოდო და უშედეგოდ, მისი გაჩენა ხომ წამიერი და ყოველთვის მოულოდნელია.**





**დეჟავუ გამოწვეულია ტვინში მიმდინარე სხვადასხვა პროცესით, რომლებზეც პასუხისმგებელია აღქმისა და მეხსიერების უჯრედები**

**მიუხედავად იმისა, რომ პირველად ეს ტერმინი მე-19 საუკუნეში გამოიყენა ფრანგმა ფსიქოლოგმა ემილ ბუარაკმა საავტორო წიგნში „მომავლის ფსიქოლოგია“, დეჟავუს ფენომენი ამ დრომდეც ნაკლებად შესწავლილია. Deja vu (ფრანგული) უკვე** ნანახს **ნიშნავს. ამრიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებული ბოლო გამოკვლევებით დადგინდა, რომ დეჟავუს ეფექტის აღმოცენებაში პასუხისმგებელია თავის ტვინის გარკვეული უბანი — ჰიპოკამპი. სწორედ აქ არის განლაგებული ის სპეციალური ცილები, რომლებიც პასუხისმგებელია, რომ მომენტალურად გამოიცნონ რაღაც.**

დეჟავიუს მოვლენა არის მეხსიერების ცრუ გამოვლინებები — ტვინის მუშაობაში, უფრო სწორად, მისი განსაზღვრული უბნის მუშაობაში ხდება დარღვევები და იგი უცნობს ნაცნობად აღიქვამს. ცრუ მახსოვრობას ასაკობრივი პიკიც აქვს — 16-18 და 55-60 წლები. 16-18 წლის ასაკში დეჟავუ აიხსნება მოზარდობის ასაკში ემოციების მოზღვავებით, იმით, რომ მოზარდები გადაჭარბებულად აფასებენ მოვლენებს, მათ არ აქვს ცხოვრებისეული გამოცდილება. მეორე პიკი მოდის ასევე გარდატეხის ასაკზე — ეს უკვე ე. წ. საშუალო ასაკის კრიზისია, მაგრამ ამ ასაკში დეჟავუ ნოსტალგიის მომენტებია, ანუ წუხილია წარსულზე, სურვილია, დაბრუნდე 20 წლით უკან.

ამ ეფექტს შეიძლება მახსოვრობის ტყუილიც უწოდო, რადგან მოგონებები შეიძლება იყოს არა რეალური, არამედ სავარაუდო, წარსული წარმოდგენილი იყოს იდეალურ დროდ, როცა ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო.

ფსიქიატრები დეჟავუს ფსიქოლოგიურ დარღვევებს აწერენ მაშინ, როდესაც ის ძალიან ხშირია და ჰალუცინაციის ხასიათს ატარებს. სხვათა შორის, ტვინის ზოგიერთი დაავადების დროს, მაგალითად, ეპილეფსიისას, დეჟავუ ბევრად უფრო ხშირია, ვიდრე ჯანმრთელ ადამიანებში.

ერთი სიტყვით, დეჟავუ არის მახსოვრობის გარკვეული დარღვევა, რომელიც თავის ტვინში ბიოქომიურ ცვლილებებს უკავშირდება. მან შეიძლება დიდი უსიამოვნება არ მიაყენოს ადამიანს და მხოლოდ ხანმოკლე ემოციური დაძაბვა გამოიწვიოს.

ცნობილია, რომ დეჟავუ მხოლოდ 8-9 წლის ასაკიდანაა შესაძლებელი. ეს ფენომენი ძალიან ხშირია თინეიჯერებში და ასაკის მატებასთან ერთად ქრება, ამიტომ ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ ის დაკავშირებულია ტვინის განვითარების პროცესებთან.

როდესაც მხედველობით ინფორმაციას ვიღებთ, ვიცით, რომ ის იმპულსების მეშვეობით გადაეცემა ტვინის უკანა ნაწილს, რომელშიც მხედველობის ზონაა. იქ ხდება ჩვენ მიერ აღქმულის დამუშავება, მაგრამ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, თუ ტვინის კიდევ რა ნაწილში გადის მიღებული ინფორმაცია, სანამ მხედველობის არეს გადაეცემა, რადგან ეს შეიძლება იყოს პასუხი კითხვაზე, თუ რა არის დეჟავუ. **მხედველობითი ინფორმაცია გადაეცემა ტვინის სხვადასხვა ნაწილს, თუმცა ჩვენ ამას ვერ ვაცნობიერებთ. აღქმულ სურათებს ვაანალიზებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მხედველობის არეს მიაღწევენ, ამიტომაც ზოგიერთი სიტუაცია ჩვენთვის ნაცნობი ხდება, რადგან ის აღქმულია ტვინის სხვადასხვა ნაწილის მიერ, ჩვენმა ტვინმა ის აღიქვა გაუცნობიერებლად.**

**გამოდის, რომ** დეჟავუ არის ტვინის ბოროტი ხუმრობა და მეტი არაფერი.

მეცნიერები განიხილავენ, თუ როგორ მოქმედებს დეჟავუს ეფექტი ადამიანზე: წარმოიდგინეთ, რომ შემოდგომის დილაა და ქუჩაში მისეირნობთ. ამ დროს განიცდით ისეთ გრძნობას, რომელიც ადრე უკვე განგიცდიათ, შესაძლოა, ადრეული ბავშვობის ასაკში. ამას ტვინი შეჰყავს შეცდომაში და უჩენს იმის შეგრძნებას, რომ მას შეხვედრია ანალოგიური სიტუაცია (და არა ანალოგიური გრძნობა). თუ შეიგრძენით სურნელი, რომელიც შორეულ ბავშვობაში შეგიგრძნიათ, მაგრამ აღარ გახსოვთ, ამ დროს ტვინი უბრუნდება კარგა ხნის დავიწყებულ ინფორმაციას და სწორედ აქ იწყება ფოკუზი: ჩერდებით, გაოცებისაგან თვალები გიფართოვდებათ და ფიქრობთ: „კი, მაგრამ, მე უკვე ვყოფილვარ ამ სიტუაციაში!“....

ტვინი ამა თუ იმ სიტუაციას იმახსოვრებს სწორედ ამ სიტუაციაში განცდილი გრძნობის წყალობით. რაც უფრო დამძაბველი, საშიში ან პირიქით — სასიხარულოა სიტუაცია, მით მეტად გამახსოვრდებათ იგი. ტვინი ხსენებული გრძნობების მძაფრად განცდისას გამოყოფს ნივთიერებას, რომელიც ხელს უწყობს ამა თუ იმ სიტუაციის უკეთ დამახსოვრებას. **ძირითადად, როცა ადამიანს ახსენდება რაიმე სიტუაცია წარსულიდან, მას ასევე ახსენდება ისიც, თუ რას განიცდიდა იმ მომენტში. რა მოხდება მაშინ, თუ გაიხსენებთ მხოლოდ გრძნობას, მაგრამ ვერ შეძლებთ სიტუაციის გახსენებას? პასუხი მარტივია – ტვინი შეეცდება, დააკავშიროს ეს გრძნობა კონკრეტულ სიტუაციასთან და, თუ ვერ შეძლებს, გაიხსენოს, როდის განიცადეთ ეს გრძნობა, შესაძლოა, ამჟამინდელ სიტუაციასთან დააკავშიროს. და დეჟავუც ესაა. ის სრულიად ლოგიკური და ბუნებრივი მოვლენაა. ტვინის მოტყუება არც თუ ისე ძნელია. ამაში დასარწმუნებლად შეხედეთ რომელიმე ოპტიკურ ილუზიას.** დეჟავუ ჩვენი ტვინის მოტყუების ერთ-ერთი რიგითი საშუალებაა.

დეჟავუს დროს ადამიანი დარწმუნებულია, ეს ფაქტი, რომელიც თითქოს მეორდება, სინამდვილეში არასოდეს მომხდარა, მაგრამ შეგრძნება წარსულში კონკრეტული მომენტის ხილვისა მაინც არ ტოვებს. როგორც წესი, ადამიანი ასეთ მომენტში გაურკვევლობაში ვარდება, რადგან, რაც ყველაზე საოცარი და აუხსნელია, დეტალური სიზუსტით იცის, რა მოხდება შემდგომ რამდენიმე წამში.

არის შემთხვევები, როდესაც დეჟავუ იმდენად ძლიერ ემოციებს იწვევს, რომ რამდენიმე წლით ადამიანის გონებას შოკურ მდგომარეობაში ტოვებს. გამოკვლევებმა აჩვენა რომ, დეჟავუს ფენომენი ძალიან გავრცელებულია. ადამიანთა 97%-ს ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია ეს ამოუხსნელი გრძნობა. ფსიქიატრები ირწმუნებიან, რომ დეჟავუს ხშირი განცდა ადამიანის ფსიქიკურ გაუწონასწორებლობას იწვევს.

**ერთადერთი, რაშიც მკვლევარები ერთხმად თანხმდებიან, არის ის, რომ დეჟავუ გამოწვეულია ტვინში მიმდინარე სხვადასხვა პროცესით, რომლებზეც პასუხისმგებელია აღქმისა და მეხსიერების უჯრედები.**

**კონკრეტულ მიზეზებად სპეციალისტები კიდევ რამდენიმე ვერსიას ასახელებენ. ფსიქოლოგთა ერთი ნაწილის აზრით, დეჟავუ არის „მოგონებები აწმყოზე“. ამ მომენტში ადამიანი რეალობას ცხადად აღიქვამს, უბრალოდ, გარკვეულწილად გონებრივად გადააქვს წარსულში.** დეჟავუს გამომწვევი მიზეზი, შესაძლოა, სიზმრებიც იყოს.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის ცხოვრებაში არის მომენტები, როდესაც რეალურად ხდება ფაქტი, რაზეც მას წინასწარ უფიქრია, გონებას კი ეს სიტუაცია კადრებად აქვს შენახული. ფსიქიკა ამ დროს ვერ აღიდგენს წარსულს და ვარდება გაურკვევლობასა და ემოციაში, რაც დეჟავუს თანმომყოლია.

**აღსანიშნავია, რომ არსებობს საპირისპირო ემოციაც, რომელსაც ჟამევუ უწოდეს ფსიქოლოგებმა.** ჟამევუს დროს ადამიანს ეუფლება უცნაური განცდა — მისთვის ჩვეულ, ნაცნობ ადგილას იგი თავს უცხოდ გრძნობს და ფიქრობს, თითქოს პირველად იყოს ამ კონკრეტულ სიტუაციაში.

ზოგი მეცნიერი ირწმუნება, რომ დეჟავუ მეხსიერების ერთგვარი გადამუშავებაა. ნებისმიერი ახალი შეგრძნება თუ ამბავი, რომელსაც ვიგებთ, პირდაპირ ტვინის იმ ნაწილში გადაიცემა, რომელიც ხანგრძლივი გადამუშავების პროცესს გადის. როდესაც ეს ხდება, ინფორმაცია ძველდება და მას კარგად ნაცნობად აღვიქვამთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს კონკრეტული ფაქტი მანამდე არსად გაგვიგია და სიახლეს წარმოადგენს.

**არსებობს დეჟავუს სამი ძირითადი ტიპი:** დეჟავუ — **ის, რაც უკვე გინახავთ,** დეჟა სანტი — **ის, რაც უკვე გიგრძვნიათ და** დეჟა ვიზიტი — **რომ აქ უკვე ყოფილხართ.**

მეცნიერები, ალბათ, დიდი ხნის წინათ დაიბანდნენ ხელს ამ ფენომენისგან და მის გამომცდელებს გიჟებად გამოაცხადებდნენ, მაგრამ ეს შეუძლებელია — დეჟავუ თითქმის ყველა ადამიანს აქვს განცდილი. ზოგიერთი მეცნიერი იმასაც ამბობს, რომ დეჟავუს დროს ჩვენ პარალელურ და პორტალურ სამყაროში გავდივართ, ზოგიც ალტერნატიულ რეალობაზე საუბრობს.

უბრალო სიტყვებით რომ ვთქვათ, ალტერნატიული რეალობა არის რეალობა, რომელიც შეიძლებოდა მომხდარიყო და რომელიც განსხვავებული იქნებოდა ამჟამინდელი მდგომარეობისგან. ის გარკვეულწილად დაკავშირებულია პარალელური სამყაროების თეორიასთან, რომელიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. პარალელური სამყაროების სისტემის მუშაობის მარტივად გასაგებად კამათელის მაგალითიც მოჰყავთ ხოლმე. კამათელის გაგორებისას თუ აქ დაჯდა მისი რომელიმე ციფრი, მაგალითად ექვსი, პარალელურ სამყაროებში აუცილებლად დაჯდება სხვა ციფრები – ისინი, რომლებიც აქ ვერ მოხვდა.

ცნობილია, რომ პარალელურ სამყაროებს უკავშირებენ გემებისა და თვითმფრინავების გაუჩინარებას, ბერმუდის სამკუთხედში მომხდარ ამბებს და სხვა უცნაურ ისტორიებს.

ამ თეორიების მიმდევარნი ირწმუნებიან, რომ, როცა პარალელური ცხოვრება ნამდვილ ცხოვრებას დაემთხვევა, მაშინ ჩნდება დეჟავუც, რადგან რაღაც, რაც პარალელურ სამყაროში უკვე იყო, ახლა ამ სამყაროში მეორდება.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## კოსმოსში სპირტის ღრუბელი აღმოაჩინეს

**ამერიკული ობსერვატორიის მეცნიერებმა კოსმოსში მეთილის სპირტის გიგანტური ღრუბელი აღმოაჩინეს. მისი ფართობი 463 მილიარდ კილომეტრს უდრის და იგი ცენტრალური ვარსკვლავის გარშემო ტრიალებს.**

სპირტის ღრუბლის შესწავლა მეცნიერებს საშუალებას მისცემს, უკეთ გაიგონ, როგორ შეიქმნა ჩვენს გალაქტიკაში ყველაზე დიდი ვარსკვლავები. სპირტის ღრუბელი მეცნიერებმა შემთხვევით აღმოაჩინეს, როდესაც გალაქტიკის ერთ-ერთ რეგიონს იკვლევდნენ. იქ ვარსკვლავები გაზის ღრუბლებისა და მტვრის გრავიტაციული კოლაფსის შედეგად წარმოიქმნება.

# მამამ ვიდეოთამაშებით გატაცებული შვილები ნამდვილ ომში წაიყვანა

**შვედმა ჟურნალისტმა გადაწყვიტა, ომის თემაზე შექმნილი ვიდეოთამაშებით გატაცებული შვილებისთვის ეჩვენებინა, თუ რა არის ნამდვილი ომი. მან ისინი წაიყვანა სირიაში და ისრაელში, რათა მათთვის ეჩვენებინა საშინელი რეალობა, რომელიც ომით გადანგურებულ რეგიონებში სუფევს და გაეგებინებინა მათთვის, რისთვის არსებობს ნამდვილი იარაღი. მოგზაურობა 10 დღეს გაგრძელდა და, როდესაც ვაჟები მოგზაურობიდან დაბრუნდნენ, სრულიად შეიცვალნენ.**



ამ „გასეირნების“ იდეა წარმოიშვა სასადილო მაგიდასთან შარშან, როდესაც 11 წლის ლეო და 10 წლის ფრენკი ემუდარებოდნენ მამას, კარლ მაგნუს ჰელგეგრენს, ეყიდა მათთვის Call of Duty-ს ბოლო ნაწილი. შეძრწუნებულმა მამამ მათთან ასეთი გარიგება დადო — წაიყვანდა მათ საომარი მოქმედებების ზონაში და იქ ნანახისა და განცდილის შემდეგ, ნებისმიერ თამაშს უყიდდა.

**„მე მინდოდა, მათთვის მეჩვენებინა ომის ნეგატიური შედეგები, რომლებიც მაშინ ჩნდება, როდესაც იარაღი ჩუმდება“,** — თქვა ჰელგეგრენმა.

ბიჭების დედამ — ელიზამ არც ისე დიდი სიხარულით დაუჭირა მხარი მამის წამოწყებას, რადგან ბიჭებზე ნერვიულობდა. მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, მათთან ერთად წასულიყო. ჰელგეგრენს, რომელიც ჟურნალისტად ახლო აღმოსავლეთში მუშაობდა, თავდაპირველად სურდა, ერაყში ან ავღანეთში გამგზავრება, მაგრამ შემდგომ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იქ ძალიან სახიფათოა, ამიტომაც არჩევანი შეაჩერა „ყველაზე ახლო ომზე, რომელთანაც მიღწევა ტურისტული მგზავრობისას შეიძლება“. ოთხი ადამიანისგან შემდგარმა ოჯახმა მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო 10-დღიანი ტური ისრაელიდან სირიის ოკუპირებულ ნაწილებამდე. მათი პირველი გაჩერება იყო იერუსალიმი, სადაც ისინი გაჩერდნენ ერთ ებრაულ ოჯახში. ასე, რომ ბიჭებს შეექმნათ გარკვეული წარმოდგენა ადგილობრივი კულტურის შესახებაც.

10 დღის შემდეგ ბიჭები შვედეთში დაბრუნდნენ ჯანმრთელები და უვნებლები და გაკვეთილიც კარგად ჰქონდათ ნასწავლი. პირველად მათ შეატყობინეს მამას, რომ არ აინტერესებთ თამაშები. თამაშების ნაცვლად მათ ინტერესი გაეზარდათ სირიასა და ისრაელში მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციებისადმი.



# კონცერტი ტვინზე ოპერაციის დროს

**ლიტველმა მევიოლინე ნაომი ელიშუვმა, რომელიც პარკინსონის დაავადებით, ოცი წელია, იტანჯება, წარმატებით გადაიტანა სერიოზული ოპერაცია, რომელიც ისრაელის ერთ-ერთ საავადმყოფოში ჩატარდა.**

სანამ ქირურგები ქალს ტვინის ელექტროსიმულატორის იმპლანტაციას უკეთებდნენ, პაციენტი გონზე იყო და ვიოლინოზე უკრავდა მოცარტისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს.

**„სიმულატორის დასაყენებლად პაციენტის აქტიური მხარდაჭერა იყო საჭირო, ამიტომ ჩვენ ვთხოვეთ მას, დაეკრა ვიოლინოზე. როდესაც ელექტროდი საჭირო ადგილას გავააქტიურეთ, ელიშუვმა მოცარტის შესრულება უფრო დიდი ენთუზიაზმით დაიწყო და კანკალიც აღარ უშლიდა ხელს“,** — ამბობს საავადმყოფოს წამყვანი ნეიროქირურგი იცხაკ ფრიდი.

უჩვეულო ოპერაციის ვიდეოჩანაწერი ინტერნეტპორტალ „იუთუბზე“ განთავსდა. ვიდეოს დასაწყისში გვიჩვენებენ ელიშუვს, რომელიც ვიოლინოზე ოპერაციამდე ერთი დღით ადრე უკრავს. კარგად ჩანს, რომ მას ხელები უკანკალებს. შემდეგ ქალბატონი უკვე საქმეში ჩართული ქირურგების ფონზე უკრავს. თავიდან მას ძველებურად უკანკალებს ხელები, თუმცა მოგვიანებით, ელექტროდის შეყვანის შემდეგ, ხელების მოძრაობა რეგულირდება.

# 2041 წლისთვის, შესაძლოა, რელიგიები გაქრეს



**ცნობილმა ირლანდიელმა ფსიქოლოგმა ნაიჯელ ბარბერმა ჩაატარა კვლევა, რომელიც იმაზე მიანიშნებს, რომ 2041 წლისთვის რელიგიის მიმდევარი ხალხები უმცირესობაში აღმოჩნდებიან. ბარბერმა შეისწავლა ხალხის რელიგიური რწმენა მსოფლიოს 137 ქვეყანაში და გამოარკვია, რომ განვითარებულ რეგიონებში, სადაც მოსახლეობა უფრო შემდგარია, მრავლად არიან ათეიზმისკენ მიდრეკილი ადამიანები. თავისი დასკვნების მიხედვით, ფსიქოლოგმა დაწერა წიგნი „რატომ შეცვლის ათეიზმი რელიგიას“.**

Psychology Today-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ექიმი ამბობს, რომ ქვეყნების უმეტესობას დასჭირდება დრო, რომ მიაღწონ იმ საზოგადოების განვითარების დონეს, რომელშიც მოქალაქეები არ თვლიან, რომ ღმერთი ან სხვა მაღალი ძალები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს მათ ცხოვრებაში. თავის გამოთვლებში ნაიჯელმა გამოიყენა მთლიანი შიდა პროდუქტის დონე, საშუალო ფასები ქვეყნების მიხედვით და ეგრეთ წოდებული ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი – ცხოვრების დონის ინტეგრალური მაჩვენებელი, განათლება, წერა-კითხვის ცოდნა, შემოსავლები.

მეცნიერის ვარაუდით, ამ დონეს ქვეყნები მიაღწევენ 2041 წლისთვის, ათეისტები კონცენტრირებულნი იქნებიან ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებზე, ხოლო რელიგიის როლი უკან დაიხევს. რაც უფრო მაღალია კომფორტის დონე, მით უფრო ნაკლებრელიგიური ხდება საზოგადოება, ამტკიცებს ბარბერი და მაგალითისთვის მოჰყავს საზოგადოების განვითარება იაპონიასა და შვეიცარიაში. მისი თქმით, რელიგიის მნიშვნელობა იქნება მხოლოდ ის, რომ ის ზემოქმედებას მოახდენს ადამიანის ემოციებზე და „გასცემს მშვიდობას“.

ბარბერმა შეადარა ოფიციალური რელიგიები გადაშენებულ ფრინველებს და განაცხადა, რომ მათ ადგილს სულ უფრო აქტიურად იკავებს სპორტი და გართობა.

მან, ასევე, გააქარწყლა იდეა, რომ რელიგიურ ოჯახებს აქვთ უპირატესობები, რადგან ისინი არიან მრავალშვილიანები: „როდესაც საერთო კეთილდღეობა და ცხოვრების დონე აიწევს, რელიგიური ჯგუფები აღმოჩნდებიან უმცირესობაში და დასუსტდებიან, ხოლო ქალები დიდ დროს გამოუყოფენ კარიერას და არა ბავშვების გაჩენას და გაზრდას, მიუხედავად მათი რელიგიური მიმდევრობისა“.



# მეცნიერებმა წარმოუდგენელი შესაძლებლობების მქონე არსება აღმოაჩინეს

**პრინსტონის უნივერსიტეტში მკვლევარებმა აღმოაჩინეს უნიკალური ერთუჯრედიანი ორგანიზმი, რომელსაც საკუთარი გენების მთლიანად განადგურება და გარდაქმნა შეუძლია.**

Oxytricha trifallax, რომელიც მტკნარ წყლებში ბინადრობს, შეიცავს დნმ-ის თითქმის მეოთხედ მილიონ საწყისებს, რომლებიც შეჯვარების დროს გადაწყობის რეჟიმში გადადის. ამასთან, მიკროორგანიზმის გენი ინახება ცალკეული გენეტიკური ერთეულის ფორმაში.

შეჯვარების შემდეგ ერთუჯრედიანი ორგანიზმი ახალი დნმ-ის კომბინაციას იძენს, რომელიც 225 000 უწვრილესი ძაფისგან შედგება. აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ნახევარი დღის განმავლობაში ხდება. ამასთან, ორგანიზმი იყენებს შეჯვარების პროცესს მხოლოდ იმისთვის, რომ გენეტიკური ინფორმაციის გაცვლა მოახდინოს და არა თვითგამრავლებისთვის. ერთად ორივე უჯრედი აშენებენ ახალ სამუშაო ბირთვებს განახლებული ტევადობის ქრომოსომებით.

**„ორგანიზმის უნარი, დაშალოს და მალევე შეაგროვოს თავის საკუთრი გენები, არის საოცრად რთული რამ ნებისმიერი ცოცხალი ფორმისთვის. ის, რომ ასეთი უნარი დედამიწაზე ერთ-ერთ ყველაზე მარტივ ორგანიზმს გააჩნია, მხოლოდ ხაზს უსვამს სიცოცხლის რეალურ მრავალფეროვნებას ჩვენს პლანეტაზე“,** — ამბობს პრინსტონის უნივერსიტეტის ეკოლოგიისა და ევოლუციური ბიოლოგიის პროფესორი, კვლევის წამყვანი ავტორი ლორა ლენდვებერი.

# ჰიგიენური საფენები ფეხსაცმლისთვის



**ჰიგიენური საფენი ფეხსაცმელში იდება, რათა არასასურველი სუნის წარმოქმნას შეუშალოს ხელი და ის მისწრებაა მამაკაცებისთვის.**

მამაკაცის ჰიგიენური პაკეტის შემქმნელი ლი იუანხაო ახალ პროდუქტს Cuncines უნივერსიტეტში, თანაკურსელებს შორის ავრცელებს. გაყიდვების დაწყებიდან პირველ ორ დღეში იდეის ავტორმა მოახერხა 600 იუანის გამომუშავება, რაც დაახლოებით 98 ამერიკული დოლარია. პაკეტების ძირითადი მყიდველები უნივერსიტეტის პირველკურსელი სტუდენტები გახდნენ, რომლებიც ვალდებულნი არიან, სავალდებულო საომარი მომზადება გაიარონ. ვარჯიშის დროს სტუდენტების ფეხები ძალიან უოფლიანდებათ. არასასიამოვნო სუნის გასაქრობად ქალის ჰიგიენური საფენის გამოყენება ჩინელ სტუდენტებში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა, თუმცა ზოგ მათგანს რცხვენია სუპერმარკეტებში მათი შეძენა.

ლი იუნხაომ საკუთარი ბიზნესი ჯერ კიდევ 2013 წელს დაიწყო. გასულ წელს მან დიდი რაოდენობით ქალის პაკეტები შეიძინა და მათთვის ახალი შეფუთვა მოიფიქრა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ტრანსსასაზღვრო პარკი ლიმპოპო

გამუდმებით მზარდი ეს პარკი მოიცავს მოზამბიკის, სამხრეთ აფრიკისა და ზიმბაბვეს ტერიტორიას და შედგება 10 სხვადასხვა ეროვნული პარკისგან. აქ ბინადრობენ აფრიკული სპილოები, ლეოპარდები, ჟირაფები, აფთრები და სხვ.

# ყველაზე დიდი ნაკრძალები



## დიდი ბარიერული რიფის ნაკრძალი – საზღვაო პარკი (Marine Park)

ბარიერული რიფის სიღრმეში წყალქვეშა სამყაროს დიდი მრავალფეროვნებაა. ეს სახლია ზღვის ეგზოტიკურ ბინადართათვის.

დიდი ბარიერული რიფი წარმოადგენს მარჯნის რიფებისა და კუნძულების უზარმაზარ ჯაჭვს წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, მის შემადგენლობაში 2 900 ინდივიდუალური რიფი და 900 კუნძულია; ის მარჯნის ზღვაში მდებარეობს, ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ბარიერული რიფი აღიარებულია, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სისტემა, სადაც ცოცხალი ორგანიზმების მრავალფეროვნებაა. რიფი შედგება მილიონობით პატარა ორგანიზმისგან და ცნობილია, როგორც მარჯნის პოლიპები.

აქ შეხვდებით ენდემურ მცენარეებსაც და, რაგინდ გასაკვირვიც არ უნდა იყოს, აქ ბინადრობს 30 სახეობის ვეშაპი, დელფინისა და თევზის ასობით სახეობა. ბარიერულ რიფზე თევზაობა დაშვებულია, მაგრამ მთავრობის მკაცრი კონტროლის ქვეშ.

დიდ ბარიერულ რიფს წელიწადში მილიარდამდე დამთვალიერებელი სტუმრობს, ალბათ, არცაა გასაკვირი, რომ ეს ადგილი საოცრად იზიდავს ტურისტებს.



## ნაკრძალი – Air & Tenere

ეს ნაკრძალი, რომელიც მდებარეობს ნიგერიის სახელმწიფოში, შედის იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

ნაკრძალი, რომლის უდიდესი ნაწილი უკავია მთა Air-ს და დასავლეთით კი უდაბნო Tenere-ს, აერთიანებს ორ დაპირისპირებულ ბუნებრივ ზონას.





## ჩრდილო-აღმოსავლეთ გრენლანდიის ეროვნული პარკი

ამ პარკის ტერიტორია მოიცავს გრელანდიის მთელ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს და ითვლება ყველაზე დიდ პარკად მსოფლიოში, რომლის ბინადართა შორის შეგიძლიათ ნახოთ თეთრი დათვები, ლომვეშაპები, თეთრი ბუები, თეთრი მელა და მრავალი სახეობის პოლარული ცხოველი.



## კუნძულ ფენიქსის ნაკრძალი

ფენიქსის ნაკრძალი მდებარეობს კირიბატის რესპუბლიკაში; რესპუბლიკა კირიბატი არის წყნარი ოკეანის სახელმწიფო მიკრონეზიაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება მარშალის კუნძულებისა და მიკრონეზიის ფედერაციული შტატების ტერიტორიულ წყლებს, სამხრეთით ესაზღვრება ტოკელაუს წყლებს, კუკის კუნძულებს და საფრანგეთის პოლინეზიას. კირიბატის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის 33 მცირე ატოლი, რომელთაგან 20 დაუსახლებელია, ხოლო მისი დედაქალაქია სამხრეთი ტარავა.

ამ საზღვაო ნაკრძალის ტერიტორია ყველაზე დიდია წყნარ ოკეანეში და ასევე ყველაზე ღრმაა მთელ მსოფლიოში.



## გალაპაგოსის საზღვაო ნაკრძალი

არქიპელაგი გალაპაგოსი არის კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში, რომელიც მდებარეობს ეკვადორის სანაპიროს დასავლეთით.

ეს არის ველური ბუნების მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდებული ნაკრძალი, ხოლო სიდიდით — მეორე.

კლდოვანი კუნძული თავისი მარილიანი ლაგუნით ხელს უწყობს ფლამინგოების გუნდის თავშეყრას. აქ ასევე შეგხვდებათ ლურჯტერფა ბუბი. ეს განსხვავებული აპკიანი ფეხი ეკუთვნის გალაპაგოსის კუნძულების მობინადრეს.



## საზღვაო ნაკრძალი ჩაგოსი

ჩაგოსი არის არქიპელაგი ინდოეთის ოკეანეში, დიდი ბრიტანეთის სამფლობელო. ნაკრძალი მოიცავს ინდოეთის ოკეანეში ბრიტანეთის ტერიტორიის ნაწილს და ითვლება უდიდეს საზღვაო ნაკრძალად ჩვენს პლანეტაზე. მისი ფართობი მეტია, ვიდრე საფრანგეთის ტერიტორია. ნაკრძალი მდებარეობს მალდივის კუნძულებიდან სამხრეთით 500 კილომეტრში.



## პაპაჰანაუმოკუაკეი

ჰავაის ნაკრძალის ეს ტერიტორია ითვლება პაპაჰანაუმოკუაკეის ზღვის ეროვნულ მონუმენტად — აშშ-ის ეროვნულ ძეგლად. ის წარმოადგენს 10 პატარა კუნძულისა და ატოლის ერთობლიობას, რომლებიც მდებარეობენ წყნარ ოკეანეში, ჰავაის კუნძულების ჩრდილო-დასავლეთ გაგრძელებაზე.



## Kavango-Zambezi -ის ტრანსსასაზღვრო ნაკრძალი

ეს დაცული ტერიტორია მოიცავს მიწებს ანგოლაში, ბოტსვანაში, ნამიბიასა და ზიმბაბვეში.

ნაკრძალი დაყოფილია რამდენიმე პატარა ზონად, როგორიცაა Chobe, Victoria Falls და Hwange-ის ეროვნული პარკები.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 21 წლის გოგონამ მესამე ძუძუ მიიკერა

**ფლორიდელმა გოგონამ 20 000 დოლარი დახარჯა, რათა მესამე ძუძუ მიეკერებინა.**

საკუთარი ქცევა 21 წლის ჟასმინ ტრიდევილმა იმით ახსნა, რომ სურდა, მამაკაცებისთვის ნაკლებ მიმზიდველი ყოფილიყო, გარდა ამისა, მას სურს, რეალითი შოუს ვარსკვლავად იქცეს. ჟასმინი ამბობს, რომ 50-ზე მეტმა ექიმმა უარი უთხრა ოპერაციაზე, მაგრამ ის არ დანებდა და მიაღწია სასურველ შედეგს. ახლა გოგონამ ოპერატორი დაიქირავა, რომელიც მას ყოველთვის თან დაჰყვება და უღებს.





## სამბურუს ეროვნული ნაკრძალი

სამბურუს ეროვნული ნაკრძალი ძალიან მშვიდობიანი ეროვნული პარკია ჩრდილოეთ კენიაში. აქ შეგიძლიათ იხილოთ სამივე დიდი კატა: ლომი, გეპარდი და ლეოპარდი. ასევე ნახავთ სპილოებს, კამეჩებს და ჰიპოპოტამებს. მდინარე უასო ნიროში ბინადრობენ ნილოსის ნიანგები.



## ეროვნული პარკი «St Elias»

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული პარკი „St Elias“, რომელიც მდებარეობს ალიასკის სამხრეთ ნაწილში, შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

ეს არის ყველაზე დიდი ეროვნული პარკი ამერიკის შეერთებულ შტატებში. მის ტერიტორიაზე თავისუფლად განთავსდება ამერიკის 9 შტატი. აქ მდებარეობს კანადასა და ამერიკაში სიმაღლით მეორე მთა, ასევე, აქ მდებარეობს აშშ-ის 16-იდან 9 ყველაზე მაღალი მწვერვალი.



## მასაი მარას ეროვნული ნაკრძალი

მასაი მარას ეროვნული ნაკრძალი კენიის ყველაზე პოპულარული პარკია. ყოველ წელს პარკს სტუმრობს ათასობით ტურისტი, რომლებიც აქ მოდიან ზებრებისა და ანტილოპების წლიური მიგრაციის საყურებლად. „დიდი მიგრაცია“ ყოველწლიურად „ტარდება“ ივლისიდან ოქტომბრამდე, როდესაც მილიონობით ანტილოპა და ზებრა ბრუნდება სერენგეტიდან, ტანზანიიდან.



## სასწაულები, რომლებიც სამყაროს შეცვლის

**რა გველის უახლოესი ათი წლის განმავლობაში? — ეს შეკითხვა გაუჩნდა ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალ Popular Science-ს და თავადვე გასცა პასუხი. მან ჩამოთვალა ის აღმოჩენები, რომლებიც ათი წლის შემდეგ შეცვლის ცოცხალი არსებების ცხოვრებას.**



პირველი ყველაზე დიდი სიახლე იქნება სადგური, რომელსაც რობოტები მთვარეზე რობოტებისთვის ააგებენ. ამ პროექტს იაპონია განახორციელებს, თუმცა მიწისძვრისა და ცუნამის გამო დიდი დრო დასჭირდება. პროექტი უკვე დაპროგრამებულია და არ არსებობს სხვა ქვეყანა, რომელიც ასეთი რთული სამუშაოს ბოლომდე მიყვანას შეძლებს.

მეორე მსხვილი პროექტი, რომელიც 2020 წელს გამოჩნდება, გახდება მაღალსიჩქარიანი სარკინიგზო ხაზი, რომელიც ლონდონსა და პეკინს დააკავშირებს. ის 17 ქვეყანაზე გაივლის და ევროპასა და აზიას გააერთიანებს.

ასევე უნდა განხორციელდეს ორი ამბიციური პროექტი: ავტომანქანები ავტომატური პილოტებით და მფრინავი ავტო, რომლის შემუშავებითაც ამერიკის თავდაცვის სამინისტრო არის დაკავებული.

გარდა ამისა, 2020 წლისთვის ადამიანის ტვინი იმპლანტირებული მიკროჩიპების დახმარებით ტელევიზიის, სმარტფონებისა და კომპიუტერების მართვას შეძლებს, ყველა ეკრანი აღიჭურვება ორგანული სინათლის დიოდებით, კოსმოსში გაფრენა რეალობად იქცევა შეძლებული ადამიანებისთვის, გარდა ამისა, ამერიკელი მეცნიერების მტკიცებით, დაახლოებით ამავე პერიოდისთვის შესაძლებელი გახდება ხელოვნური ტვინის შექმნა, რომელიც ისევე შეძლებს იდეების გამომუშავებას, როგორც ადამიანის ტვინი.



## პატიმრობა ხმამაღალი წირვისთვის



**ამერიკულმა სასამართლომ მღვდელს ორი კვირით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ამის მიზეზი ზედმეტად ხმამაღალი წირვა გახდა.** გავრცელებული ინფორმაციით, სასულიერო პირი ეკლესიაში სპეციალურ ეფექტებს იყენებდა, რის გამოც მისი ხმა მთელ არემარეს ესმოდა. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები ორი წლის გამავლობაში უჩიოდნენ ხმაურს. ამ დროის განმავლობაში პოლიციელებს ეკლესიაში მისვლა 100-ზე მეტჯერ მოუხადათ, თუმცა ამაოდ. აქამდე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო ეკლესიის მესვეურები მხოლოდ ჯარიმას იხდიდნენ.

## მამაკაცს ქალზე ხუთი წუთით მეტი ძილი სჭირდება




**ფინეთში მეცნიერებმა, როგორც იქნა, გაარკვიეს, როგორ უნდა იცხოვროთ დიდხანს და ბედნიერად საკუთარ მეუღლესთან ერთად. მამაკაცს ამისთვის მხოლოდ 5 წუთით მეტი ძილი სჭირდება, ვიდრე ქალს. კვლევა ფინეთის მედიცინის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს. კვლევის ფარგლებში, ძილის ოპტიმალური დროის დასადგენად, ჩატარდა გამოკითხვა 1875 ქალსა და 1885 კაცს შორის, რომელთა ასაკიც 30 წელს აღემატებოდა.**

შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ ძილისთვის ოპტიმალური დრო, რომლის შემდეგაც მამაკაცი თავს მხნედ გრძნობს, 7 საათი და 42 წუთია. ქალებს კი 5 წუთით ნაკლები ძილი ესაჭიროებათ. **მათი ოპტიმალური ძილის დრო 7 საათი და 28 წუთია, — წერენ გამოკვლევის შედეგების შესახებ.**

**გარდა ამისა, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ** ადამიანები, როლებსაც 7-8 საათი ძინავთ დღეში, უფრო იშვიათად ავადდებიან, ვიდრე ისინი, ვისაც 5 საათზე ნაკლები ან 10 საათზე მეტი სძინავს.

**„საერთოდ, ნებისმიერი ადამიანისთვის ძილის საკითხი ინდივიდუალური რამაა, ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი ოპტიმალური ძილის დრო აღმოაჩინო. რა თქმა უნდა, არ ღირს საკუთარი საწოლით ბოროტად სარგებლობა, რადგან მუდმივი გამოუძინებლობა ან ზედმეტი ძილი ნეგატიურად მოქმედებს ტვინის მუშაობაზე“,** — აცხადებენ ფინელი სპეციალისტები.





## ქალი საკუთარ კარიკატურად იქცა

**30 წლის ბრიტანელმა კრისტინა ბატელმა პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, რათა 15 წლის წინათ დახატულ თავის კარიკატურას დამსგავსებოდა.** „როდესაც პირველად ვნახე კარიკატურა, ძალიან შემშურდა. ნახატზე გამოსახული ქალი დიდებული იყო. ძალიან მინდოდა, მისნაირი ვყოფილიყავი“, — ამბობს კრისტინა.

17 წლიდან მოყოლებული ბატელს მკერდის გასადიდებელი ხუთი ოპერაცია, ბოტოქსი, კბილების გათეთრება და ნახევრად პერმანენტული მაკიაჟი აქვს გაკეთებული. მან 150 000 დოლარზე მეტი დახარჯა იმისთვის, რომ ანიმაციურ კარიკატურას დამსგავსებოდა.

# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის 163-ე სეზონს საპატიო დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი გახსნის

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა, მისი სამხატვრო ხელმძღვანელის — დავით კინწურაშვილის ინიციატივითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, საპატიო დირიჟორის სტატუსის მინიჭების პრეცედენტი დაამკვიდრა, რაც აპრობირებულია მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრსა და საშემსრულებლო კოლექტივში. საპატიო დირიჟორის სტატუსთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება თეატრს საშუალებას მისცემს, მთავარი დირიჟორის პარალელურად, ჰყავდეს გამორჩეული შემოქმედებითი პოტენციალისა და უდიდესი გამოცდილების მქონე მოწვეული დირიჟორი, რომლის დამსახურება თეატრის წინაშე სათანადოდ იქნება წარმოჩენილი**



ზაზა აზმაიფარაშვილი უდავოდ იმსახურებს საპატიო დირიჟორის სტატუსს, რამდენადაც შესანიშნავი შემოქმედებითი ბიოგრაფიის გარდა მას ნამდვილად დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წინაშე, ის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟრი იყო 2004-2009 წლებში. ამ პერიოდში მან იდირიჟორა ძალზე პრესტიჟული სპექტაკლები და გალა-კონცერტები მსოფლიოს ვარსკვლავების მონაწილეობით და ასევე უდიდესი წარმატებით წარუძღვა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

**თეატრის დღევანდელი რეპერტუარის მნიშვნელოვან ნაწილს (ვერდის „აიდა“, „ატილა“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „ნაბუკო“, „დონ კარლოსი“, ლეონკავალოს „ჯამბაზები“, თაქთაქიშვილის „მინდია“ და ა. შ.), სწორედ ზაზა აზმაიფარაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლები წარმოადგენს.**

საპატიო დირიჟორის შემოქმედებითი პოზიცია თეატრის წინსვლისა და შემოქმედებითი რენომეს ამაღლების კიდევ ერთი მძლავრი გარანტორი იქნება.

და აი, 8 ოქტომბერს, 19 საათზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში თბილისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის 163-ე სეზონი გალა-კონცერტით გაიხსნება, რომელსაც თეატრის საპატიო დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი წარუძღვება.

გალა-კონცერტზე იმღერებენ თეატრის სოლისტები: ირინე ალექსიძე, მაყვალა ასპანიძე, თეა დემურიშვილი, ირინე თაბორიძე, მანანა იორდანიშვილი, მარიკა მაჩიტიძე, ელენა პუტილოვა, ირინე რატიანი, მარიამ ქობალიანი, ნინო ჩაჩუა, ხათუნა ჭოხონელიძე, თათია ჯიბლაძე, სალომე ჯიქია, ელდარ გეწაძე, სულხან გველესიანი, არმაზ დარაშვილი, გოჩა დათუსანი-ჯილაური, კახაბერ თეთვაძე, ლევგი იმედაშვილი, ნიკოლოზ ლაგვილავა, გია მახარაძე, ირაკლი მურჯიკნელი, თამაზ საგინაძე, ტარიელ ჭიჭინაძე, ზაალ ხელაია.

გალა-კონცერტში მონაწილეობს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი და ორკესტრი.

**გალა-კონცერტზე შესრულდება არიები და სცენები ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის, ჯუზეპე ვერდის, ამილკარე პონკიელის, კამილ სენ-სანსის, ჟიულ მასნეს, ჯაკომო პუჩინის, ზაქარია ფალიაშვილისა და რევაზ ლაღიძის ოპერებიდან.**

# გორბაჩოვმა აშშ-ს მსოფლიოს მთავარი ციებ-ცხელება უწოდა

**„ჩვენ მხოლოდ ერთი მთავარი ციებ-ცხელება გვაქვს — ეს არის აშშ და მისი პრეტენზია მსოფლიოს ლიდერობაზე,“ — განაცხადა სსრკ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა.**

ასე შეაფასა სსრკ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას სიტყვით გამოსვლა გაეროში, როდესაც მან რუსეთისგან მომავალი საფრთხე ებოლას ციებ-ცხელებას შეადარა.

გორბაჩოვის თქმით, ობამას რიტორიკა არის ლანძღვა-გინება, რომელიც შორს არის პოლიტიკური დიალოგისგან.

**„გამოიწვიე, შეურაცხყავი და, რაც მთავარია, ევროპაში არ უნდა ჩაცხრეს შუღლი; იმიტომ, რომ მათ პრეტენზია აქვს მონოპოლიაზე. უკრაინა და სხვა რამ — ეს მხოლოდ საბაბია,“** — განაცხადა მიხეილ გორბაჩოვმა ტელეარხ PCH-ის ეთერში.




## მადლობა მაყვალა ცინცაძეს

შემაწუხა სახსრების ტკივილმა, ზემო კიდურების დაბუჟებამ და წვამ, განსაკუთრებით მარჯვენა მტევანზე. დამიდგინდა სპონდილოზი და იდაყვის ოსტეოქონდროზი, მტევანზე კი — ართრიტი. კოლეგების დანიშნულებით, არ დამიკლია მკურნალობა, თუმცა ვერ მივაღწიე სასურველ შედეგს. ახლობლის რეკომენდაციით დავიწყე მკურნალ მაყვალა ცინცაძის მცენარეული საფენების და თეთრ მუმიოზე დამზადებული მალამოს გამოყენება. 8 პროცედურის შემდეგ მომეხსნა ჩივილები, უკეთესობა დამეტყო, ჩავიტარე 1 კურსი (15 დღე). როგორც ექიმი, ვთვლი, რომ ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის სინთეზით მკურნალობა ნამდვილად შედეგიანია, მადლობა ქ-ნ მაყვალას, რომლის სამკურნალო საშუალებები შველის რადიკულიტს, კისრის, მუხლ-სახსრის, მხრის, მენჯ-ბარძაყის ოსტეოართროზსა და დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებასა და ჰაიმორიტს.

გ. ბარათაშვილი, ექიმი (საჩხერე)

მკურნალის მისამართია:
წერეთლის გამზირი №72, მე-3კორპუსი,
ბინა 2-34-62-51; 599-20-19–66


# დავით ნარმანია: პუშკინის ქუჩაზე ესტაკადა აუცილებლად აშენდება

**თბილისის მერის — დავით ნარმანიას განცხადებით, წინასაარჩევნო დაპირება პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის აშენების შესახებ აუცილებლად შესრულდება.**

**„ამ თემაზე საკრებულომ იმსჯელა და, ჩემი აზრით, ამ პროექტს წინ ვერაფერი აღუდგება. ესტაკადა აუცილებლად აშენდება, რა წინააღმდეგობაც უნდა იყოს ოპონენტების მხრიდან, ის აუცილებლად გაკეთდება, ეს სჭირდება ხალხს და საჭიროა ამ უბანზე ავტომობილებისგან შექმნილი საცობების სალიკვიდაციოდ. ის არ შეეხება გათხრის შედეგად აღმოჩენილ მემკვიდრეობას, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მასზე ბეტონი დაასხეს ჩვენმა წინამორბედებმა. გამოცხადდება კონკურსი და შეირჩევა პროექტი, რომლის განხორციელებაც მოხდება პუშკინის ქუჩაზე. ეს პროექტი იქნება კომფორტული იქ მცხოვრებლებისთვის“,** — განაცხადა დავით ნარმანიამ.




## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა
მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»


# 2015 წლის 1 იანვრიდან მაღაზიებისთვის საჯარიმო სანქციები დაწესდება

**ამა წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ძირითადი ნაწილი, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებას.**

ეს შეთანხმება ნიშნავს, რომ საქართველოსთვის ჩნდება ახალი, 28 ქვეყნის პოტენციური საბაზრო სივრცე, რომელში მოსახვედრადაც ქართულ პროდუქტს უამრავი პარამეტრის დაკმაყოფილება მოუწევს. ევროკავშირის დირექტივების მიხედვით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი სურსათის უსაფრთხოებაა. ქართული სურსათის კონტროლის მექანიზმები ჯერჯერობით სუსტია. მაგალითად, ფიზიკური პირებისა და კერძო მეურნეობების წარმოების პროცესის კონტროლი 2020 წლამდე შეჩერებულია.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი კახა სოხაძე აღნიშნავს, რომ სავაჭრო ქსელები აქტიურად კონტროლდება, რაც მომხმარებლის უსაფრთხოებას იცავს. „მაღაზიებში კონტროლი ხდება, რადგან მათ პირდაპირი ვალდებულება აქვთ, რომ ჰქონდეთ უვნებელი სურსათი. ისინი ვალდებული არიან, შემუშავებული ჰქონდეთ კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამორიცხავს მავნე სურსათის რეალიზებას. მაღაზიებს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეთ ე. წ. მიკვლევადობა (სურსათის, ცხოველის საკვების, მათში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ნივთიერების ან სურსათის საწარმოებლად განკუთვნილი ცხოველის შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის დადგენის შესაძლებლობა წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყოველ ეტაპზე). 2015 წლის 1 იანვრიდან უკვე ძალაში შედის საჯარიმო სანქციები. თუ მაღაზია ვერ წარმოადგენს მიღებული პროდუქციის მიკვლევადობის დოკუმენტაციას, შესაბამისი სანქციებით დაჯარიმდება“, — აღნიშნავს **კახა სოხაძე.**

რაც შეეხება ცხოველური წარმოშობის პროდუქციის კონტროლს, კახა სოხაძის თქმით, ევროპული კანონმდებლობის შესაბამისად ქართულ კანონმდებლობაში შემოდის ახალი ტერმინი — აღიარება. ის, ვინც ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის რეალიზებას ან გადამუშავებას, ვალდებულია, გაიაროს პროცედურები, რომლის შემდეგაც მას მიენიჭება ინდივიდუალური ნომერი, ინდივიდუალური კოდი. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემა უფლება, ბაზარზე შეიტანოს თავისი პროდუქცია, თუმცა აღნიშნული პროცედურა გრძელვადიანია და ერთი წლის ვადას გულისხმობს.


## სიმაღლის მატების სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. დიეტის და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე ძვალ სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ. 558-15-63-33;
218-46-08 ექიმი ნინო
მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»



საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894